ტრენინგმოდული წინა ხაზის პროფესიონალთათვის ბავშვთა დაცვაზე ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან

ბავშვის ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღკვეთა @ევროპა პლუსი
(End Online Child Sexual Exploitation and Abuse @Europe Plus)

ევროპის აშენება ბავშვებისთვის და მათთან ერთად

www.coe.int/children

Safe Online

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ტრენინგმოდული წინა ხაზის პროფესიონალთათვის ბავშვთა დაცვაზე ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან

ბავშვის ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა
და ძალადობის აღკვეთა @ევროპა პლუსი
(End Online Child Sexual Exploitation
and Abuse @Europe Plus)

მოამზადეს:
დევიდ რაიტმა და მაია ცირამუამ

გადასინჯა:
ჰელენ პაიარდმა

ევროპის საბჭო

სათაური დედანში:

Training of Trainers Module for Frontline Professionals on Safeguarding Children from Online Child Sexual Exploitation and Abuse

წინამდებარე ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ან Safe Online-ის ოფიციალურ პოლიტიკას.

ევროპის საბჭო მადლიერებით აღიარებს Safe Online-ის მიერ პროექტისთვის გაწეულ ფინანსურ მხარდაჭერას. ეს არის ერთადერთი გლობალური საინვესტიციო ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ბავშვთა დაცვა ციფრულ სამყაროში. ინოვაციების ინვესტირებითა და მთავარ მონაწილეთა გაერთიანებით, Safe Online ეხმარება უსაფრთხო ციფრული სამყაროს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ყველა ბავშვისა და ახალგაზრდის განვითარებას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

გაიგეთ მეტი https://safeonline.global/.

ყველა უფლება დაცულია. დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით.

წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

„© ევროპის საბჭო, წელი, გამოცემა“.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int)

დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალურ დირექტორატს, ევროპის საბჭო, F-67075 Strasbourg, Cedex.

ელექტრონული ფოსტა: children@coe.int

ყდის ფოტო: © Shutterstock.

ყდის დიზაინი: Res Bonae Ltd.

© ევროპის საბჭო, ივნისი 2025.

სარჩევი

კურსის მიზანი 5

კურსის სტრუქტურა 7

კურსის სილაბუსი / დღის წესრიგი 9

კურსის შინაარსი 13

2. მონაწილეთა წარდგენა 17

3. ტექნოლოგიების განვითარება 18

4. რა არის ონლაინუსაფრთხოება? 23

5. ონლაინუსაფრთხოებასთან/ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები 25

5.1 ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა 45

6. კვლევის მტკიცებულებები 69

7. სცენარები 71

8. მომავალი ტექნოლოგიები 74

9. ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები პედაგოგების, სოციალური მუშაკებისა და ექიმებისთვის 84

10. ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები მშობლებისთვის 94

11. არსებული პრაქტიკა 107

12. ონლაინუსაფრთხოების ეფექტიანი რესურსები 109

13. შეჯამება 110

კურსის მიზანი

ონლაინუსაფრთხოებაზე ტრენინგპროგრამის მთავარი მიზანია შერჩეულ ტრენერთა გაძლიერება საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და მონტენეგროში, კერძოდ, მათი აღჭურვა საჭირო უნარებით, ცოდნითა და რესურსებით ბავშვთა ეფექტიანად დასაცავად ონლაინრისკებისგან. ეს ტრენერები, თავის მხრივ, კასკადურ ტრენინგებს ჩაუტარებენ სხვა პროფესიონალებს თავიანთ ქვეყნებში, რასაც ტალღისებური ეფექტი მოჰყვება და გაიზრდება პროგრამის მისაწვდომობა თუ ზეგავლენა.

კონკრეტული მიზნები

1. **ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლება ონლაინუსაფრთხოების შესახებ:** მონაწილეები უკეთ გააცნობიერებენ ბავშვთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკს, განსაკუთრებული ფოკუსით ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე. ეს მოიცავს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ონლაინსაფრთხეების უკეთ გაცნობიერებას, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ამძაფრებს ამ რისკებს.
2. **ტრენერთა აღჭურვა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით:** პროგრამა ტრენერებს განუვითარებს პრაქტიკულ უნარებს, რომ გამოავლინონ და შეამსუბუქონ ონლაინუსაფრთხოების რისკები და რეაგირება მოახდინონ მათზე. ეს მოიცავს უახლესი ინსტრუმენტების, სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების გაცნობას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ბავშვთა ონლაინგარემოში დასაცავად.
3. **კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება:** სცენარზე დაფუძნებული სავარჯიშოებისა და დისკუსიების საშუალებით, მონაწილეები გაიძლიერებენ კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ისინი ისწავლიან თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ სიტუაციებში, რაც მათ საქმიანობას რეალურ კონტექსტებში უფრო ეფექტიანს გახდის.
4. **საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა:** მონაწილეები შეისწავლიან და ერთმანეთს გაუზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას ონლაინუსაფრთხოების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანი სტრატეგიებისა და პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელთა დანერგვა შესაძლებელი იქნება თავიანთ ორგანიზაციებსა და თემებში.
5. **უწყვეტი სწავლისა და ადაპტაციის შესაძლებლობათა განვითარება:** ციფრული გარემო, ასევე, მასთან დაკავშირებული რისკები, მუდმივად ვითარდება. პროგრამა მიზნად ისახავს უწყვეტ სწავლასა და ადაპტაციაზე მიმართული მიდგომების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს უახლეს მოვლენებზე ტრენერთა ცოდნის განახლებას ონლაინუსაფრთხოების სფეროში.
6. **თანამშრომლობითი სწავლისა და ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა:** სხვადასხვა სექტორისა და ქვეყნის პროფესიონალთა ერთმანეთთან დაკავშირებით, პროგრამა ხელს უწყობს თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, ერთმანეთს დაუკავშირდნენ და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, ისწავლონ ერთმანეთისგან და შექმნან პრაქტიკოს სპეციალისტთა საზოგადოება, რომელიც ტრენინგის ფარგლებს გასცდება.

7. **ტრენერთა გაძლიერება ცოდნის გადაცემისთვის:** საბოლოო ჯამში, პროგრამა მიზნად ისახავს ტრენერთა თავდაჯერებულობისა და შესაძლებლობების განვითარებას, რათა მათ ცოდნა და უნარები თავიანთი ქვეყნის სხვა პროფესიონალებს გაუზიარონ, კასკადური ტრენინგების გზით. ცოდნის ამგვარად გავრცელების ეფექტი განაპირობებს უფრო ფართო და მდგრად გავლენას, მოიცავს უფრო დიდ აუდიტორიას და შექმნის უსაფრთხო ონლაინგარემოს ბავშვებისათვის.

შედეგები

ორდღიანი ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეები:

- სრულყოფილ წარმოდგენას შეიქმნიან ონლაინუსაფრთხოების არსებული მოწყობის, მათ შორის, განვითარებადი ტექნოლოგიებისა და მათთან დაკავშირებული რისკების შესახებ.
- შეძლებენ ონლაინუსაფრთხოების კონკრეტული საკითხების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას, ასევე, უფრო ფართოდ ინფორმირებულნი იქნებიან ამ სფეროსთან დაკავშირებული ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა კიბერბულინგი, დეზინფორმაცია, მოწყობილობების უსაფრთხოება და დამაჯერებელი დიზაინის გამოყენება ტექნოლოგიებში.
- დაეუფლებიან პრაქტიკულ სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს, რათა დანერგონ ონლაინუსაფრთხოების ქმედითი ზომები თავიანთ ორგანიზაციებსა და თემებში.
- შეძლებენ მშობლების ჩართვასა და განათლებას თავიანთი შვილების ციფრული ცხოვრების მართვის, ტექნოლოგიების ჯანსაღი გამოყენების ხელშეწყობისა და კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე.
- დაამყარებენ კავშირებს სხვა პროფესიონალებთან, შექმნიან მხარდაჭერის ქსელს უწყვეტი თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარებისთვის.
- მზად იქნებიან კოლეგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად, რითაც გააფართოებენ პროგრამის გავრცელებასა და ზეგავლენას.

ონლაინუსაფრთხოების საკითხებზე ტრენერთა ტრენინგპროგრამა არის ყოვლისმომცველი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისთვის უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას იმ პირების გაძლიერების გზით, რომლებიც უშუალოდ ბავშვთა დაცვის საკითხებზე მუშაობენ.

კურსის სტრუქტურა

ორდღიანი პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ონლაინუსაფრთხოების კონკრეტულ საკითხთა გაგებასა და შესწავლას, ასევე, პრაქტიკული სტრატეგიების მიწოდებას შემდგომი გამოყენებისათვის.

დღე 1: არსებული გარემო და გამოწვევები

ტრენინგი იწყება მონაწილეთა წარდგენით, თანამშრომლობითი გარემოს შექმნით და მონაწილეთა შორის ერთიანობის განცდის გაძლიერებით. ამას მოჰყვება სესია ცვალებად ტექნოლოგიებზე, რომლის განმავლობაშიც ტრენერები გაეცნობიან ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასა და მის გავლენას ბავშვებზე, როგორც შესაძლებლობების, ასევე რისკების კუთხით.

შემდეგ გაიმართება სიღრმისეული დისკუსია, თუ რა არის ონლაინუსაფრთხოება, რაც ეხმარება მონაწილეებს, გაიაზრონ ბავშვების მიერ ტექნოლოგიათა გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკი. ყურადღება გამახვილდება ონლაინრისკების 4C ჩარჩოზე - შინაარსი (content), კონტაქტი (contact), ქცევა (conduct) და კონტრაქტი (contract). ეს ფუნდამენტური ცოდნა გადამწყვეტია რისკების გამოვლენისა და შემცირებისთვის.

შესვენების შემდეგ აქცენტი გადავა ონლაინუსაფრთხოების/ბავშვთა დაცვის კონკრეტულ საკითხებზე. მონაწილეები გამოიკვლევენ ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხთა უფრო ფართო ასპექტებს, ასევე, როგორ შეიძლება ეს ასპექტები ერთმანეთს უკავშირდებოდეს და მოიცავდეს ტექნოლოგიათა დამაჯერებელი დიზაინის ფსიქოლოგიურ გავლენას, მოწყობილობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, დეზინფორმაციასა და ცრუ ინფორმაციას, ონლაინბულინგს, საზიანო შინაარსს, ტექნოლოგიების ზეგავლენასა და თანატოლების ზეწოლას ბავშვთა კეთილდღეობაზე. შემდეგი სესია ყურადღებას გაამახვილებს ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე, მათ შორის, კონკრეტული საფრთხეებისა და ზიანის მიმოხილვაზე.

ონლაინუსაფრთხოების შესახებ ეროვნული თუ საერთაშორისო აკადემიური კვლევების მიმოხილვა მონაწილეებს აწვდის მტკიცებულებებს, რომლებიც ამყარებენ განხილულ სტრატეგიებსა და პრაქტიკას. შემდეგ მონაწილეებს შესთავაზებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს სცენარების გამოყენებით, რაც ეხმარება მათ ნასწავლის რეალურ სიტუაციებთან მისადაგებაში.

დღე მთავრდება მომავლის ტექნოლოგიებისადმი მიძღვნილი სესიით, სადაც მონაწილეები სწავლობენ ბავშვთა დაცვის სფეროში მომავალი გამოწვევების განჭვრეტასა და მათთვის წინასწარ მომზადებას.

დღე 2: სტრატეგიები და მართვა

ტრენინგის მეორე დღე იწყება პირველი დღის საკვანძო საკითხების მიმოხილვით, რაც ხელს უწყობს ცოდნის გამყარებას. პირველი სესიის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიებზე პედაგოგებისთვის, სოციალური მუშაკებისა და ექიმებისთვის, განიხილება ორგანიზაციული სტრატეგიები ბავშვებისთვის უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.

მომდევნო სესია დაეთმობა ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიებს მშობლებისთვის. მონაწილეებს მიეწოდებათ პრაქტიკული ინსტრუმენტები და რესურსები, რაც მიზნად ისახავს მშობელთა დახმარებას შვილების ციფრული ცხოვრების ეფექტიანად მართვაში. თემები მოიცავს ეკრანთან გატარებული/საეკრანო დროის მართვას, კონფიდენციალურობის პარამეტრებს, ტექნოლოგიათა ჯანსაღი გამოყენების მოდელად ქცევას და თანატოლთა ზეწოლასთან გამკლავებას.

ონლაინუსაფრთხოების არსებულ ინსტრუმენტთა მომდევნო პრაქტიკულ სესიაზე მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ პრაქტიკას, რითაც გაიფართოებენ ცოდნას ერთმანეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით და გამოავლენენ ქმედით სტრატეგიებს. სესიის მნიშვნელოვანი ელემენტია პრევენციის, შეტყობინებისა და მიმართვის კონკრეტული ეროვნული მექანიზმების მიმოხილვა.

შემდეგ მონაწილეებს წარუდგენენ ონლაინუსაფრთხოების სხვადასხვა ქმედით რესურსს - გააცნობენ ღირებულ ინსტრუმენტებს, მათი ძალისხმევის მხარდასაჭერად. ტრენინგი დასრულდება შემაჯამებელი სესიით, სადაც მიმოიხილება ტრენინგის ფარგლებში გაზიარებული მთელი შინაარსი და პასუხი გაეცემა დარჩენილ კითხვებს.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები ისარგებლებენ საერთაშორისო ექსპერტთა ფართო ხედვით, რასაც ეროვნული ექსპერტები შეავსებენ ადგილობრივი კონტექსტით.

პროგრამის დასასრულს, მონაწილეები აღიჭურვებიან ყოვლისმომცველი ცოდნით ონლაინუსაფრთხოებაზე და თავდაჯერებით ამ ცოდნის ქმედითად გავრცელებისთვის, კასკადური ტრენინგების გზით, თავიანთ ქვეყნებში. ეს სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს ტრენერთა კარგად მომზადებას, რათა მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ბავშვთა დაცვაზე ციფრულ სამყაროში.

კურსის სილაბუსი / დღის წესრიგი

დღე 1 – არსებული გარემო და გამოწვევები

შესავალი (30 წუთი)

კურსისა და მისი მიზნების გაცნობა, მონაწილეებისა და ტრენერების წარდგენა.

ტექნოლოგიების განვითარება (60 წუთი)

ტექნოლოგიები საოცარი სისწრაფით იცვლება; რა ახალი ტექნოლოგიები ჩნდება და რა შესაძლებლობებს აძლევს ეს ბავშვებს?

რა არის ონლაინუსაფრთხოება? (60 წუთი)

ზოგადი დისკუსია იმ რისკებზე, რომელთა წინაშეც ტექნოლოგია აყენებს ბავშვებს, კონკრეტულად ონლაინრისკების 4C ჩარჩოზე (content - შინაარსი, contact - კონტაქტი, conduct - ქცევა და contract - კონტრაქტი).

საღამოს შესვენება

ონლაინუსაფრთხოების/ბავშვთა დაცვის საკითხები (120 წუთი)

ონლაინუსაფრთხოების უფრო სერიოზული რისკების სიღრმისეულად განხილვა და გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ეს უკავშირდებოდეს ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას. კერძოდ:

- **ჯანმრთელობა და კეთილდღეობა:** ტექნოლოგიები და სერვისები შექმნილია იმისათვის, რომ დაარწმუნონ და აიძულონ მომხმარებლები, გააგრძელონ მათი გამოყენება. სესიაზე განიხილება დამაჯერებელი დიზაინის მაგალითები და ფსიქოლოგია, რომელსაც იგი ეყრდნობა, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვებზე, არამედ მშობლებზეც, რადგან ეს, პოტენციურად, მათ ყურადღებას იზიდავს თავიანთი შვილების უგულებელყოფის ხარჯზე.
- **კიბერუსაფრთხოება**: მოწყობილობათა უსაფრთხოება სულ უფრო მეტ გამოწვევას ქმნის ორგანიზებული დანაშაულის კონტექსტში.
- **დეზინფორმაცია და ცრუ ინფორმაცია**: გენერაციული AI ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასა და ისეთი კონტენტის შექმნას უწყობს ხელს, რომელიც ყოველთვის ზუსტი არ არის.
- **ბულინგი**: ონლაინბულინგისა და მისი ზეგავლენის შესწავლა.
- **საზიანო შინაარსი**: მოწყვლადობაზე მსჯელობა - ისინი, ვინც ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან ონლაინ, ასეთივე რისკის ქვეშ არიან რეალურ სამყაროშიც.

- **ზეგავლენა**: იმის მიმოხილვა, თუ რა გავლენას ახდენს ტექნოლოგია (ინფლუენსერები) და გარემო (თანატოლები, და-ძმა) ბავშვებზე და რა ზემოქმედება აქვს მას (სხეულის გამოსახულება, რაიმე საინტერესოს გამოტოვების შიში - Fair Of Missing Out (FOMA) და სხვა).

სესია ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება:

- საზიანო სექსუალური ქცევა ონლაინ
- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა, მათ შორის, ხელოვნურად შექმნილი (Child sexual Abuse Material - CSAM)
- ფინანსების გამოძალვა
- ბავშვთა ონლაინექსპლუატაცია
- ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის (Online Child Sexual Exploitation and Abuse – OCSEA) საფრთხეების შეფასება.

კვლევების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები (30 წუთი)

ონლაინუსაფრთხოების საკითხებზე გამოქვეყნებული აკადემიური კვლევების (ეროვნული და საერთაშორისო) მიმოხილვა.

სცენარები (60 წუთი)

სავარჯიშოები სცენარების გამოყენებით, ბავშვებზე ზეგავლენისა და შესაძლო რეაგირების გზების განსახილველად.

მომავლის ტექნოლოგიები (60 წუთი)

მომავლის ტექნოლოგიები, კერძოდ კი, გენერაციული AI და პოტენციური რისკები ბავშვებისთვის - რა უნდა გაითვალისწინონ მონაწილეებმა მომავალში ბავშვების დასაცავად?

დღე 2 – სტრატეგიები და მართვა

1-ელი დღის მიმოხილვა (30 წუთი)

პირველ დღეს განხილულ საკითხთა მოკლე მიმოხილვა.

ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები პედაგოგებისთვის, სოციალური მუშაკებისა და ექიმებისთვის (90 წუთი)

დეტალური განხილვა, თუ რა სტრატეგიები, პოლიტიკა და ინსტრუმენტები შეიძლება დანერგოს ორგანიზაციამ, რათა ქმედითად დაიცვას ბავშვები ონლაინ, კერძოდ კი:

- ვალდებულების დაკისრება
- შეტყობინება
- პოლიტიკა
- პერსონალის განვითარება
- ბავშვთა განათლება
- ტექნოლოგიების უსაფრთხოება
- შეფასება

ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები მშობლებისთვის (90 წუთი)

მშობლებისთვის ხელმისაწვდომი სტრატეგიების, ინსტრუმენტებისა და რესურსების შესწავლა, რომლებიც დაეხმარება მათ თავიანთ ოჯახებში ტექნოლოგიათა გამოყენების მართვასა და სწორი გარემოს შექმნაში. კერძოდ:

- წვდომისა და სერვისების ცოდნა – ოჯახში არსებული მოწყობილობებისა და იმ სერვისების იდენტიფიცირება, რომლებსაც მათი შვილები იყენებენ, ონლაინ წვდომის მასშტაბის დასადგენად.
- საუბრის დაწყება – ინიციატივის გამოჩენა ინტერნეტში უსაფრთხოებასა და ჯანსაღ ციფრულ ბალანსზე საუბრის დასაწყებად.
- ოჯახში ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები და ეკრანთან გატარებული დროის მართვა - მშობლებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების მიმოხილვა, რათა მათ მართონ და შეზღუდონ თავიანთი შვილების მოწყობილობებითა და სერვისებით სარგებლობა. მაგალითების მოყვანა ეკრანთან გატარებული დროის მართვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ღამითა და ჭამის დროს.
- წვდომის მართვა – დისკუსია მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებსა და წვდომის მართვის რეალურ ზომებზე, მათ შორის, როდის მივცეთ ბავშვს პირველი მობილური ტელეფონი, როგორ ვითანამშრომლოთ სხვა მშობლებთან თანატოლების ზეწოლასთან გასამკლავებლად, SMART ოჯახური შეთანხმებები მოწყობილობებზე წვდომის კონტროლისთვის.
- კონფიდენციალურობის პარამეტრების მართვა – კონფიდენციალურობის პარამეტრების მიმოხილვა, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალური მედიის ყველაზე პოპულარული სერვისების ფარგლებში და მათზე წვდომის მოპოვება.
- ციფრული როლური მოდელი (მშობლის) – მშობელთა ინფორმირებულობა ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ და ტექნოლოგიათა ჯანსაღი გამოყენების მოდელირების მნიშვნელობა.
- გავლენის მართვა – როგორ დავიწყოთ ჯანსაღი დისკუსია ბავშვებთან ონლაინ განთავსებული მასალის გავლენაზე (მაგ. სხეულის იმიჯზე), ასევე იმაზე, თუ როგორ მართონ თანატოლების ზეწოლა. მინიმალური ასაკობრივი მოთხოვნები – ყველაზე პოპულარული ონლაინსერვისებისა და მათთან დაკავშირებული მინიმალური ასაკობრივი მოთხოვნების შეჯამება.

ღანჩის შესვენება

ONLAINUSAFRTXOEBIS ARSEBULI PRAKTIKA (60 WUTI)

მონაწილეების მიერ ონლაინუსაფრთხოების არსებული ზომებისა და პირადი პრაქტიკის განხილვა და ერთმანეთისთვის გაზიარება. სესიაზე გამოვლინდება კარგი პრაქტიკის მაგალითები.

ONLAINUSAFRTXOEBIS QMEDITI RESURSEBI (30 WUTI)

ონლაინუსაფრთხოების ქმედითი რესურსების განსაზღვრა.

SEJAMEBA (30 WUTI)

კურსის სრული შინაარსის მიმოხილვა, მონაწილეებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობის მიცემა, დამატებითი განმარტებებისა და ცოდნის კონსოლიდაციისთვის.

კურსის შინაარსი

1. პრეზენტაცია

სლაიდი 1

ონლაინუსაფრთხოებაზე ტრენერთა ტრენინგპროგრამის მიზანია შერჩეულ ტრენერთა გაძლიერება საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და მონტენეგროში, კერძოდ, მათი აღჭურვა საჭირო უნარებით, ცოდნითა და რესურსებით ბავშვთა ეფექტიანად დასაცავად ონლაინრისკებისაგან. ეს ტრენერები, თავის მხრივ, კასკადურ ტრენინგებს ჩაუტარებენ სხვა პროფესიონალებს თავიანთ ქვეყნებში, რასაც ტალღისებური ეფექტი მოჰყვება და გაიზრდება პროგრამის მისაწვდომობა და ზეგავლენა.

კონკრეტული მიზნები

ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლება ონლაინუსაფრთხოების შესახებ: მონაწილეები უკეთ გააცნობიერებენ ბავშვთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკს, განსაკუთრებული ფოკუსით ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე. ეს მოიცავს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ონლაინსაფრთხეების უკეთ გაცნობიერებას, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ამძაფრებს ამ რისკებს.

ტრენერთა აღჭურვა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით: პროგრამა ტრენერებს განუვითარებს პრაქტიკულ უნარებს, რომ გამოავლინონ და შეამსუბუქონ ონლაინუსაფრთხოების რისკები და რეაგირება მოახდინონ მათზე. ეს მოიცავს უახლესი ინსტრუმენტების, სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების გაცნობას, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ბავშვთა ონლაინგარემოში დასაცავად.

კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება: სცენარზე დაფუძნებული სავარჯიშოებისა და დისკუსიების საშუალებით, მონაწილეები გაიძლიერებენ კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ისინი ისწავლიან თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ სიტუაციებში, რაც მათ საქმიანობას რეალურ კონტექსტებში უფრო ეფექტიანს გახდის.

საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა: მონაწილეები შეისწავლიან და ერთმანეთს გაუზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას ონლაინუსაფრთხოების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანი სტრატეგიებისა და პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელთა დანერგვა შესაძლებელი იქნება თავიანთ ორგანიზაციებსა და თემებში.

უწყვეტი სწავლისა და ადაპტაციის შესაძლებლობათა განვითარება: ციფრული გარემო, ასევე, მასთან დაკავშირებული რისკები, მუდმივად ვითარდება. პროგრამა მიზნად ისახავს უწყვეტ სწავლასა და ადაპტაციაზე მიმართული მიდგომების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს უახლეს მოვლენებზე ტრენერთა ცოდნის განახლებას ონლაინუსაფრთხოების სფეროში.

თანამშრომლობითი სწავლისა და ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა: სხვადასხვა სექტორისა და ქვეყნის პროფესიონალთა ერთმანეთთან დაკავშირებით, პროგრამა ხელს უწყობს თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ,

ერთმანეთს დაუკავშირდნენ და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, ისწავლონ ერთმანეთისგან და შექმნან პრაქტიკოს სპეციალისტთა საზოგადოება, რომელიც ტრენინგის ფარგლებს გასცდება.

ტრენერთა გაძლიერება ცოდნის გადასაცემად: საბოლოო ჯამში, პროგრამა მიზნად ისახავს ტრენერთა თავდაჯერებულობისა და შესაძლებლობების განვითარებას, რათა მათ ცოდნა და უნარები თავიანთი ქვეყნის სხვა პროფესიონალებს გაუზიარონ, კასკადური ტრენინგების გზით. ცოდნის ამგვარად გავრცელების ეფექტი განაპირობებს უფრო ფართო და მდგრად გავლენას, მოიცავს უფრო დიდ აუდიტორიას და შექმნის უსაფრთხო ონლაინგარემოს ბავშვებისთვის.

შედეგები

ორდღიანი ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეები:

- შეიქმნიან სრულყოფილ წარმოდგენას ონლაინუსაფრთხოების არსებული მოწყობის, მათ შორის, განვითარებადი ტექნოლოგიებისა და მათთან დაკავშირებული რისკების შესახებ.
- შეძლებენ ონლაინუსაფრთხოების კონკრეტული საკითხების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას; ასევე, უფრო ფართოდ იქნებიან ინფორმირებულნი ამ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა კიბერბულინგი, დეზინფორმაცია, მოწყობილობების უსაფრთხოება და დამაჯერებელი დიზაინის გამოყენება ტექნოლოგიებში.
- დაეუფლებიან პრაქტიკულ სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს, რათა დანერგონ ონლაინუსაფრთხოების ქმედითი ზომები თავიანთ ორგანიზაციებსა და თემებში.
- შეძლებენ მშობლების ჩართვასა და განათლებას, თუ როგორ მართონ მათ თავიანთი შვილების ციფრული ცხოვრება, ხელი შეუწყონ ტექნოლოგიების ჯანსაღ გამოყენებას და დაიცვან ბავშვების კონფიდენციალურობა.
- დაამყარებენ კავშირებს სხვა პროფესიონალებთან, შექმნიან მხარდაჭერის ქსელს, უწყვეტი თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარებისთვის.
- მზად იქნებიან კოლეგებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად, რითაც გააფართოებენ პროგრამის გავრცელებასა და ზეგავლენას.

სლაიდი 2 – შინაარსი (დღე 1)

კურსი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

1. **შესავალი**: მონაწილეებისათვის ტრენინგის გაცნობა და ტრენერების წარდგენა.
2. **ტექნოლოგიების განვითარება**: ტექნოლოგიები საოცარი სისწრაფით იცვლება; რა ახალი ტექნოლოგიები ჩნდება და რა შესაძლებლობებს აძლევს ეს ბავშვებს?
3. **რა არის ონლაინუსაფრთხოება**: ზოგადი დისკუსია იმ რისკებზე, რომელთა წინაშეც ტექნოლოგია აყენებს ბავშვებს, კონკრეტულად, ონლაინრისკების 4C ჩარჩოზე (content - შინაარსი, contact - კონტაქტი, conduct - ქცევა და contract - კონტრაქტი)
4. **ონლაინუსაფრთხოების/ბავშვთა დაცვის საკითხები:** ონლაინუსაფრთხოების უფრო სერიოზული რისკების სიღრმისეულად განხილვა და გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ეს უკავშირდებოდეს ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას. კერძოდ:
    - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
    - კიბერუსაფრთხოება
    - დეზინფორმაცია და ცრუ ინფორმაცია
    - ბულინგი
    - საზიანო შინაარსი
    - ზეგავლენა

სესია ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება:

- საზიანო სექსუალური ქცევა ონლაინ
- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა, მათ შორის, ხელოვნურად შექმნილი

- ფინანსების გამოძალვა
- ბავშვთა ონლაინექსპლუატაცია
- ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საფრთხეების შეფასება.

5. **კვლევების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები**: ონლაინუსაფრთხოების საკითხებზე გამოქვეყნებული აკადემიური კვლევების (ეროვნული და საერთაშორისო) მიმოხილვა.
6. **სცენარები**: სავარჯიშოები სცენარების გამოყენებით, ბავშვებზე ზეგავლენისა და შესაძლო რეაგირების გზების განსახილველად.
7. **მომავლის ტექნოლოგიები**: განვითარებადი ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი, გენერაციული AI-სა და ბავშვებისთვის პოტენციური რისკების მიმოხილვა - რა უნდა გაითვალისწინონ მონაწილეებმა მომავალში ბავშვების დასაცავად?

1-ᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲡᲚᲐᲘᲓᲘ 3 – ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ (ᲓᲦᲔ 2)

მე-2 დღე დაიწყება პირველ დღეს განხილულ საკითხთა მოკლე მიმოხილვით.

1. ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები პედაგოგებისათვის, სოციალური მუშაკებისა და ექიმებისთვის: დეტალური განხილვა, თუ რა სტრატეგიები, პოლიტიკა და ინსტრუმენტები შეიძლება დანერგოს ორგანიზაციამ, რათა ეფექტურად დაიცვას ბავშვები ონლაინ, კერძოდ კი:
   - ვალდებულების დაკისრება
   - შეტყობინება
   - პოლიტიკა
   - პერსონალის განვითარება
   - ბავშვთა განათლება
   - ტექნოლოგიების უსაფრთხოება
   - შეფასება
2. **ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები მშობლებისთვის**: მშობლებისთვის ხელმისაწვდომი სტრატეგიების, ინსტრუმენტებისა და რესურსების შესწავლა, რომლებიც დაეხმარებათ მათ თავიანთ ოჯახებში ტექნოლოგიათა გამოყენების მართვასა და სწორი გარემოს შექმნაში. კერძოდ:
   - წვდომისა და სერვისების ცოდნა – ოჯახში არსებული მოწყობილობებისა და იმ სერვისების იდენტიფიცირება, რომლებსაც მათი შვილები იყენებენ, ონლაინ წვდომის მასშტაბის დასადგენად.
   - საუბრის დაწყების ხელშეწყობა –ინიციატივის გამოჩენა ინტერნეტში უსაფრთხოებასა და ჯანსაღ ციფრულ ბალანსზე საუბრის დასაწყებად.
   - ოჯახში ინფორმაციის გაზიარების ინსტრუმენტები და ეკრანთან გატარებული დროის მართვა - მშობლებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების მიმოხილვა, რათა მათ მართონ და შეზღუდონ თავიანთი შვილების მოწყობილობებითა და სერვისებით სარგებლობა. მაგალითების მოყვანა ეკრანთან გატარებული დროის მართვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ღამითა და ჭამის დროს.
   - წვდომის მართვა – დისკუსია მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებსა და წვდომის მართვის რეალურ ზომებზე, მათ შორის, როდის მივცეთ ბავშვს პირველი მობილური ტელეფონი, როგორ ვითანამშრომლოთ სხვა მშობლებთან თანატოლების ზეწოლასთან გასამკლავებლად, SMART ოჯახური შეთანხმებები მოწყობილობებზე წვდომის კონტროლისთვის.
   - კონფიდენციალურობის პარამეტრების მართვა – კონფიდენციალურობის პარამეტრების მიმოხილვა, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალური მედიის ყველაზე პოპულარული სერვისების ფარგლებში და მათზე წვდომის მოპოვება.

- ციფრული როლური მოდელი (მშობლის) – მშობლების ინფორმირებულობა ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ და ტექნოლოგიათა ჯანსაღი გამოყენების მოდელად ქცევის მნიშვნელობა.
- გავლენის მართვა – როგორ დავიწყოთ ჯანსაღი დისკუსია ბავშვებთან ონლაინ განთავსებული მასალის გავლენაზე (მაგ. სხეულის იმიჯზე), ასევე იმაზე, თუ როგორ მართონ თანატოლების ზეწოლა.
- მინიმალური ასაკობრივი მოთხოვნები – ყველაზე პოპულარული ონლაინსერვისებისა და მათთან დაკავშირებული მინიმალური ასაკობრივი მოთხოვნების შეჯამება.

3. **ონლაინუსაფრთხოების არსებული პრაქტიკა**: მონაწილეებს მიერ ონლაინუსაფრთხოების არსებული ზომებისა და პირადი პრაქტიკის განხილვა და ერთმანეთისთვის გაზიარება. სესიაზე გამოვლინდება კარგი პრაქტიკის მაგალითები.
4. **ონლაინუსაფრთხოების ქმედითი რესურსები**: ონლაინუსაფრთხოების ქმედითი რესურსების განსაზღვრა.
5. **შეჯამება**: კურსის სრული შინაარსის მიმოხილვა, მონაწილეებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობის მიცემა განმარტებებისა და ცოდნის კონსოლიდაციისათვის.

2. მონაწილეთა წარდგენა

სლაიდი 4

ოთახში მყოფი ყველა პირი წარადგენს თავს და საკუთარ ორგანიზაციას.

სლაიდი 5

ტრენერთა პრეზენტაციები.

სლაიდი 6

ტრენერთა ორგანიზაციების პრეზენტაციები.

სლაიდი 7 – შენიშვნა ტრენერთა ტრენინგისათვის

ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა სენსიტიური თემაა. ამიტომ უნდა გახსოვდეთ მეგობრული და არაფორმალური ატმოსფეროს შექმნის მნიშვნელობა, რათა ადამიანებმა თავი კომფორტულად იგრძნონ ამ თემაზე საუბრისას.

ტრენერები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ პროცედურაზე, თუ მსმენელი განაცხადებს, რომ იგი ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლია.

3. ტექნოლოგიების განვითარება

სლაიდი 8

ტექნოლოგიების განვითარების ნაწილი - ტექნოლოგია გასაოცარი სისწრაფით იცვლება; რა არის განვითარებადი ტექნოლოგიები და რა შესაძლებლობებს აძლევს ეს ბავშვებს?

სლაიდი 9 - სახლში ტექნოლოგიების გამოყენების მოცულობა

შესავალი: ამ სლაიდზე ჩვენ განვიხილავთ ქსელთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს, რომელთა რაოდენობა ჩვენს სახლებში სულ უფრო იზრდება. ტრადიციულად, ტექნოლოგიებში მოვიაზრებთ ლეპტოპს, პლანშეტსა და მობილურ ტელეფონს, მაგრამ დღეს ბევრ სახლში შეხვდებით ჭკვიან მოწყობილობათა ფართო სპექტრს. ეს დისკუსია მიზნად ისახავს მონაწილეთა წახალისებას, დაფიქრდნენ ტექნოლოგიების მოცულობაზე თავიანთ სახლებში და მათ გავლენაზე კონფიდენციალურობასა და უსაფრთხოებასთან მიმართებით.

სლაიდის მიმოხილვა:

მიზანი: საუბარი თემაზე ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობების მრავალფეროვნება თანამედროვე სახლებში და მათი გავლენა ოჯახურ ცხოვრებასა თუ უსაფრთხოებაზე.

საკვანძო საკითხები:

- **ტრადიციული მოწყობილობები:**
  - ლეპტოპი, პლანშეტი და მობილური ტელეფონი: განიხილეთ ამ ტრადიციულ მოწყობილობათა ფართოდ გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, კომუნიკაციის, მუშაობისა და გართობის მიზნით.
- **ჭკვიანი სამზარეულოს ტექნოლოგია**:
  - **ჭკვიანი მოწყობილობები**: ახსენეთ ჭკვიანი მაცივარი, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს პროდუქტების მარაგი და შემოგთავაზოთ რეცეპტები; ჭკვიანი ღუმელი, რომელიც იმართება დისტანციურად; ჭკვიანი ნათურები, რომლებიც არეგულირებენ განათებას.
  - **ცენტრალური გათბობა**: ახსენეთ ჭკვიანი თერმოსტატი, რომელიც იმახსოვრებს მომხმარებლის პრეფერენციებს და შეიძლება აკონტროლოთ სმარტფონის აპლიკაციებით დისტანციურად.
- **მისაღები ოთახის ჭკვიანი ტექნოლოგია**:
  - **ჭკვიანი ტელევიზორი**: განიხილეთ, როგორ გადასცემენ/იღებენ სიგნალს ჭკვიანი ტელევიზორები, შედიან და ინფორმაციას ეძებენ ინტერნეტგვერდებზე, უერთდებიან ჭკვიანი სახლის სხვა მოწყობილობებს.
  - **ჭკვიანი დინამიკები**: განმარტეთ, როგორ მუშაობს ჭკვიანი დინამიკები - Amazon Echo და Google Home, როგორ აკონტროლებს სხვა მოწყობილობებს, უკრავს მუსიკას და უპასუხებს შეკითხვებს.
- **ბავშვების ოთახი**:
  - **სათამაშო კონსოლები**: ახსენეთ პოპულარული სათამაშო კონსოლები, როგორიცაა PlayStation და Xbox, რომლებიც თამაშის გარდა იღებენ სიგნალს და გთავაზობენ ონლაინ ინტერაქციას.

- **საგანმანათლებლო მოწყობილობები**: ისაუბრეთ ჭკვიან სათამაშოებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, უკავშირდება ინტერნეტს მასალის განახლებისა და ინტერაქციისათვის.

- **ოფისი სახლში**:
  - **კომპიუტერი და პრინტერი**: ისაუბრეთ კომპიუტერისა და პრინტერის არსებით როლზე სახლიდან დისტანციურად მუშაობისთვის.
  - **ქსელური აღჭურვილობა**: ახსენეთ როუტერი და მოდემი, რომლებიც გადამწყვეტია ინტერნეტთან კავშირისთვის და ხშირად შეიცავენ ჭკვიან ფუნქციებს.
- **ქლაუდი**:
  - **მონაცემთა შენახვა**: განმარტეთ, თუ რამდენი ოჯახი იყენებს ქლაუდის სერვისებს დოკუმენტების, ფოტოებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაილების შესანახად. განიხილეთ, რამდენად მოსახერხებელია ქლაუდის ტექნოლოგიის გამოყენებით ინფორმაციის შენახვა და რა პოტენციური პრობლემა ექმნება კონფიდენციალურობას.

აქტივობების ეტაპი:

- **ინტერაქტიური სავარჯიშო**: სთხოვეთ მონაწილეებს, ჩამოთვალონ ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობები თავიანთ სახლში, ოთახების მიხედვით. შეგიძლიათ მონაწილეებს შესთავაზოთ შაბლონი ან სამუშაო ფურცელი ამ აქტივობისთვის.
- **სადისკუსიო კითხვები:**
  - „რა სარგებელი და გამოწვევები ახლავს სახლში რამდენიმე მოწყობილობის არსებობას?“
  - „როგორ იცავთ ამ მოწყობილობათა უსაფრთხოებას?“
- რესურსების გაზიარება: მიაწოდეთ ბმულები ჭკვიანი სახლის მოწყობილობათა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობის პარამეტრთა მართვაზე.

დისკუსია:

- **პირადი გამოცდილება**: სთხოვეთ მონაწილეებს, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება ჭკვიანი სახლის მოწყობილობებთან დაკავშირებით. რა სარგებელი მიიღეს? რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ?
- **უსაფრთხოების ზომები**: განიხილეთ უსაფრთხოების საერთო ზომები, როგორიცაა ნაგულისხმევი პაროლების შეცვლა, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება და ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის გამოყენება.

დასკვნა: სახლებში ქსელთან დაკავშირებულ მოწყობილობათა რაოდენობის ზრდა გთავაზობთ ბევრ კომფორტს, მაგრამ ასევე გიქმნით კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების გამოწვევებს. ჩვენს სახლებში ტექნოლოგიათა გამოყენების გააზრებით, შევძლებთ, გადავდგათ ნაბიჯები საკუთარი ოჯახებისა და პირადი ინფორმაციის დასაცავად.

სლაიდი 10 - ეროვნული მონაცემები ბავშვთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებაზე

შესავალი: ამ ნაწილში განვიხილავთ ეროვნულ მონაცემებს, რომლებიც შეეხება ბავშვთა მიერ ტექნოლოგიებით სარგებლობას და მათ გამოცდილებას ამ კუთხით. მოყვანილია Ofcom-ის მაგალითი, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვთავაზობს გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ ბავშვთა ციფრულ ჩვევებსა და უსაფრთხოებაზე. ეს გახლავთ სამოდელო მონაცემები სხვა რეგიონებში მსგავსი ტენდენციების გასაგებად. მათი შევსება ან გადასინჯვა შესაძლებელია უფრო კონკრეტული ეროვნული მტკიცებულებებით, თუკი ისინი ხელმისაწვდომია.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: აღნიშნეთ, რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ მონაცემებს ბავშვთა გამოცდილებისა და მათ მიერ ტექნოლოგიების გამოყენების გასაგებად, წაახალისეთ ადგილობრივი მონაცემების გამოყენება, სადაც ისინი ხელმისაწვდომია.

საკვანძო საკითხები:

- **ეროვნული მონაცემების მიზანი**:

- **ტენდენციების გაგება**: ეროვნული მონაცემები გვეხმარება არსებული ტენდენციების გამოვლენაში, თუ როგორ ურთიერთობენ ბავშვები ტექნოლოგიებთან, ასევე, რომელია გავრცელებული მოდელები და პოპულარული პლატფორმები.
- **პოლიტიკის შემუშავება**: ეს მონაცემები ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს, პედაგოგებსა და მშობლებს ციფრული უსაფრთხოებისა და განათლების ქმედითი სტრატეგიების შემუშავებაში.
- **შედარებითი ანალიზი**: მონაცემები სხვადასხვა რეგიონის შედარების საშუალებას იძლევა და ეხმარება უნიკალური გამოწვევებისა თუ საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებაში.

- **მაგალითი**: Ofcom-ის მონაცემები (დიდი ბრიტანეთი):
  - **გამოყენების სტატისტიკა**: განიხილეთ, ბავშვების რა პროცენტული რაოდენობა იყენებს სხვადასხვა ტიპის მოწყობილობებს და რა სიხშირით.
  - **პლატფორმის პოპულარობა**: განიხილეთ, რომელი პლატფორმებია (მაგ. სოციალური მედია, თამაშები) ყველაზე პოპულარული ბავშვებში.
  - **უსაფრთხოების გამოწვევები**: გააზიარეთ სტატისტიკა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კიბერბულინგი, კონფიდენციალურობის გამოწვევები და შეუსაბამო შინაარსზე წვდომა.
- **მონაცემების მნიშვნელობა**:
  - **მშობლების ინფორმირებულობა**: ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ მშობლებმა უნდა იცოდნენ თავიანთი შვილების ციფრული აქტივობებისა და იმ პლატფორმების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ.
  - **საგანმანათლებლო ინიციატივები**: განიხილეთ, როგორ შეუძლიათ სკოლებს ამ მონაცემების გამოყენება, სასწავლო გეგმაში ციფრული წიგნიერებისა და უსაფრთხოების ინტეგრირებისთვის.
  - **პოლიტიკის შემუშავება**: განიხილეთ, როგორ შეუძლიათ პოლიტიკის შემქმნელებს ამ მონაცემების გამოყენება ბავშვებისთვის უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად.
- **ადგილობრივ მონაცემთა გამოყენების წახალისება**:
  - **შესაბამისობა**: ხაზი გაუსვით ადგილობრივ მონაცემთა გამოყენების მნიშვნელობას აუდიტორიის სპეციფიკურ კონტექსტთან მისადაგებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
  - **ხელმისაწვდომობა**: ურჩიეთ, სად შეიძლება ადგილობრივი მონაცემების მოძიება, მაგალითად, სამთავრობო ანგარიშებში, აკადემიურ კვლევებსა და ადგილობრივი ორგანიზაციების გამოკითხვებში.
  - **ადაპტაცია**: შესთავაზეთ ეროვნულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნების ადგილობრივ პირობებზე მორგების გზები, კულტურული და რეგიონული განსხვავებების გათვალისწინებით.

აქტივობების ეტაპი:

- **ინტერაქტიური სავარჯიშო**: სთხოვეთ მონაწილეებს, გააზიარონ მათთვის ცნობილი ნებისმიერი ეროვნული მონაცემი ან ანგარიში თავიანთ ქვეყანაში. წაახალისეთ დისკუსია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ მონაცემების გამოყენება მათ პროფესიულ პრაქტიკაში.
- **სადისკუსიო კითხვები**:
  - „ეროვნულ მონაცემებზე დაყრდნობით, რა ძირითადი მიგნებები გამოვლინდა თქვენს ქვეყანაში ბავშვთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით?“
  - „როგორ შეგვიძლია ამ მიგნებების გამოყენება ციფრული უსაფრთხოებისა და განათლების გასაუმჯობესებლად ჩვენს ადგილობრივ თემებში?“
- **რესურსების გაზიარება**: მიაწოდეთ ბმულები შესაბამის ეროვნულ ანგარიშებსა და მონაცემთა ბაზებზე, სადაც მონაწილეები დამატებით ინფორმაციას მოიძიებენ.

დისკუსია:

- **პირადი გამოცდილება:** სთხოვეთ მონაწილეებს, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება ეროვნულ მონაცემებთან დაკავშირებით. როგორ დაეხმარა ეს მონაცემები მათ თავიანთი ფუნქციების შესრულებაში? რა ხარვეზებს ხედავენ ხელმისაწვდომ მონაცემებში?

- **მონაცემთა გამოყენება**: განიხილეთ ამ მონაცემთა გამოყენების პრაქტიკული გზები სასწავლო პრაქტიკის, მშობლების სახელმძღვანელო მითითებებისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის.

დასკვნა: ეროვნული მონაცემები ბავშვთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადამწყვეტია არსებული ტენდენციების გასაგებად, უსაფრთხოების გამოწვევების გამოსავლენად და ამ მონაცემებზე დაყრდნობით ქმედითი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესამუშავებლად. მათი გამოყენებით, შევძლებთ უკეთ დავუჭიროთ მხარი ბავშვთა მიერ ციფრული ტექნოლოგიების უსაფრთხო და პასუხისმგებლიან გამოყენებას.

სლაიდი 11-13 – მტკიცებულებები ეროვნული გარემოდან

საკითხის აქტუალობას განაპირობებს მოზარდთა უდიდესი ნაწილის მაღალი ხარისხის ჩართულობა სოციალურ ქსელებსა თუ ინტერნეტში (საქსტატი, 2021), ზოგადად, ტექნოლოგიური გაჯეტებისა და სოციალური ქსელების გამოყენების მაღალი ტენდენცია; აგრეთვე, მშობელთა/მეურვეთა, პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრატორთა კომპეტენციის დეფიციტი, თუ როგორ გამოიყენონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ეთიკის ნორმების დაცვით (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015). ამას ემატება ციფრული სამყაროს მზარდი გლობალური საფრთხეები, სხვადასხვა გამოწვევისა თუ მართული თამაშის სახით, რომელსაც, რიგ შემთხვევაში, ლეტალურ შედეგამდეც კი მივყავართ (Duggan, 2017). ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციის განვითარებას სასკოლო საზოგადოებაში.

პრაქტიკის კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში და მოიცავდა რამდენიმე ფაზას: დიაგნოსტირება, ინტერვენციები, ამ უკანასკნელთა შედეგების მონიტორინგი და შეფასება.[1]

სულ გამოიკითხა 3590 მოსწავლე და 375 მასწავლებელი.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ:

- შესწავლილ სკოლებში გამოკითხულ მე-7-9 კლასის მოსწავლეთა 73%-ს აქვს სმარტფონი. გამოკითხული მოსწავლეების ყველაზე მეტი, 45% ამბობს, რომ დღიურად, საშუალოდ, 4 საათზე მეტს ატარებს ინტერნეტში.
- მოსწავლეთა 95%-ის საცხოვრებელი ბინა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელით. აქედან 96%-ს აქვს ინტერნეტში ჩართული გაჯეტი (პლანშეტი, ლეპტოპი, მობილური/სმარტფონი, კომპიუტერი), ხოლო მათ 92%–ს აქვს პირადი სმარტფონი.
- მოსწავლეთა 97% სარგებლობს სოციალური ქსელებით და აქედან 39%-ს ფეისბუქი 11 წლამდე აქვს შექმნილი.
- გამოკითხულთა 52% მშობლებს იმ შემთხვევაში უყვება საკუთარ ონლაინაქტივობაზე, თუ ჰკითხავენ ამის შესახებ. საკუთარი ინიციატივით მშობლები შვილების ონლაინაქტივობებს არ აკონტროლებენ.
- გამოკითხულ მშობელთა 82% ამბობს, რომ მათი შვილ(ები)/აღსაზრდელ(ებ)ი სარგებლობენ პირადი სმარტფონით. ამავე დროს, გამოკითხულთა 70% ამბობს, რომ ბავშვებს აღნიშნული გაჯეტი მე–7 კლასამდე ჰქონდათ. მშობელთა 84%-ის თქმით, მათი შვილები სარგებლობენ სოციალური ქსელებით და მათგან 37%-მა 11 წლამდე ასაკში დაიწყო სოციალური ქსელის მოხმარება. ამავდროულად, 76% ამბობს, რომ მათი ან შვილების გაჯეტები არ არის აღჭურვილი მშობელთა კონტროლის ფილტრებით (მაგ. საძიებო სისტემების ან ასაკობრივად შეუსაბამო ვებგვერდების დასაბლოკი საშუალებებით).
    - გამოკითხული მშობლების 59% ამბობს, რომ მათ შვილებს, მიუხედავად შეუსაბამო ასაკისა (13 წლამდე), აქვთ ფეისბუქი. მშობელთა 57%-ს არ აქვს შემუშავებული ოჯახური შეთანხმება ინტერნეტის გამოყენებაზე, რა ინფორმაციის გაზიარება შეუძლიათ შვილებს ონლაინ, ან მობილური ტელეფონით, ხოლო 40% საერთოდ არ აკონტროლებს, რა დროს ატარებს ბავშვი ონლაინ. გამოკითხული მშობლების 33% ამბობს, რომ შვილები არ უყვებიან ონლაინსაფრთხეების შესახებ.
    - კვლევამ გამოამჟღავნა, რომ საჯარო სკოლის პედაგოგთა 58%-ს, მოსწავლეების 43%-სა

1 წყარო - ციფრული მოქალაქეობა, 2024.

და მშობლების 44%-ს არ აქვს ინფორმაცია ნეტიკეტის შესახებ. ისინი, სავარაუდოდ, არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას ონლაინქცევის წესებზე.

- კვლევის რესპონდენტებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრულ კანონმდებლობასა და ეტიკეტზე, თუმცა მიიჩნევენ, რომ პატივი უნდა სცენ სხვათა უფლებებს და, სანამ რაიმეს გამოაქვეყნებენ ონლაინ, უნდა გაიაზრონ, სხვას ხომ არ დაუშავებენ რამეს.
- შესწავლილ სკოლებში სასკოლო საზოგადოება მოსწავლეებს არ აწვდის ინფორმაციას ციფრული კომერციის შესახებ. არადა, თუ მასწავლებლებს სურთ, მოამზადონ წიგნიერი ციფრული მოქალაქე, ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (Suson, 2019).

ვინაიდან ციფრული მოქალაქეობა ქართულ კონტექსტში ახალი დარგია, ჯერჯერობით, სამართლებრივი ბაზა ამ მიმართულებით მწირია. კვლევის რესპონდენტებს ინფორმაცია ვერ ექნებოდათ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც მოიცავს 2021-2024 წლებს, ვინაიდან აღნიშნული კვლევის საველე სამუშაოები 2020 წელს ჩატარდა. შესაბამისად, რაოდენობრივმა კვლევამ ვერ აღწერა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობა ციფრული კანონმდებლობის კუთხით.

რაც შეეხება ციფრულ უსაფრთხოებას: გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობას სმენია საფრთხის შემცველი მართული ძალადობრივი თამაშების/სუიციდური ონლაინგამოწვევების შესახებ (მაგ. „1“, „მომოს გამოწვევა“, „ლურჯი ვეშაპი“ და სხვა), თუმცა ისინი არ აკვირდებიან მოსწავლეთა აქტივობებს სოციალურ ქსელში. ეს, შესაძლოა, მათი ციფრული მოქალაქეობის დონეზე მეტყველებს და უკავშირდება იმას, რომ გამოკითხულ პედაგოგებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრული მოქალაქეობის შესახებ. ამას გარდა, მშობლებმა არ იციან, როგორ შეიმუშაონ ოჯახური წესები ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ციფრული უსაფრთხოების მხრივ, კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი სკოლების პედაგოგები და მშობლები საჭიროებენ ინფორმირებულობის გაზრდასა და გადამზადებას.

კვლევის მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესწავლილ სკოლებში ჯერ არ დაწყებულა საუბარი და კომუნიკაცია მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე. როგორც მასწავლებლების გამოკითხვამ აჩვენა, ისინი ვერ ერკვევიან ციფრული მოქალაქეობის საკითხებში და ამიტომ ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან აღნიშნულ საკითხებზე საუბარს. გამოკითხულ პედაგოგთა სრული უმრავლესობა დამატებით გადამზადებას ითხოვს ციფრული მოქალაქეობის მიმართულებით. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ შესწავლილი სკოლების პედაგოგებს არ აქვთ ინფორმაცია ციფრული ეტიკეტის შესახებ.

პასუხი გაეცა კვლევით კითხვებს და დადასტურდა ჰიპოთეზა: აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებლების ნახევარს ინფორმაცია არ აქვს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და ეს კავშირში არ არის სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ასევე აღმოჩნდა, რომ პედაგოგთა ნახევარს არაფერი სმენია ციფრულ მოქალაქეობაზე - არც ეს აღმოჩნდა კორელაციაში სკოლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან.

4. რა არის ონლაინუსაფრთხოება?

სლაიდი 14 - ონლაინუსაფრთხოების ნაწილი

ზოგადი დისკუსია რიგ რისკებზე, რომელთა წინაშეც ტექნოლოგია აყენებს ბავშვებს, კონკრეტულად, ონლაინრისკების 4C ჩარჩო (შინაარსი, კონტაქტი, ქცევა და კონტრაქტი).

სლაიდი 15 – დისკუსია ონლაინუსაფრთხოების შესახებ

წაახალისეთ მონაწილეები, რომ გაგიზიარონ თავიანთი აზრი, რა არის ონლაინუსაფრთხოება, ანუ რა საკითხებს აღიქვამენ და განიცდიან.

სლაიდი 16 - ონლაინრისკები და საფრთხეები ბავშვების წინაშე

შესავალი

ამ სლაიდზე გავეცნობით ბავშვების წინაშე არსებული ონლაინრისკებისა და საფრთხეების კატეგორიზაციას. რთულ და მრავალფეროვან საფრთხეთა გასაგებად, ეფექტური მოდელია პროფესორ სონია ლივინგსტონის 4C ჩარჩო.[2]

სლაიდის მიმოხილვა

- **4C-ს მიმოხილვა**
  - 4C აღნიშნავს შინაარსს (content), კონტაქტს (contact), ქცევასა (conduct) და კონტრაქტს (contract). ეს კატეგორიები მოიცავს რისკების სპექტრს, რომლებსაც ბავშვები ინტერნეტში აწყდებიან. თითოეული კატეგორია ხაზს უსვამს პოტენციური ზიანის სხვადასხვა განზომილებას.
- **შინაარსთან დაკავშირებული რისკები:**
  - **აღწერა**: შინაარსთან დაკავშირებული რისკები მოიცავს პოტენციურად საზიანო მასალის ზემოქმედებას.
  - **მაგალითები**: ძალადობრივი, ამაზრზენი, უხამსი, რასისტული, სიძულვილის შემცველი ან ექსტრემისტული ინფორმაცია, ასევე საზიანო ან უკანონო პორნოგრაფია, კულტურის სექსუალიზაცია და სხეულის აღქმის შესახებ შემზღუდველი ნორმები.
  - **ზეგავლენა**: ასეთმა შინაარსმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და მსოფლმხედველობაზე.
- **კონტაქტთან დაკავშირებული რისკები**
  - **აღწერა**: კონტაქტის რისკებში იგულისხმება საზიანო ონლაინურთიერთობა უფროსებთან.
  - **მაგალითები**: შევიწროება, ადევნება, სიძულვილით აღსავსე ქცევა, არასასურველი ან გადაჭარბებული თვალთვალი, სექსუალური შევიწროება, გრუმინგი, სექსუალური

2 ონლაინრისკის 4C: მოკლე ანგარიში და ბლოგი ონლაინრისკების ტიპოლოგიის განახლების შესახებ, რომელიც მოიცავს შინაარსთან, კონტაქტთან, ქცევასა და კონტრაქტთან დაკავშირებულ რისკებს – CO:RE ცოდნის ბაზა (core-evidence.eu) (4 Cs of online risk: Short report & blog on updating the typology of online risks to include content, contact, conduct, contract risks – CO:RE Knowledge Base (core-evidence.eu))

გამოძალვა, ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის გაზიარება ან მოთხოვნა.

  - **ზეგავლენა**: ასეთმა ურთიერთქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური საფრთხე, მანიპულირება და ექსპლუატაცია.

- **ქცევასთან დაკავშირებული რისკები**
  - **აღწერა**: ქცევითი რისკები დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ იქცევიან ბავშვები ონლაინგარემოში და რა რისკი შეიძლება შეუქმნას მათ ამ ქცევებმა.
  - **მაგალითები**: ბულინგი, სიძულვილი ან მტრული კომუნიკაცია, თანატოლების აქტივობა, როგორიცაა ტროლინგი, გარიყვა, შერცხვენა და სარისკო გამოწვევებში მონაწილეობა. მოზარდის მიერ თვითგენერირებული სექსუალური შინაარსის მასალის მოთხოვნა, სექსუალური შევიწროება და სექსუალური გამოძალვა.
  - **ზეგავლენა**: ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს შურისძიება, კონფიდენციალურობის დაკარგვა, ან ფიზიკური და ფსიქოლოგიური საფრთხე.
- **კონტრაქტთან დაკავშირებული რისკები**
  - **აღწერა**: კონტრაქტთან დაკავშირებული რისკები მოიცავს ექსპლუატაციას კომერციული საქმიანობის გზით.
  - **მაგალითები**: იდენტობის მითვისება, თაღლითობა, ფიშინგი, გაცურება, ჰაკერობა, შანტაჟი, უსაფრთხოების რისკები, ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების გაყიდვა/ყიდვა, პირდაპირი ტრანსლირება და ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით.
  - **ზეგავლენა**: ბავშვებმა შეიძლება განიცადონ ფინანსური ზარალი, დაეკისროთ არაავტორიზებული გადასახადები და შეილახოს მათი პერსონალური ინფორმაცია. როგორც დამატებითი შენიშვნა, ბავშვთა ტრეფიკინგმა შეიძლება გამოიწვიოს [მძიმე] ტრავმები, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD), სტიგმატიზაცია, დისკრიმინაცია, იზოლაცია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები.

ურთიერთგადამკვეთი საკითხები: გარდა ამისა, ეს რისკები დაკავშირებულია ურთიერთგადამკვეთ საკითხებთან, მათ შორის, კონფიდენციალურობის დარღვევასთან, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკებთან, უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან. ეს ხაზს უსვამს ონლაინრისკების გავრცელებისა და შეღწევადობის უნარს და ყოვლისმომცველი დამცავი ზომების აუცილებლობას.

განსახილველი საკითხები - კითხვები აუდიტორიის ჩასართავად:

- როგორ ხედავთ ამ რისკების გამოვლინებას თქვენს პროფესიულ გამოცდილებაში?
- თქვენი გამოცდილებით, რა სტრატეგიები აღმოჩნდა ქმედითი ბავშვებისთვის ამ რისკების შესამცირებლად?

დასკვნითი შენიშვნები

„4 C“-ს ჩარჩოს გაგება გვეხმარება, უკეთ დავიცვათ ბავშვები ციფრულ ეპოქაში. იგი ხაზს უსვამს სიფხიზლისა და პროაქტიული ზომების მნიშვნელობას მათი ონლაინუსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

5. ონლაინუსაფრთხოებასთან/ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები

სლაიდი 17

ონლაინუსაფრთხოების უფრო სერიოზული რისკების მეტად სიღრმისეულად შესწავლისა და განხილვის შესაძლებლობა; როგორ შეიძლება ეს რისკები უკავშირდებოდეს ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას - რომელი საკითხები ეხებათ სპეციფიკურად ბავშვებს?

სლაიდი 18 - ზოგადი საკითხები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ბავშვთა ონლაინუსაფრთხოებაზე

სლაიდის მიმოხილვა:

- **შინაარსი**: შესავალი ექვსი ძირითადი საკითხისათვის: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია და ცრუ ინფორმაცია, ბულინგი, საზიანო შინაარსი და ზეგავლენა.

საკვანძო საკითხები:

- **შესავალი ძირითადი საკითხებისთვის**
  - ონლაინუსაფრთხოების სხვადასხვა საკითხის გაგების მნიშვნელობა, რომლებიც ბავშვებზე ახდენენ ზემოქმედებას.
  - ამ საკითხების ურთიერთდაკავშირებული ბუნება მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას.
- **ჯანმრთელობა და კეთილდღეობა**: ტექნოლოგიები და სერვისები შექმნილია იმისათვის, რომ დაარწმუნონ და აიძულონ მომხმარებლები, გააგრძელონ მათი გამოყენება და მუდმივად უბრუნდებოდნენ მათ. სესიაზე განიხილება დამაჯერებელი დიზაინის მაგალითები და ფსიქოლოგია, რომელსაც იგი ეყრდნობა, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვებზე, არამედ მშობლებზეც, რადგან ეს, პოტენციურად, მათ ყურადღებას იზიდავს თავიანთი შვილების უგულებელყოფის ხარჯზე.
- **კიბერუსაფრთხოება**: მოწყობილობათა უსაფრთხოება სულ უფრო მეტ გამოწვევას ქმნის ორგანიზებული დანაშაულის კონტექსტში.
- **დეზინფორმაცია და ცრუ ინფორმაცია**: გენერაციული AI რევოლუციური ტექნოლოგიაა და იგი ხელს უწყობს კონტენტის შექმნას, რომელიც ყოველთვის ზუსტი არ არის.
- **ბულინგი**: ონლაინბულინგისა და მისი ზეგავლენის შესწავლა.
- **საზიანო შინაარსი**: მოწყვლადობაზე მსჯელობა - ისინი, ვინც ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან ონლაინ, ასეთივე რისკის ქვეშ არიან რეალურ სამყაროში.
- **ზეგავლენა**: იმის მიმოხილვა, თუ რა გავლენას ახდენს ტექნოლოგია (ინფლუენსერები) და გარემო (თანატოლები, და-ძმა) ბავშვებზე და რა ზემოქმედება აქვს მას (სხეულის გამოსახულება, რაიმე საინტერესოს გამოტოვების შიში და სხვა).

შემდეგ მოჰყვება სესია ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე:

- ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის გაგებისა და ამ პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობა.
- შემდეგ სესიაზე განსახილველი ძირითადი თემებია:
    - საზიანო სექსუალური ქცევა ონლაინ
    - ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა, მათ შორის, ხელოვნურად შექმნილი
    - ფინანსების გამოძალვა
    - ბავშვთა ონლაინექსპლუატაცია
    - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საფრთხეების შეფასება.

სლაიდი 19 – ზეგავლენა ონლაინ

სლაიდის მიმოხილვა:

- შინაარსი: როგორ ახდენენ ბავშვებზე ზეგავლენას ონლაინ - მიმოხილვა მაგალითებისა და კონკრეტული შემთხვევების გამოყენებით.

საკვანძო საკითხები:

- შესავალი ონლაინზეგავლენასთან დაკავშირებული საკითხებისათვის:
    - იმის გააზრების მნიშვნელობა, თუ როგორ ახდენენ ბავშვებზე ზეგავლენას ციფრულ სამყაროში.
    - ზეგავლენის სხვადასხვა წყარო, მათ შორის, სოციალური მედია, ინფლუენსერები, თანატოლები და თავად ტექნოლოგია.
- **ზეგავლენის მექანიზმები:**
    - ალგორითმები და პერსონიფიცირებული შინაარსი, რომელიც მიმართულია ბავშვების ინტერესებსა და ქცევებზე.
    - სოციალური მედიაინფლუენსერების როლი ბავშვთა მოსაზრებების, ქცევებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებაში.
    - თანატოლების ზეგავლენა სოციალური ქსელებისა და ონლაინ ინტერაქციის საშუალებით.
- **ზეგავლენის სახეები**:
    - დადებითი ზეგავლენა: საგანმანათლებლო შინაარსი, მხარდამჭერი თემი.
    - უარყოფითი ზეგავლენა: სხეულის იმიჯის პრობლემები, რაიმე საინტერესოს გამოტოვების შიში, თანატოლების ზეწოლა.
- **განსახილველი საკითხები**:
    - როგორ დაეხმარებიან მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს ონლაინზეგავლენის მართვაში.
    - ბავშვებში კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების წახალისების სტრატეგიები.
    - ონლაინაქტივობის მონიტორინგისა და საზღვრების დაწესების მნიშვნელობა.
- **მონაწილეების ჩართვასთან დაკავშირებული რჩევები:**
    - წაახალისეთ მონაწილეები, გააზიარონ თავიანთი დაკვირვებები ან შეშფოთება ბავშვების ონლაინქცევის შესახებ.
    - გამოიყენეთ რეალური მაგალითები და კონკრეტული შემთხვევები გარკვეულ ასპექტთა საილუსტრაციოდ.
    - გამოყავით დრო კითხვებისა და დისკუსიისათვის საკითხის სიღრმისეულად გაგების ხელშესაწყობად.

სლაიდი 20

ვიდეოკლიპის ჩვენება - ვიდეო აჩვენებს, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ხშირად იმას, რომ ადამიანი მაქსიმალურად დადებითად და კარგად გამოიყურებოდეს ონლაინ, რაც ყოველთვის არ შეესაბამება სიმართლეს ან რეალურ ცხოვრებას.

სხეულის იმიჯი, როგორც მაგალითი.

სხეულის იმიჯის საკითხები ონლაინ:

- **იდეალიზებულ გამოსახულებათა ზეგავლენა**: სოციალური მედიაპლატფორმები ხშირად აჩვენებენ სილამაზისა და სხეულის სტანდარტების რედაქტირებულ, გაფილტრულ და იდეალიზებულ გამოსახულებებს, რამაც შეიძლება არარეალური მოლოდინები შექმნას.
- **შედარების კულტურა**: ამ გამოსახულებათა მუდმივი ზემოქმედებით, ადამიანები შედარებას იწყებენ, რაც მათ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, თავს არაადეკვატურად აგრძნობინებს, ან საკუთარი სხეულით უკმაყოფილებას წარმოშობს.
- **თანატოლთა ზეწოლა:** ურთიერთობა ონლაინ შეიძლება მოიცავდეს კომენტარებსა და მოწონებებს, რაც აძლიერებს გარეგნობის მნიშვნელობას და იდეალებთან შესაბამისობისაკენ სწრაფვის წნეხს.
- **კიბერბულინგი**: ნეგატიურმა კომენტარებმა და გარეგნობის გამო შერცხვენამ შეიძლება გაამწვავოს სხეულის იმიჯის პრობლემა და ხელი შეუწყოს დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებს.

ონლაინზეგავლენის შედეგები:

- **ფსიქიკური ჯანმრთელობა**: ონლაინკონტენტის ზეგავლენით, სხეულის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, შფოთვა, კვებითი დარღვევები და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.
- **ქცევის ცვლილებები**: სხეულის იდეალური სტანდარტების მისაღწევად, ადამიანი შეიძლება ჩაერთოს არაჯანსაღ ქცევაში, როგორიცაა ექსტრემალური დიეტა ან გადაჭარბებული ვარჯიში.
- **თვითშეფასება**: ხშირმა შედარებამ და უარყოფითმა გამოხმაურებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეასუსტოს ადამიანის თვითშეფასება და თავდაჯერებულობა.

საერთო ზემოქმედება

ონლაინზეგავლენა ღრმად აისახება სხეულის იმიჯზე, არარეალური სტანდარტებისა და შედარების კულტურის ხელშეწყობით, ზოგჯერ ზიანს აყენებს ფსიქიკურ ჯანმრთელობას და უარყოფითი ქცევის მოდელისკენ უბიძგებს.

სლაიდი 21 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

სლაიდი 22 – ონლაინ გატარებული დრო

სადისკუსიო კითხვები:

- რამდენ დროს ატარებენ ბავშვები ონლაინ?
- რამდენ დროს ატარებენ ზრდასრულები ონლაინ?
- ატარებს თუ არა ჯგუფი ძალიან ბევრ ან ძალიან ცოტა დროს ონლაინ?

სლაიდი 23 - ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა - დამაჯერებელი დიზაინი

სლაიდის მიმოხილვა:

- **შინაარსი**: გარკვევა, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიაში გათვალისწინებული დამაჯერებელი დიზაინი ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, შესაბამისი მაგალითები და ინტერაქტიური კითხვები.

საკვანძო საკითხები:

- **შესავალი დამაჯერებელი დიზაინის საკითხებისათვის**:
  - **განმარტება**: დამაჯერებელი დიზაინი გულისხმობს ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენებას, მომხმარებლის ქცევაზე ზემოქმედების მიზნით.
  - **მიზანი**: შექმნილია მომხმარებელთა დროის მონოპოლიზებისა და მათი მოწყობილობებითა თუ სერვისებით აქტიურად სარგებლობის წასახალისებლად.
- **ინტერაქტიური კითხვები აუდიტორიის ჩასართავად**:
  - **კითხვა**: „რა გააკეთეთ ამ დილით გაღვიძებისთანავე?“
    - სავარაუდო პასუხი: გავეცანი ახალ ამბებს, შეტყობინებებს ან სოციალური მედიის სიახლეებს, მობილური მოწყობილობის გამოყენებით.
  - **კითხვა**: „ბოლოს როდის შეამოწმეთ თქვენი ტელეფონი?“
    - ხაზი გაუსვით ამ ქცევის სიხშირესა და ავტომატურ ხასიათს.
- **დამაჯერებელი დიზაინის ტექნიკის ახსნა:**
  - განახლების მექანიზმი:
    - **ანალოგია**: აზარტულ თამაშებსა და სათამაშო აპარატებთან შედარება.
    - **ქმედება**: განაახლეთ შემოსული შეტყობინებები ან სოციალური მედიის სიახლეები, სლოტ აპარატის სახელურის მოქაჩვის მსგავსად.
    - **ზეგავლენა**: ქმნის მოლოდინს და აიძულებს მომხმარებლებს, გააგრძელონ განახლებების შემოწმება.
  - **სნეპჩატის ჯაჭვი (napstreaks)**:
    - **განმარტება**: ფუნქცია სნეპჩატში, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს უგზავნიან სნეპებს, ჯაჭვის შესანარჩუნებლად.
    - **ზეგავლენა**: ხელს უწყობს ყოველდღიურ ჩართულობასა და რეგულარულ ინტერაქციას, ჯაჭვი რომ არ გაწყდეს.
  - **სამი წერტილი (ტექსტის აკრეფის ინდიკატორები)**:
    - **აღწერა**: მოციმციმე წერტილები, რომლებიც მიუთითებს, რომ ვიღაც პასუხობს შეტყობინებას.
    - **მიზანი**: ხელს უწყობს, რომ მომხმარებლები დარჩნენ შეტყობინებების აპლიკაციაში და დაელოდონ პასუხს.
    - **ეფექტურობა**: ზრდის აპლიკაციაში გატარებული დროის ხანგრძლივობას, როდესაც მომხმარებლები ელოდებიან შემომავალ შეტყობინებებს.
- **ზეგავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე**:
  - **ეკრანთან ხანგრძლივად გატარებულმა დრომ შეიძლება გამოიწვიოს**:
    - შფოთვა და სტრესი.
    - ძილის რეჟიმის დარღვევა.
    - პირისპირ სოციალური ურთიერთობის შემცირება.
  - მოწყობილობებთან მუდმივმა ინტერაქციამ შეიძლება გადაიტანოს ადამიანის ყურადღება რეალურ ცხოვრებაში ურთიერთქმედებიდან და პასუხისმგებლობებიდან.
- **განსახილველი საკითხები**:
  - როგორ შეუძლიათ მომხმარებლებს, ფლობდნენ ინფორმაციას დიზაინის ამ ტექნიკების შესახებ?
  - რა სტრატეგიების გამოყენება შეიძლება დამაჯერებელი დიზაინის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად?
  - მშობლებისა და მასწავლებლების როლი ბავშვთა დასახმარებლად, ეკრანთან

გატარებული დროის მართვასა და ჯანსაღი ციფრული ჩვევების მოდელად ქცევა.

მონაწილეების ჩართვასთან დაკავშირებული რჩევები:

- წაახალისეთ აუდიტორია, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება დამაჯერებელი დიზაინის მახასიათებლებთან დაკავშირებით.
- გამოიყენეთ რეალური მაგალითები და ჩაატარეთ დემონსტრირება მობილური მოწყობილობის დახმარებით.
- დაუთმეთ დრო კითხვებსა და რეფლექსიას, საკითხის სიღრმისეულად გაგებისათვის.

სლაიდი 24 – კიბერუსაფრთხოება

სლაიდი 25 - კიბერუსაფრთხოების, ონლაინუსაფრთხოების, დაცვისა და მედიაწიგნიერების ურთიერთგადაკვეთა

სლაიდის მიმოხილვა:

- **შინაარსი**: დისკუსია კიბერუსაფრთხოების, ონლაინუსაფრთხოების, დაცვისა და მედიაწიგნიერების ურთიერთკავშირის შესახებ.

საკვანძო საკითხები:

- **შესავალი ურთიერთდაკავშირებული ცნებებისათვის:**
  - განმარტეთ, რომ კიბერუსაფრთხოება, ონლაინუსაფრთხოება, დაცვა და მედიაწიგნიერება არ არის ერთმანეთისგან იზოლირებული ცნებები; ისინი ხშირად ურთიერთგადამკვეთია და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.
  - ხაზი გაუსვით ამ ურთიერთგადაკვეთის გააზრების მნიშვნელობას, ციფრული კეთილდღეობისადმი ჰოლისტიკური მიდგომის შემუშავების კუთხით.
- **განსაზღვრებები:**
  - **კიბერუსაფრთხოება**: ინტერნეტთან დაკავშირებული სისტემების, მათ შორის, ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემების დაცვა კიბერშეტევებისგან.
  - **ონლაინუსაფრთხოება**: პრაქტიკა და ტექნოლოგიები მომხმარებლების, განსაკუთრებით, ბავშვების დასაცავად ისეთი ონლაინსაფრთხეებისგან, როგორიცაა კიბერბულინგი, ექსპლუატაცია და შეუსაბამო შინაარსი.
  - **დაცვა**: ზომები ადამიანების, განსაკუთრებით, ბავშვებისა და მოწყვლად ზრდასრულთა ზიანის, ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დასაცავად, როგორც ონლაინ, ისე რეალურ გარემოში.
  - **მედიაწიგნიერება**: სხვადასხვა ფორმით მედიაზე წვდომის, მისი ანალიზის, შეფასებისა და შექმნის უნარი და საზოგადოებაში მედიის როლის გაცნობიერება.
- **ურთიერთკავშირის მაგალითები:**
  - **მაგალითი 1:** ფიშინგის სქემები
    - **კიბერუსაფრთხოების ასპექტი**: ტექნიკური ზომები ფიშინგის მცდელობათა გამოვლენისა და თავიდან აცილებისთვის.
    - **ონლაინუსაფრთხოების ასპექტი:** მომხმარებელთათვის ელექტრონული ფოსტით მიღებული ფიშინგის ამოცნობის სწავლება, რათა მათ არ დააწკაპუნონ საეჭვო ბმულებზე.
    - **დაცვის ასპექტი:** სენსიტიური ინფორმაციის დაცვა მათი გამოყენებისაგან მავნე განზრახვის მქონე პირთა მხრიდან.
    - **მედიაწიგნიერების ასპექტი:** იმის გაგება, თუ როგორ იქმნება ფიშინგის თაღლითური სქემები და მათ უკან არსებული მოტივების გაცნობიერება.
  - **მაგალითი 2:** სოციალური მედიის გამოყენება
    - **კიბერუსაფრთხოების ასპექტი**: კონფიდენციალურობის პარამეტრების ისეთი

კონფიგურაციის უზრუნველყოფა, რომ პერსონალური მონაცემები იყოს დაცული.

- **ონლაინუსაფრთხოების ასპექტი**: ინფორმირებულობა კიბერბულინგისა და ონლაინმძარცველების შესაძლებლობათა შესახებ.
- **დაცვის ასპექტი**: ბავშვების სოციალურ მედიასთან ურთიერთობის მონიტორინგი და ხელმძღვანელობა, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- **მედიაწიგნიერების ასპექტი**: სოციალურ მედიაში არსებული კონტენტის კრიტიკული შეფასება და მისი პოტენციური ზეგავლენის გააზრება.

- **ინტეგრირებული მიდგომის მნიშვნელობა**:
  - ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ამ სფეროებზე იზოლირებულად რეაგირებას შეიძლება მოჰყვეს ხარვეზები უსაფრთხოების დაცვისა და განათლების მიმართულებით.
  - ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ დაცვას და აძლიერებს მომხმარებლებს ცოდნითა და უნარებით, ციფრულ სამყაროში უსაფრთხოდ ნავიგაციისთვის.
- **პრაქტიკული გამოყენება:**
  - **პედაგოგებისათვის**: სასწავლო პროცესში ჩართეთ გაკვეთილები, რომლებიც მოიცავს ყველა ამ საკითხს, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ ციფრული უსაფრთხოების ასპექტები.
  - **მშობლებისთვის**: ყოველთვის იცოდეთ ბავშვთა ონლაინაქტივობების შესახებ, ტექნიკურ დაცვასთან ერთად, მიმართეთ ღია საუბრებს ონლაინ უსაფრთხო ქცევაზე.
  - **პოლიტიკის შემქმნელებისთვის**: დანერგეთ პოლიტიკა, რომელიც ასახავს ამ სფეროების ურთიერთდაკავშირებულ ხასიათს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრული და ქმედითი რეგულაციების შემუშავებას.

მონაწილეების ჩართვასთან დაკავშირებული რჩევები:

- გამოიყენეთ რეალური სცენარები იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გადაიკვეთება ეს ცნებები ციფრულ გარემოში ყოველდღიურად, ინფორმაციის მიმოცვლისას.
- წაახალისეთ აუდიტორიის მონაწილეობა, სთხოვეთ მათ, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება ონლაინუსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებით.
- მიაწოდეთ პრაქტიკული რჩევები და რესურსები ამ ასპექტების ყოველდღიურ რუტინაში ინტეგრირებისთვის.

სლაიდი 26 – რა საშიშროებას უქმნის სკოლებს კიბერუსაფრთხოება

სლაიდის მიმოხილვა:

- **შინაარსი**: ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ სკოლები და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები კიბერუსაფრთხოების თაღლითური სქემების მთავარი სამიზნეა. მოიყვანეთ შესაბამისი ეროვნული მონაცემები პირად მონაცემებში შეღწევის სიხშირის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია აღწერს ამ ტიპის დანაშაულთა ზოგად სურათს და არა კონკრეტულად სკოლებში გამომძალველების შეღწევას. ასეთი მასალა საქართველოში არ მოგვეპოვება.

რა სახის დანაშაულია გავრცელებული საქართველოში?

საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, 2021-2023 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულები, რომელთა უმეტესობა ჩადენილია ონლაინსივრცეში) დაზარალებულად ცნეს 16 არასრულწლოვანი. კერძოდ, 2021 წელს - 7, 2022 წელს - 3, ხოლო 2023 წლის 6 თვეში - 5 არასრულწლოვანი.

არასრულწლოვანთა უმრავლესობის მიმართ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა).

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, არასრულწლოვანთა მიმართ ამ კატეგორიის დანაშაულების მოტივია, ძირითადად, შურისძიება, ანგარება, იძულება და სხვა,

ჩადენილია ელექტრონული მოწყობილობების, ინტერნეტაპლიკაციებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტში მუქარითა და იძულებით ინტიმური ხასიათის ფოტოების/ვიდეოების მოთხოვნა როგორც ზრდასრულებისგან, ასევე ბავშვებისგან. აღნიშნული დანაშაული ცნობილია **სექსუალური გამოძალვის (Sextortion)** სახელით და იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კვალიფიცირდება პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფად.

ასეთ დროს სექსუალურმა გამომძალველმა, შესაძლოა, დაარწმუნოს მსხვერპლი, რომ იგი უკვე ფლობს ინტიმური შინაარსის ფოტოს ან ვიდეომასალას მისი გამოსახულებით, რომელსაც გაასაჯაროებს, თუ მსხვერპლი მას დამატებით არ გადაუგზავნის სხვა ფოტოებს ან ვიდეოებს. უმეტესწილად, ამ ტიპის დანაშაული იწყება იმით, რომ ადამიანებს ჰგონიათ, კომუნიკაცია აქვთ თანატოლთან, რომელიც რეალურად დაინტერესებულია მათთან გულწრფელი ურთიერთობით, ან ზოგჯერ პირი მათ სთავაზობს რაღაც ღირებულს, ან უმიზეზოდ ცდილობს მათი ნდობისა თუ კეთილგანწყობის მოპოვებას.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს წარმოებაში აქვს საქმეები, სადაც ფიგურირებენ, სავარაუდოდ, პედოფილი გამომძალველები, რომლებიც სოციალურ ქსელებში ყალბი პროფილებით უკავშირდებიან მცირეწლოვან ბავშვებს, სხვადასხვა მანიპულაციით ახერხებენ მათი ნდობის მოპოვებას და შემდეგ ცდილობენ, დაიყოლიონ მათთვის სასურველი ქმედების შესრულებაზე. ხშირად ამას თან ახლავს ბავშვის იძულება შანტაჟითა და მუქარით. კერძოდ, გამომძალველი ბავშვისგან ითხოვს ვიდეოზარის დროს გაშიშვლებას, შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოს ან ვიდეოს გადაღებას და გადაგზავნას, შეხვედრას ან ვიდეოზარისას სექსუალური ხასიათის ქმედებას, სექსუალური შინაარსის მიმოწერას ან სხვა სახიფათო მოქმედებას, რასაც შეუძლია ბავშვის ფსიქიკას მძიმე ტრავმა მიაყენოს.

როგორ ატყუებენ სექსუალური გამომძალველები ბავშვებსა და მოზარდებს?

- მსგავს დანაშაულებს ჩადიან გამოცდილი გამომძალველები. მოზარდთან დაკავშირების საშუალებად იყენებენ ნებისმიერ ვებგვერდს, თამაშს, აპლიკაციასა ან პლატფორმას ონლაინ. გამომძალველმა კომუნიკაციის დამყარება შესაძლოა დაიწყოს კომპლიმენტებით, რომანტიკული ურთიერთობის დაწყების მოჩვენებითი სურვილით ან ნდობის სხვა ფორმით მოპოვებით.
- ასევე, კომუნიკაციის დასამყარებლად, გამომძალველები მსხვერპლს მოტყუებით სთავაზობენ მისთვის მნიშვნელოვანსა და ღირებულს, ინტიმური ფოტოების/ვიდეოების გადაგზავნის სანაცვლოდ. შესაძლოა, ეს იყოს სამოდელო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა, ონლაინთამაშებისთვის საჭირო კრედიტები და კოდები, ფული, კრიპტოვალუტა ან სასაჩუქრე ბარათები.
- ზოგიერთ შემთხვევაში, ნდობის მოსაპოვებლად, გამომძალველები მოტყუებით არწმუნებენ მსხვერპლ მოზარდს, რომ თვითონაც გაუგზავნიან ინტიმური შინაარსის მასალას ან მართლაც უგზავნიან და ამით ახალისებენ, რომ მანაც მიმართოს ანალოგიურ მოქმედებას.
- ზოგჯერ სექსუალური გამომძალველი პირდაპირ გადადის მუქარაზე და მოტყუებით არწმუნებს მსხვერპლს, რომ თითქოს მას უკვე აქვს ინტიმური შინაარსის ფოტო/ვიდეო მისი გამოსახულებით, რომელსაც გაავრცელებს, თუ მის მოთხოვნას არ დაემორჩილება. ასევე, მოძალადე შეიძლება დაემუქროს მოზარდს, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზიანს მიაყენებს მისთვის ძვირფას ადამიანებს ან სხვებს ეტყვის, რა ცუდად მოიქცა გადაგზავნილ ვიდეოში, რაც მისი და საყვარელი ადამიანების რეპუტაციას ძალიან დააზიანებს. პირველი ფოტოს/ვიდეოს ხელში ჩაგდების ან სექსუალური შინაარსის მიმოწერის დაწყების შემდეგ, გამომძალველები მსხვერპლს, ძირითადად, ემუქრებიან მათი გავრცელებით და შანტაჟით ცდილობენ დამატებითი ფოტოების/ვიდეოების მიღებასა და შემდგომი კომუნიკაციის გაგრძელება/გახანგრძლივებას.

როგორ გამოიყურება გამომძალველის პროფილი?

- გამომძალველები სოციალურ ქსელებში ხშირად ქმნიან ყალბ, მოზარდი გოგონებისა და ბიჭების პროფილებს.
- გამომძალველების ანგარიშებს, ძირითადად, ჰყავთ ცოტა მიმდევარი (Follower), მეგობარი და ადვილად მისახვედრია, რომ ახალი შექმნილია.

- მეტი სანდოობისთვის, გამომძალველები სოციალურ ქსელებში ხშირად ხდებიან ბავშვის ან მასთან დაახლოებული პირების გამომწერები/მეგობრები.
- გამომძალველები ზოგჯერ ახერხებენ მსხვერპლთან დაახლოებული პირების რეალური სოციალური ანგარიშების გატეხას (კიბერდანაშაულის ინსტრუმენტების გამოყენებით) ან ქმნიან ზუსტად მსგავს პროფილებს, რაც მათ უადვილებს მსხვერპლთან კომუნიკაციის დაწყებას.

მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მოამზადა საინფორმაციო კლიპი ონლაინ სექსუალური ძალადობის შემთხვევის შესახებ:

https://www.facebook.com/sis.gov.ge/videos/845664044094003

სექსუალური გამოძალვის შემთხვევაზე შეტყობინებისათვის ან სპეციალური საგამოძიებო სამსახურისგან დახმარების მისაღებად, მსხვერპლს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე - 199, ან წარადგინოს განცხადება და პირადად მივიდეს საგამოძიებო სამსახურის ოფისებში - თბილისში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში (მალე რუსთავსა და გორში), ან შეტყობინება გააგზავნოს სოციალურ ქსელში, ელექტრონულ ფოსტაზე.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ასევე ფუნქციონირებს მსხვერპლთა დახმარების სამმართველო, სადაც მუშაობენ პროფესიონალი და სპეციალიზებული თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ სათანადო უნარები, მხარდაჭერა აღმოუჩინონ სექსუალური გამოძალვის დანაშაულის მსხვერპლ პირებს.

საკვანძო საკითხები:

- **შესავალი კიბერუსაფრთხოების კუთხით საშიშროებისათვის**: მიმოიხილეთ კიბერუსაფრთხოების თავდასხმების მზარდი რაოდენობა, რომელთა სამიზნეა სკოლები და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციები.
- **სკოლების მონაცემებში შეღწევა**: აღნიშნეთ, რომ სკოლა განსაკუთრებით დაუცველია მონაცემებში შეღწევის თვალსაზრისით, რადგან ფლობს ღირებულ პერსონალურ ინფორმაციას, როგორიცაა მოსწავლეთა მონაცემები და პერსონალთან დაკავშირებული დეტალები.
- **ეროვნული მონაცემების მაგალითი:**
    - ჩაანაცვლეთ გაერთიანებული სამეფოს მაგალითი შესაბამისი ეროვნული მონაცემებით, რომელიც აჩვენებს სკოლებში მონაცემთა მთლიანობის დარღვევის სიხშირეს.
    - საქართველოში, უშუალოდ საგანმანათლებლო სივრცეში, მათ შორის, სკოლებში გამომძალველთა შეღწევის შესახებ ინფორმაცია არ არის ცნობილი.
    - განცხადების მაგალითი: „ბოლო ეროვნული მონაცემები მიუთითებს, რომ სკოლები უფრო ხშირად ხდებიან კიბერთავდასხმების სამიზნე სხვა სექტორებთან შედარებით“.
- **რატომ ხდებიან სკოლები სამიზნე: განიხილეთ, რატომ არის სკოლა მიმზიდველი სამიზნე:**
    - ინახავს სენსიტიურ პერსონალურ ინფორმაციას.
    - შეიძლება ჰქონდეს კიბერუსაფრთხოების უფრო სუსტი დაცვა.
    - მისი რესურსები შეზღუდულია კიბერუსაფრთხოების ძლიერი ზომების გასატარებლად.
- **კიბერუსაფრთხოების დარღვევის ზეგავლენა: განმარტეთ სკოლების მონაცემებში შეღწევის შედეგები**:
    - საგანმანათლებლო საქმიანობის შეფერხება.
    - რემედიაციის ფინანსური ხარჯი.
    - მშობლების, მოსწავლეებისა და პერსონალის მხრიდან ნდობის დაკარგვა.
    - ვინაობის მოპარვისა და პერსონალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.
- **კიბერუსაფრთხოების ზომების მნიშვნელობა:**
    - ხაზი გაუსვით საგანმანათლებლო დაწესებულებებში კიბერუსაფრთხოების ქმედითი პრაქტიკის აუცილებლობას.
    - ახსენეთ პერსონალისა და მოსწავლეების ტრენინგის მნიშვნელობა კიბერსაფრთხეების ამოცნობისა და მათზე რეაგირების საკითხებზე.

მონაწილეების ჩართვასთან დაკავშირებული რჩევები:

- გამოიყენეთ მარტივი გრაფიკა ან დიაგრამა სკოლის მონაცემთა მთლიანობის დარღვევის შემთხვევათა მატების საილუსტრაციოდ.
- წაახალისეთ დისკუსია, ჰკითხეთ აუდიტორიას, იციან თუ არა რაიმე ადგილობრივი ინციდენტების ან სკოლების მიერ კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად მიღებული ზომების შესახებ.

სლაიდი 27 - როგორ ვლინდება საფრთხეები სკოლებში

- **შესავალი**: ამ სლაიდზე მიმოხილულია, თუ როგორ ვლინდება სკოლაში საშიშროებები კიბერუსაფრთხოების კუთხით.
- **ეროვნული მონაცემები**: საქართველოში არ არსებობს მონაცემები იმაზე, ხდება თუ არა შეღწევა სკოლებში ან ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებში.
- **საკვანძო საკითხები**:
    - **ფიშინგის შეტევები**: სკოლების უმრავლესობის აზრით, ფიშინგის შეტევები ყველაზე გავრცელებული საფრთხეა.
    - **თავის სხვა პირად გასაღება (პერსონაცია)**: ბევრმა სკოლამ განაცხადა ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც კიბერდამნაშავეები თავს გარკვეულ ორგანიზაციებად/პირებად ასაღებდნენ ადამიანების მოსატყუებლად, რათა მათ სენსიტიური ინფორმაცია გაემჟღავნებინათ.
    - **მავნე პროგრამები**: ვირუსები, ჯაშუშური და სხვა მავნე პროგრამები დასახელდა, როგორც საფრთხე სკოლის მონაცემებისა და ქსელის უსაფრთხოებისთვის.
    - **მოსწავლეების მიერ არაავტორიზებული წვდომა**: ასევე აღინიშნა მოსწავლეების მიერ ფაილებზე ან ქსელებზე არაავტორიზებული წვდომის შემთხვევები.
    - **ანგარიშების გატეხა**: გამოვლინდა ონლაინ საბანკო ანგარიშებისა და სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი სისტემების გატეხის მცდელობები.
    - **პროგრამული შეტევა გამოსასყიდის მიღების მიზნით**: საგანმანათლებლო დაწესებულებებს ასევე საშიშროებას უქმნის პროგრამული შეტევა გამოსასყიდის მიღების მიზნით, როცა მონაცემები იბლოკება და მათზე წვდომისთვის გამოსასყიდს ითხოვენ.
- **დასკვნა**: ეს მაგალითები ხაზს უსვამს სკოლებსა და ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციებში კიბერუსაფრთხოების მკაცრი ზომების მნიშვნელობას. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიფხიზლე და პროაქტიულად მოქმედება ამ განვითარებადი საფრთხეებისგან თავის დასაცავად.

საქართველოს განათლების სისტემის შესახებ, ამ კუთხით შეიძლება ითქვას შემდეგი:

საქართველოს განათლების პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ გასულ წლებთან შედარებით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ციფრული მოქალაქეობის სწავლების კუთხით მნიშვნელოვანი წინსვლაა. საქართველოს განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში, კერძოდ, 2020 წლის ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განახლებულ ვერსიებში პირველად გაჩნდა ჩანაწერი ციფრული მოქალაქეობის შესახებ. მესამე თაობის (2018–2024) ეროვნული სასწავლო გეგმის 2020 წლის რედაქციის პირველი კარის მეორე თავში - „სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები“ – აღნიშნულია ციფრული წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების, როგორც ზოგადი წიგნიერების კომპონენტების მნიშვნელობა საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების ხანაში. მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების კომპეტენციის განვითარება განისაზღვრება კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სტანდარტით. ამასთან, ის არის და უნდა იქცეს გამჭოლ კომპეტენციად. სტანდარტი მიმოიხილავს როგორც ციფრული წიგნიერების, ასევე კიბერცნობიერების, მედიაწიგნიერებისა და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ასახავს არა მარტო მისაღწევ შედეგებს, არამედ განასხვავებს კომპეტენციის დონესა და მის ინდიკატორებს და გვთავაზობს შესაბამის მაგალითებს (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018–2024).

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა მასწავლებლის ზოგადი კომპეტენციების ნაწილში (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020). ისეთი კომპეტენციები,

როგორიცაა მედიაწიგნიერება, ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება სავალდებულო გახდა როგორც პროფესიაში შემსვლელი, ასევე მოქმედი მასწავლებლებისთვის. მაგალითად, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების მე–2 თავის მე–5 მუხლის დ. ქვეპუნქტში ვკითხულობთ: „სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მასწავლებელმა უნდა შეძლოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და ციფრული მოქალაქეობის პრინციპების გათვალისწინება“. ამასთან, სასწავლო რესურსების მუხლში ცალკე პუნქტი ეხება მასწავლებლებში მედიაწიგნიერების კომპეტენციის მნიშვნელობას: მასწავლებელი ვალდებულია, „სასწავლო მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, შეძლოს სასწავლო რესურსის მოძიება ან/და მომზადება, მედიაწიგნიერების პრინციპების გათვალისწინებით“ (მეორე თავი, მეშვიდე მუხლი, პუნქტი ე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020). ამრიგად, ზოგადი განათლების განმსაზღვრელი პოლიტიკის ორივე ფუნდამენტურ დოკუმენტში - როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ისე მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში - გათვალისწინებულია ციფრული მოქალაქეობის ძირითადი კომპონენტები. გარდა ზემოხსენებული განათლების პოლიტიკის დოკუმენტებისა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის დოკუმენტი „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“ (საქართველოს მთავრობა, 2021), რომელიც დამტკიცდა 2022 წელს. კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი მესამე რედაქციაა და მასში პირველად არის გათვალისწინებული განათლების კომპონენტი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებს, სადაც ციფრული მოქალაქეობის სწავლება - როგორც მრავალდარგობრივი მიმართულება - მოიცავს როგორც კიბერცნობიერებას, ისე ციფრული უსაფრთხოების, მედიაწიგნიერების, ციფრული წიგნიერებისა და სხვა მომიჯნავე კომპეტენციების ერთობას. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა გულისხმობს მის აღსრულებას არაერთი აქტორის მიერ, მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობას. სტრატეგიის მესამე რედაქცია მოქმედია 2024 წლის ჩათვლით. სტრატეგიაში მნიშვნელოვან ამოცანებად აღნიშნულია: „კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და განათლების დონის ამაღლება (ამოცანა 1.1); ასევე, კიბერსაფრთხეებისა და რისკების შესახებ ინფორმაციული საზოგადოებისა და ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება (ამოცანა 1.2) და, ციფრული მოქალაქეობის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო კურსებისა და სასწავლო მასალების უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობა, 2021).“[3]

სლაიდი 28 - ცრუ ინფორმაცია და დეზინფორმაცია

- **შესავალი ცრუ ინფორმაციისა და დეზინფორმაციის საკითხებისათვის:**
  - **ცრუ ინფორმაციაში** იგულისხმება ყალბი ან არაზუსტი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება მავნე განზრახვის გარეშე. ეს შეიძლება მოხდეს ჭორების, გაუგებრობების ან ფართოდ გაზიარებული გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამო.
  - **დეზინფორმაცია** შეგნებულად იქმნება და ვრცელდება მოტყუების ან შეცდომაში შეყვანის მიზნით. ეს შეიძლება მოიცავდეს შეთხზულ ისტორიებს, ფაბრიკაციასა და კოორდინირებულ კამპანიებს, საზოგადოებრივ აზრზე ან ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით.
- **ბავშვებზე ზეგავლენა:** ცრუ ინფორმაციამ და დეზინფორმაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბავშვებზე, კერძოდ კი, მათ ქცევაზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და რეალობის აღქმაზე. ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან, რადგან მათი კრიტიკული აზროვნების უნარები განვითარების ეტაპზეა და მაღალი ალბათობაა იმისა, რომ ისინი ენდობიან ონლაინშინაარსს.
- **პრაქტიკული მაგალითის შესწავლა:** ცისფერი ვეშაპის გამოწვევა (2017):
  - **წინაპირობები**: ცისფერი ვეშაპის გამოწვევა იყო ონლაინთამაში, რომელიც, სავარაუდოდ, განადიდებდა თვითმკვლელობას და მოიცავდა 53 ექსტრემალურ გამოწვევას. დავალებები თანდათან რთულდებოდა, რასაც კულმინაციის სახით მოჰყვებოდა მონაწილის მიერ თვითმკვლელობა.
  - **სავარაუდო ზეგავლენა**: აცხადებდნენ, რომ რუსეთის ფედერაციაში 150-მა ბავშვმა მოიკლა თავი, ამ გამოწვევაში მონაწილეობის შედეგად.

3 საქართველოს მთავრობის დადგენილება #182
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5437338?utm_source=chatgpt.com&publication=0

- **რეალობა**: მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ლურჯი ვეშაპის გამოწვევა შეთხზული ამბავი იყო. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა და ადამიანების გაზრდილი სიფხიზლისა, არ არსებობდა რაიმე არსებითი მტკიცებულება ასეთი გამოწვევის არსებობის დასადასტურებლად.
- **გაკვეთილი**: ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დეზინფორმაციამ შექმნას ფართოდ გავრცელებული პანიკა და შიში, რაც გავლენას ახდენს როგორც ბავშვებზე, ასევე ზრდასრულებზე. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ინფორმაციის კარგად გადამოწმების მნიშვნელობას მის გავრცელებამდე.

- **სხვა მაგალითები: მომოს გამოწვევა (Momo Challenge (2019)**:
  - ლურჯი ვეშაპის მსგავსად, ვრცელდებოდა ინფორმაცია მომოს გამოწვევაზე, როგორც თამაშზე, რომელიც ბავშვებს სახიფათო ამოცანების შესრულებისკენ უბიძგებდა, რაც, საბოლოოდ, თვითდაზიანებამდე ან თვითმკვლელობამდე მიყვანას ისახავდა მიზნად.
  - გამოწვევაში ფიგურირებდა სახიფათო პერსონაჟი „მომო“ და ეს თამაში ფართოდ შუქდებოდა მედიაში, რამაც შიში დათესა მშობლებსა და ბავშვებში.
  - თუმცა, ეს თამაში ასევე შეთხზული აღმოჩნდა და არ დადასტურებულა შემთხვევები, როდესაც ბავშვები მის შედეგად დაზარალდნენ.

დასკვნა:

- ეს მაგალითები აჩვენებს ცრუ ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ძალას და საფრთხეს ციფრულ ეპოქაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვების კრიტიკული აზროვნების განვითარებას და ინფორმაციის სანდო წყაროებიდან გადამოწმების მნიშვნელობაზე განათლებას.
- როგორც აღმზრდელები და მეურვეები, ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად და პროაქტიულად ვიმოქმედოთ ცრუ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ, რათა დავიცვათ ბავშვების კეთილდღეობა.

სლაიდი 29 - ონლაინბულინგი

- **შესავალი ონლაინბულინგის საკითხისათვის:**
  - ონლაინბულინგი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც კიბერბულინგი, მოიცავს ადამიანების შევიწროების, დაშინებისა ან დამცირების მიზნით, ისეთი ციფრული პლატფორმების გამოყენებას, როგორიცაა სოციალური მედია, შეტყობინებების აპლიკაციები და გეიმერების ჯგუფები.
  - ტრადიციული ბულინგისგან განსხვავებით, ონლაინბულინგი შეიძლება მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ, 24/7 რეჟიმში და სწრაფად მოიცვას ფართო აუდიტორია, რაც ამძაფრებს მის ზეგავლენას მსხვერპლებზე.
- **საკითხის მიმოხილვა:**
  - **გავრცელება**: ონლაინბულინგი აღწევს ყველგან, ვრცელდება ფართოდ და გავლენას ახდენს ბავშვებსა და მოზარდებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, ჭორების გავრცელების, პირადი ინფორმაციის გაზიარების, მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნისა და მსხვერპლის შესახებ საზიანო შინაარსის შექმნის გზით (მათ შორის, სექსუალური ხასიათის შინაარსის).
  - **ზეგავლენა მსხვერპლებზე**: ონლაინბულინგის ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება უაღრესად მძიმე იყოს და გამოიწვიოს შფოთვა, დეპრესია, დაბალი თვითშეფასება და სუიციდური აზრებიც კი. მსხვერპლი ხშირად თავს უძლურად და იზოლირებულად გრძნობს, რადგან ბულინგი შეიძლება დაუნდობელი იყოს და მისგან თავის დაღწევა ძნელი აღმოჩნდეს.
- **მტკიცებულებები და სტატისტიკა:**
  - Global Kids Online-ის[4] თანახმად, ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ონლაინბულინგს. კვლევის შედეგად:

4 ძალადობისა და ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე | Global Kids Online (International day against violence and bullying | Global Kids Online)

    - 9-17 წლის ასაკის ბავშვების **35%-მა** განაცხადა, რომ განიცადა კიბერბულინგი გასულ წელს.
    - **24%-მა** აღნიშნა, რომ ისინი ხშირად ყოფილან ბულინგის მსხვერპლნი.
  - **კიბერბულინგის კვლევის ცენტრის**[5] სხვა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების დაახლოებით **37%-ს** გამოუცდია კიბერბულინგი სიცოცხლის განმავლობაში, **30%-ს** კი ეს არაერთხელ განუცდია.
  - **UNICEF**[6] ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ ბავშვები, რომლებიც განიცდიან ონლაინბულინგს, უფრო ხშირად აცდენენ სკოლას, ცუდად სწავლობენ და უვითარდებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (იხ. სლაიდი მსხვერპლზე ბავშვის ონლაინ სექსუალური ძალადობის ზეგავლენის შესახებ).
- **კონკრეტული შემთხვევები და რეალური მაგალითები:**
  - **ამანდა ტოდი (2012)**: ამანდა ტოდიმ, 15 წლის კანადელმა გოგონამ, YouTube ვიდეოს საშუალებით გააზიარა თავისი გამოცდილება ონლაინბულინგის შესახებ. ის იყო კიბერბულინგისა და სექსუალური კავშირის გამოძალვის მსხვერპლი, რამაც გამოიწვია მძიმე დეპრესია და, საბოლოოდ, თვითმკვლელობა. მისმა ისტორიამ მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრო ონლაინბულინგის პრობლემას და პრევენციული ზომების საჭიროებას.
  - **მეგან მეიერი (2006)**: მეგან მეიერი, 13 წლის ამერიკელი გოგონა, შეავიწროვა მეზობელმა, MySpace-ის ყალბი ანგარიშის მეშვეობით. დაუნდობელ ბულინგს მისი თვითმკვლელობა მოჰყვა, რაც ხაზს უსვამს ანონიმური ონლაინშევიწროების საშიშროებას.

ინტერაქტიური აქტივობა: დისკუსია – რომელიმე თუ შესწრებიხართ ონლაინბულინგის (იმავე კიბერბულინგის) შემთხვევას?

დასკვნა:

- ონლაინბულინგის საკითხი ხაზს უსვამს ციფრული წიგნიერების სფეროში ყოვლისმომცველი განათლებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის სისტემების აუცილებლობას. სკოლებმა, მშობლებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა ერთად უნდა იმუშაონ ბავშვებისთვის უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად.
- ღია კომუნიკაციის წახალისება, თანაგრძნობისა და პატივისცემის სწავლება, და ბულინგის საწინააღმდეგო მკაცრი პოლიტიკის გატარება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ონლაინბულინგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სლაიდი 30 - საზიანო ონლაინკონტენტი

- **შესავალი**:
  - საზიანო ონლაინკონტენტმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ქცევასა და საერთო კეთილდღეობაზე.
  - ამ ნაწილში განხილულია კონკრეტული მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახის საზიანო კონტენტს შეიძლება წააწყდნენ ბავშვები ონლაინ.
- **საზიანო ონლაინკონტენტის მაგალითები:**
  - **ძალადობრივი კონტენტი:**
    - ძალადობრივი ვიდეოების, სურათებისა და თამაშების ზემოქმედება.
    - ბავშვებში იწვევს გულგრილობას ძალადობის მიმართ და აგრესიულ ქცევას.
  - **სექსუალური ხასიათის კონტენტი:**
    - პორნოგრაფიასა და უხამს მასალაზე წვდომა (აშშ-ს მოზარდების უმეტესობამ განაცხადა, რომ პორნოგრაფია 13 წლის ასაკში ნახა).
    - შეიძლება გამოიწვიოს სექსისა და ურთიერთობების დამახინჯებული აღქმა, შეუსაბამო სექსუალური ქცევა, ან ტრავმა (ამ შინაარსის ბუნებიდან გამომდინარე).

5 კიბერბულინგის მონაცემები 2019 - კიბერბულინგის კვლევის ცენტრი (Cyberbullying Data 2019 - Cyberbullying Research Center)

6 კიბერბულინგი: რა არის და როგორ შევაჩეროთ ის | UNICEF (Cyberbullying: What is it and how to stop it | UNICEF)

- **სიძულვილის ენა:**
    - რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების წახალისებაზე მიმართული შინაარსი.
    - შეუძლია მავნე ცრუ წარმოდგენების დანერგვა და გარიყვაზე მიმართული ქცევის წახალისება.
- **თვითდაზიანება და თვითმკვლელობა:**
- ვებგვერდები და ფორუმები, რომლებიც ხელს უწყობენ თვითდაზიანებას, კვებით დარღვევებსა და სუიციდს.
- ამის მაგალითებია ლურჯი ვეშაპის გამოწვევა და სხვა ვირუსული ტენდენციები, რომლებიც განადიდებენ თვითდაზიანებას.
- **ცრუ ინფორმაცია და დეზინფორმაცია:**
    - ცრუ ინფორმაცია ჯანმრთელობის, მეცნიერებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ.
    - შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო ქცევა და ეჭვი სანდო წყაროების მიმართ.

- **განსახილველი საკითხები:**
    - **ბავშვებზე ზეგავლენა:**
        - ფსიქოლოგიური ტრავმა, შფოთვა, დეპრესია და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.
        - ქცევის ცვლილებები, მათ შორის, გაზრდილი აგრესია ან საკუთარ თავში ჩაკეტვა.
    - **მშობლებისა და პედაგოგების როლი:**
        - ონლაინაქტივობის მონიტორინგისა და ბავშვებთან ღია დისკუსიის მნიშვნელობა (იმ ბავშვების გამოვლენა, რომლებსაც საზიანო შინაარსი შეეხო).
        - კრიტიკული აზროვნების უნარების სწავლება საზიანო შინაარსისა და სანდო ინფორმაციის გასარჩევად.
        - შესაბამისი რეაგირება ბავშვების დასახმარებლად, რომლებიც ექვემდებარებიან საზიანო შინაარსის ზეგავლენას ან ჩართულნი არიან შეუსაბამო აქტივობებში (ფსიქოლოგიური, იურიდიული და სხვა).

დასკვნითი შენიშვნები: შევისწავლით რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას, რათა უკეთ გავაცნობიეროთ ბავშვებზე საზიანო შინაარსის ზეგავლენა.

სლაიდი 31 - მოლი რასელის შემთხვევა

- **შესავალი:**
    - ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც ხაზს უსვამს საზიანო ონლაინკონტენტის გავლენას ახალგაზრდებზე.
    - შემთხვევა ეხება მოლი რასელს, 14 წლის გოგონას, რომელმაც 2018 წელს თავი მოიკლა.
    - ხაზგასასმელი საკითხი: ამ ტიპის შემთხვევები ფართოდ შუქდება მედიაში. გამოიჩინეთ სიფრთხილე ბავშვების ვინაობასთან დაკავშირებით.
- **კონკრეტული შემთხვევის მიმოხილვა:**
    - **ინციდენტთან დაკავშირებული დეტალები:**
        - მოლი რასელი 2017 წლის ნოემბერში სუიციდით გარდაიცვალა.
        - 2018 წელს გამოძიებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისი გარდაცვალების ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ.
    - **ონლაინკონტენტის ზეგავლენა:**
        - გაირკვა, რომ მოლიმ ნახა 2000-ზე მეტი დეპრესიული, თვითდაზიანების ან სუიციდური კონტენტი პლატფორმებზე, როგორიცაა ინსტაგრამი და პინტერესტი.
        - გამოძიებამ დაასკვნა, რომ ამ შინაარსზე წვდომამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა

მის გადაწყვეტილებაზე, საკუთარი სიცოცხლის მოსპობის შესახებ.

- **საკვანძო საკითხები:**
  - **პლატფორმები, რომლებიც ამ შემთხვევაში ფიგურირებდა:**
    - გამოძიების პროცესში აქცენტი გაკეთდა ინსტაგრამისა და პინტერესტის პლატფორმებზე.
    - ამ პლატფორმებს აქვთ ალგორითმები, რომლებსაც შეუძლიათ უნებლიედ ხელი შეუწყონ მანამდე ნანახი საზიანო შინაარსის მსგავსი მასალის მუდმივ შეთავაზებას, წინა ინტერაქციის საფუძველზე.
  - **კონტენტის ტიპები:**
  - დეპრესიული პოსტები, თვითდაზიანების ამსახველი გამოსახულებები და სუიციდის იდეამდე მიყვანა.
  - შინაარსის დიდი მოცულობა და ხასიათი განამტკიცებს უარყოფით განწყობას.
- **განსახილველი საკითხები:**
  - **ალგორითმების ზემოქმედება:**
    - სოციალური მედიის ალგორითმები როგორ ქმნიან საზიანო ექო-კამერის ეფექტს დაუცველი პირებისათვის.
    - ამ ალგორითმებით გავრცელებული შინაარსის რეგულირებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა.
  - **სოციალური მედიაკომპანიების როლი:**
    - დისკუსია სოციალური მედიის პლატფორმების პასუხისმგებლობის შესახებ, დაიცვან თავიანთი მომხმარებლები.
    - ამ კომპანიების რეაგირება შემთხვევებზე, როგორიცაა შინაარსის ზომიერების უფრო მკაცრი პოლიტიკის დანერგვა და ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსების შეთავაზება.
  - **პრევენციული ზომები:**
    - მშობლების მხრიდან მონიტორინგისა და ონლაინაქტივობების შესახებ ღია კომუ-ნიკაციის მნიშვნელობა.
    - სკოლები და საზოგადოება მხარს უნდა უჭერდეს საზიანო ონლაინშინაარსის ამოცნობასა და მართვას, ასევე, ამ საკითხებზე განათლებას.

დასკვნითი შენიშვნები:

- მოლი რასელის საქმე ემსახურება იმის შეხსენებას, თუ რა შედეგები მოაქვს საზიანო ონლაინკონტენტს რეალურ ცხოვრებაში.
- ხაზი გაუსვით მშობლების, პედაგოგების, სოციალური მედიის კომპანიებისა და პოლიტიკის შემქმნელების ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას ბავშვებისა და მოზარდების ონლაინგარემოში დაცვისათვის.

სლაიდი 32 - ფრენკი თომასის შემთხვევა

- **შესავალი:**
  - კიდევ ერთი ტრაგიკული მაგალითი, რომელიც ასახავს მონიტორინგის გარეშე დარჩენილი ონლაინაქტივობის მძიმე შედეგებს და შესაბამისი დაცვის მექანიზმების არარსებობას.
  - საქმე ეხება ფრენკი თომასს, 15 წლის აუტისტ გოგონას, რომელმაც 2017 წელს თავი მოიკლა.
- **შემთხვევის მიმოხილვა:**
  - **ინციდენტთან დაკავშირებული დეტალები:**
    - ფრენკი თომასი სწავლობდა დამოუკიდებელ სპეციალიზებულ სკოლაში, რომელიც

აუტიზმის მქონე ადამიანების საჭიროებათა გათვალისწინებით იყო შექმნილი.

    - მთელი კვირა სკოლაში ყოფნის მიუხედავად, იგი კვირაში მხოლოდ 1 ან 2 გაკვეთილს ესწრებოდა.
  - **აიპედით სარგებლობა:**
    - სკოლამ მას სარგებლობისათვის აიპედი მისცა.
    - ამ სკოლის კუთვნილი და მართული მოწყობილობის საშუალებით, ფრენკის წვდომა ჰქონდა სხვადასხვა ტიპის კონტენტზე, მათ შორის, სუიციდურ მასალაზე.
- **საკვანძო საკითხები:**
  - **კონტროლის მექანიზმების ნაკლებობა:**
    - გამოძიებამ დაადგინა, რომ სკოლის წარმომადგენლების აზრით, აიპედზე ეყენა მშობლის კონტროლისა და შინაარსის გაფილტვრის პარამეტრები, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა.
    - ამან საშუალება მისცა ფრენკს, თავისუფლად ჰქონოდა წვდომა საზიანო შინაარსის მასალაზე, რამაც ხელი შეუწყო მის გადაწყვეტილებას, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.
  - **მოწყვლადობის სათანადოდ გააზრება:**
    - სკოლამ ვერ გააცნობიერა, რომ სხვადასხვა ბავშვი სხვადასხვა დონით არის დაუცველი ონლაინგარემოში.
    - ამის არასათანადო გაცნობიერებამ და შესაბამისი ზომების გაუტარებლობამ ხელი შეუწყო ტრაგიკულ შედეგს.
- **განსახილველი საკითხები:**
  - **სკოლების როლი:**
    - სკოლების მნიშვნელობა უსაფრთხო ციფრული გარემოს უზრუნველყოფაში ყველა მოსწავლისათვის, განსაკუთრებით კი, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.
    - ციფრული უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პოლიტიკის საჭიროება, მათ შორის, მშობლის კონტროლისა და შინაარსის გაფილტვრის ფუნქციების ქმედითი გამოყენება.
  - **მშობლის კონტროლი და გაფილტვრა:**
    - ბავშვების მიერ გამოყენებულ მოწყობილობებზე მშობელთა კონტროლისა და შინაარსის გაფილტვრის პარამეტრების კრიტიკული როლის ხაზგასმა.
    - რეგულარული შემოწმებისა და განახლების აუცილებლობა, რათა შესაბამისი პარამეტრები უწყვეტად და ეფექტიანად მოქმედებდეს.
  - **მორგებული დაცვის მექანიზმები:**
    - კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული დაცვის მექანიზმების აუცილებლობა, სხვადასხვა მოწყვლადობისა და საჭიროების მქონე მოსწავლის დასაცავად.
    - პერსონალისა და მშობლების სათანადო მომზადება, რათა მათ სწორად და დროულად ამოიცნონ მოწყვლადობა და ვიქტიმიზაციის ინდიკატორები, შემდეგ კი მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.
- **პრევენციული ზომები:**
  - **რეგულარული მონიტორინგი:**
    - სკოლის მიერ მოსწავლეების ონლაინაქტივობათა რეგულარული მონიტორინგის მნიშვნელობის ხაზგასმა.
    - პერსონალისა და მოსწავლეებისთვის ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე ქმედითი ტრენინგის ჩატარება.
  - **ერთობლივი ძალისხმევა:**

    - მშობლების, პედაგოგებისა და პოლიტიკის შემქმნელების როლი ბავშვებისთვის უსაფრთხო ონლაინგარემოს შექმნაში.
    - ყველა მხარეს შორის ღია კომუნიკაციის წახალისება, რისკების ქმედითად მართვისა და შერბილების მიზნით.

დასკვნითი შენიშვნები:

- ფრენკი თომასის საქმე ავლენს სკოლებში ონლაინუსაფრთხოების მკაცრი ზომების გადაუდებელ აუცილებლობას.
- იგი ასევე ხაზს უსვამს თითოეული მოსწავლის სპეციფიკური მოწყვლადობის გააზრებისა და მართვის მნიშვნელობას, ამგვარ ტრაგედიათა თავიდან ასაცილებლად.
- ეს შემთხვევა იმაზე მიუთითებს, რომ ონლაინგარემოში ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები ხშირად ასეთივე რისკქვეშ არიან რეალურ გარემოშიც. შემდეგ სლაიდზე ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები იქნება მოყვანილი.

სლაიდი 33 - INTERNET MATTERS-ის კვლევა: გამოსავალი და რისკები

- **შესავალი:**
    - ფიზიკური დაუცველობისა და ონლაინრისკების ურთიერთკვეთის გაგების მნიშვნელობის მიმოხილვა.
    - შესავალი Internet Matters-ის კვლევისათვის სახელწოდებით „გამოსავალი და რისკები“[7], რომელიც ხაზს უსვამს ფიზიკური დაუცველობის ზეგავლენას ონლაინუსაფრთხოებაზე.
- **კვლევის ძირითადი მიგნებები:**
    - **ფიზიკური დაუცველობა და ონლაინრისკები:**
        - ბავშვები, რომლებიც მოწყვლადები არიან რეალურ გარემოში, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ან სხვა ფაქტორების გამო, უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან ონლაინგარემოშიც.
        - ეს მოწყვლადობა მათ უფრო მგრძნობიარეს ხდის კიბერბულინგის, საზიანო შინაარსის ზემოქმედებისა და ონლაინ დაყოლიების (გრუმინგის) მიმართ.
    - **სტატისტიკური მტკიცებულებები:**
        - კვლევის მონაცემები ავლენს ონლაინრისკების უფრო მაღალ სიხშირეს ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვებისთვის.
        - სტატისტიკის მაგალითი შეიძლება მოიცავდეს ამ ბავშვებს შორის კიბერბულინგის შემთხვევათა ან შეუსაბამო კონტენტის ზემოქმედების უფრო მაღალ პროცენტს.
- **ონლაინრისკების ზეგავლენა სოციალურად დაუცველ ბავშვებზე:**
    - **ზემოქმედება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე:** ონლაინრისკების ზემოქმედებამ შეიძლება გააძლიეროს არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რაც იწვევს შფოთვის, დეპრესიისა და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემების გამწვავებას.
    - **იზოლაცია და გარიყულობა:** მოწყვლადი ბავშვები შეიძლება თავს უფრო იზოლირებულად და გარიყულად გრძნობდნენ როგორც ონლაინ, ისე რეალურ გარემოში, მათი გამოცდილებიდან გამომდინარე.
- **კონკრეტული შემთხვევები და პრაქტიკული მაგალითები:**
    - მიმოიხილეთ კვლევაში ასახული კონკრეტული შემთხვევები ან მონაცემები, რომლებიც ასახავენ ონლაინგარემოში ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვების წინაშე არსებულ გამოწვევებს.
    - ეს მაგალითები ხელს უწყობს ბავშვებზე ამ ონლაინრისკების ზეგავლენის უკეთ გაცნობიერებას.
        - [კვებითი აშლილობის მქონე ბავშვების] 23%-მა აღნიშნა, რომ „ვიღაც ინტერნეტში

7 Internet-Matters-Refuge-And-Risk-Report.pdf (internetmatters.org)

ცდილობდა დავეყოლიებინე რაიმე სახის სექსუალურ აქტივობაზე, რაც მე არ მსურდა“. თითქმის მესამედმა თქვა, რომ მათი შიშველი სურათი შურისძიების მიზნით გააზიარა ყოფილმა პარტნიორმა დაშორების შემდეგ.

    - „ჩემი ონლაინ ცხოვრების გამო (...) მავიწყდება ჭამა, ან ბევრს ვჭამ და შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობ“.
    - (აღინიშნა, რომ კვებითი დარღვევები შეიძლება იყოს ტრავმის ან პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომი).

- **Internet Matters-ის რეკომენდაციები:**
    - **გაძლიერებული დაცვის ზომები**: ციფრული დაცვის უფრო ქმედითი, ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული ზომების დანერგვა.
    - **მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერა**: მშობლებისა და პედაგოგებისათვის რესურსებისა და ტრენინგის უზრუნველყოფა, ამ ბავშვების ონლაინგარემოში უკეთ მხარდაჭერისა და დაცვის მიზნით.
    - **პოლიტიკა და ადვოკატირება**: პოლიტიკის შემქმნელების წახალისება, რათა უკეთ გაითვალისწინონ მოწყვლადი ბავშვების სპეციფიკური საჭიროებები ციფრული უსაფრთხოების რეგულაციებსა და ინიციატივებში.
- **განსახილველი საკითხები:**
    - როგორ შეუძლიათ სკოლებსა და მშობლებს თანამშრომლობა ამ რისკების შესამცირებლად?
    - რა დამატებითი რესურსები და ინსტრუმენტებია ხელმისაწვდომი სოციალურად დაუცველი ბავშვების მხარდასაჭერად?

დასკვნითი შენიშვნები:

- ხაზი გაუსვით რეგულარული კვლევებისა და პროაქტიული ზომების მნიშვნელობას ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვების ონლაინგარემოში დასაცავად.
- ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს მშობლების, პედაგოგების, პოლიტიკის შემქმნელებისა და ტექნიკური ინდუსტრიის ერთობლივ ძალისხმევას.

სლაიდი 34 - დაუცველობის გაძლიერება ონლაინსივრცეში

სლაიდის მიმოხილვა:

- მონიშნეთ თითოეული ჰორიზონტალური რიგი, რომელიც აღნიშნავს ფიზიკურ მოწყვლადობას.
- განმარტეთ ონლაინრისკების მატება ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვებისთვის.

საკვანძო საკითხები:

- დიაგრამის მიმოხილვა:
    - თითოეული ჰორიზონტალური რიგი წარმოადგენს კონკრეტულ ფიზიკურ მოწყვლადობას.
    - ფერადი ბლოკები აღნიშნავს ამ მოწყვლადობის მქონე ბავშვების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც ექვემდებარებიან კონკრეტულ ონლაინრისკებს.
- **ონლაინმოწყვლადობის მაგალითები:**
    - **მუქი მწვანე**: ბავშვების პროცენტი, რომლებიც ხვდებიან ონლაინ გაცნობილ ვიღაც პირს.
    - **მეწამული ფერი**: ბავშვების პროცენტი, რომლებიც პორნოგრაფიას უყურებენ.
- **რისკების გაზრდა:**
    - დიაგრამა ასახავს მომატებულ ონლაინრისკებს ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვებისთვის.
    - ხაზგასმით აღნიშნეთ, როგორ იწვევს ფიზიკური მოწყვლადობა ონლაინრისკის მატებას.
- **ზოგადი დაუცველობა:**
    - განმარტეთ, რომ ფიზიკური მოწყვლადობის გარეშეც, ბავშვები არ არიან დაცულნი ონლაინრისკებისგან.

- ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ყველა ბავშვს შეიძლება შეექმნას საფრთხე ონლაინ, მაგრამ ფიზიკური მოწყვლადობის მქონე ადამიანები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.

განსახილველი საკითხები:

- **შესავალი**: გაეცანით Internet Matters-ის კვლევის დიაგრამას, რომელიც ასახავს ონლაინგარემოში მოწყვლადი ბავშვების წინაშე არსებულ რისკებს.
- **დიაგრამის განმარტება:**
  - თითოეული ჰორიზონტალური რიგი შეესაბამება კონკრეტულ ფიზიკურ მოწყვლადობას, როგორიცაა აუტიზმი ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები."
  - „სხვადასხვა ფერის ბლოკები თითოეულ რიგში გვიჩვენებს, ამ მოწყვლადობის მქონე ბავშვების რა პროცენტი ექვემდებარება კონკრეტულ ონლაინრისკს."
- **სპეციფიკური მოწყვლადობის მაგალითები**: „მაგალითად, მუქი მწვანე ბლოკი აჩვენებს ბავშვების პროცენტულ რაოდენობას, ვინც ხვდება ონლაინ გაცნობილ ვიღაც პირს, ხოლო მეწამული ფერის ბლოკი მიუთითებს იმ ბავშვებზე, ვინც პორნოგრაფიას უყურებს."
- **რისკების მატება**: „დიაგრამა ნათლად აჩვენებს ონლაინრისკების მატებას ფიზიკური მოწყვლადობის მქონე ბავშვების შემთხვევაში. ეს ბავშვები უფრო ხშირად ექვემდებარებიან სხვადასხვა ონლაინსაფრთხეს, ვიდრე მათი თანატოლები მოწყვლადობის გარეშე."
- **საყოველთაო რისკები**: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მართალია, ფიზიკური მოწყვლადობის მქონე ბავშვები უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან, მაგრამ არცერთი ბავშვი არ არის სრულიად დაცული ონლაინ გამოვლენილი საფრთხეებისგან. ეს ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი ონლაინუსაფრთხოების ზომების საჭიროებას ყველა ბავშვისთვის."

დასკვნითი შენიშვნები: „საკითხის ეს ვიზუალური წარმოდგენა ხაზს უსვამს კრიტიკულ კავშირს ფიზიკურ მოწყვლადობასა და მომატებულ ონლაინრისკებს შორის. იგი ემსახურება იმის შეხსენებას, რომ აუცილებელია მიზნობრივი ინტერვენცია ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე მოწყვლადი ბავშვის დაცვის მიზნით."

ამ შენიშვნების გათვალისწინებით, შეგიძლიათ ეფექტურად წარმოაჩინოთ ონლაინრისკების მნიშვნელოვანი მატება ფიზიკურად მოწყვლადი ბავშვების შემთხვევაში და, იმავდროულად, ხაზი გაუსვათ ონლაინსაფრთხეების საყოველთაო ბუნებას.

სლაიდი 35 - ბავშვების პროცენტი, რომლებიც სხვადასხვა ონლაინრისკს ექვემდებარებიან

მიმოხილვა: ამ სლაიდზე წარმოდგენილია Global Kids Online-ის მონაცემები[8], სადაც ქვეყნების მიხედვით ასახულია ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც სხვადასხვა ონლაინრისკს ექვემდებარებიან. მონაცემები ხაზს უსვამს ამ საკითხის გლობალურ ხასიათს და სხვადასხვა რეგიონის ბავშვებისთვის ონლაინუსაფრთხოების გამოწვევის გადაჭრის მნიშვნელობას.

საკვანძო საკითხები:

- **თვითდაზიანების ამსახველი კონტენტი:**
  - ალბანეთი: 18%
  - ბულგარეთი: 18%
  - ჩილე: 15%
  - განა: 15%
  - იტალია: 22%
  - ფილიპინები: 14%
  - სამხრეთი აფრიკა: 18%
  - ურუგვაი: 22%
- **სუიციდის ამსახველი კონტენტი:**

8 Done right, internet use can increase learning and skills | Global Kids Online

    - ალბანეთი: 12%
    - ბულგარეთი: 12%
    - ჩილე: 12%
    - განა: 16%
    - იტალია: 13%
    - ფილიპინები: 20%
    - სამხრეთი აფრიკა: 18%
    - ურუგვაი: 16%
- **სიძულვილის ენა:**
    - ალბანეთი: 10%
    - ბულგარეთი: 28%
    - ჩილე: 21%
    - განა: 12%
    - იტალია: 35%
    - ფილიპინები: 12%
    - სამხრეთი აფრიკა: 34%
    - ურუგვაი: 35%
- **ძალადობის ამსახველი კონტენტი:**
    - ალბანეთი: 35%
    - ბულგარეთი: 26%
    - ჩილე: 30%
    - განა: 18%
    - იტალია: 33%
    - ფილიპინები: 30%
    - სამხრეთი აფრიკა: 33%
    - ურუგვაი: 40%
- **სექსუალური ხასიათის კონტენტი:**
    - ალბანეთი: 16%
    - ბულგარეთი: 37%
    - ჩილე: 24%
    - განა: 39%
    - იტალია: 27%
    - ფილიპინები: 22%
    - სამხრეთი აფრიკა: 51%
    - ურუგვაი: 36%

განსახილველი საკითხები:

- **გლობალური პერსპექტივა:**
    - მონაცემები გვიჩვენებს, რომ მთელ მსოფლიოში ბავშვები ექვემდებარებიან ონლაინრისკებს, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა.
    - სხვადასხვა რეგიონში გამოვლინდა კონკრეტული ტიპის საზიანო კონტენტის

ზემოქმედების განსხვავებული დონე.

- **ონლაინუსაფრთხოებაზე ზეგავლენა:**
  - ამ სტატისტიკის გაგება გადამწყვეტია მიზნობრივი ინტერვენციებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის, ბავშვების ონლაინგარემოში დასაცავად.
  - ხაზი გაუსვით საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას ამ საკითხების გადაჭრისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის.
- **აუდიტორიის ჩართვა:**
  - წაახალისეთ რეფლექსია ქვეყნებს შორის განსხვავებებზე და იმსჯელეთ პოტენციურ კულტურულ, ეკონომიკურ ან მარეგულირებელ ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ამ განსხვავებებზე.
  - წაახალისეთ კითხვები და დისკუსიები, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი და გლობალური სტრატეგიების შემუშავება ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ბავშვებისთვის ონლაინუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

დასკვნა: Global Kids Online-ის მონაცემები ხაზს უსვამს ბავშვების ონლაინრისკების უნივერსალურ ბუნებას და ყოვლისმომცველი ზომების გადაუდებელ აუცილებლობას მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სლაიდი 36-37 – ეროვნული ასპექტები

საქართველოში არ არის მონაცემები, თუ ბავშვთა რა პროცენტი ხდება ონლაინ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ან რა კატეგორიის მოწყვლადობის ნიშნით (ფიზიკური ან მენტალური) ხდებიან ისინი ძალადობის მსხვერპლნი. ასევე, არ არის ნაკვლევი, როგორია გეოგრაფიული დაყოფა, მაგალითად, საქართველოს რომელ რეგიონშია უფრო მეტი შემთხვევა. თუმცა, სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელთა (პოლიციელთა, გამომძიებელთა) არაოფიციალური მონაცემებით, სურათი, გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, ასეთია: შემთხვევების მეტი წილი მოდის დიდ ქალაქებზე (თბილისი, ბათუმი); საქართველოს რეგიონებში, მათი ინფორმაციით, უფრო გავრცელებულია ბავშვთა ჩართვა ნარკოდანაშაულში, კერძოდ, არაერთი შემთხვევაა, როცა სოციალური ქსელის Telegram-ისა და Viber-ის მეშვეობით იგეგმება მსგავსი დანაშაულები. ასეთი შემთხვევები გაშუქდა მედიითაც, როდესაც უფროსები ბავშვებს იყენებენ ნარკოდანაშაულში ჩართვისათვის - https://netgazeti.ge/news/361992/

ერთ-ერთი ბოლო ცნობა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბავშვების პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის საქმეზე გაავრცელა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 32 წლის კაცმა შექმნა ყალბი ანგარიშები ფეისბუქსა და ინსტაგრამზე, საიდანაც სისტემატურად უკავშირდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ 10-დან 18 წლამდე ასაკის ათეულობით გოგოს. ეცნობოდა მათ, როგორც თანატოლი, მოიპოვებდა ნდობას და შემდეგ აიძულებდა ინტიმური ფოტოსურათებისა და ვიდეოების გაგზავნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებოდა ოჯახის წევრების დახოცვით და აშანტაჟებდა, რომ მეგობრებსა და ნათესავებთან გაავრცელებდა მათ შიშველ ფოტოებს.

ბრალდებული არასრულწლოვნებს აიძულებდა მათი სხეულის ინტიმურ ნაწილებზე სექსუალური სახის მოქმედებასა და სხეულის შიგნით სექსუალურ შეღწევას, ამ მოქმედებების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის გადაღებას და მასთან გადაგზავნას.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ერთ-ერთმა დაზარალებულმა მიმართა. გამოძიების დაწყებისა და დამნაშავის იდენტიფიცირების შემდეგ კი გაირკვა, რომ 32 წლის კაცი კიდევ შვიდ სხვა არასრულწლოვანს აიძულებდა იმავეს.

5.1 ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა

სლაიდი 38 - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა

ზოგადი შესავალი

ვინაიდან ჩვენი პროექტი, ძირითადად, ფოკუსირებულია ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე, ამ ნაწილის მიზანია, ხელი შეუწყოს აღნიშნული მოვლენის სხვადასხვა ასპექტის ყოვლისმომცველ გაცნობიერებას.

შესაბამისად, ჩვენ ჩავუღრმავდებით შემდეგ საკვანძო ასპექტებს:

- **ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა:**
  - შევისწავლით ონლაინპლატფორმების მეშვეობით ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გავრცელებასა და ზეგავლენას.
  - გამოვკვეთთ ციფრულ ტექნოლოგიათა როლს ბავშვთა ექსპლუატაციასა და ძალადობაში.
- **საზიანო სექსუალური ქცევა:**
  - გავიაზრებთ არასათანადო და საზიანო სექსუალური ქცევის ტიპებს, რომლებსაც შეიძლება ავლენდნენ ან აწყდებოდნენ ბავშვები ონლაინ.
  - განვიხილავთ ამგვარი ქცევის ზემოქმედებას ბავშვთა გონებრივ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე.
- **საფრთხეების შეფასება:**
  - შევაფასებთ ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საფრთხეს.
  - გავიგებთ, თუ როგორ შეფასდება საფრთხეები და რა ზომები ტარდება მათ შესამცირებლად.
- **ფინანსების გამოძალვა:**
  - განვიხილავთ, თუ როგორ იღებენ ბავშვებს მიზანში, ონლაინინტერაქციით თანხის გამოსაძალად.
  - განვიხილავთ ბავშვებისგან ფულისა და სენსიტიური ინფორმაციის გამოძალვის მეთოდებს.

საკვანძო საკითხები:

- **შესავალი ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საკითხებისათვის:**
  - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის განსაზღვრება.

  ეს ცნება გულისხმობს მთელ რიგ ექსპლუატაციურ და ძალადობრივ ქმედებებს, რომლებიც ბავშვთა მიმართ ჩადენილია ციფრული პლატფორმების ხელშეწყობით. ტერმინი მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორისაა: ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის წარმოება, გავრცელება და მოხმარება; ონლაინდაყოლიება სექსუალური მიზნებით; სექსუალური ძალადობის პირდაპირი ტრანსლაცია; და სექსუალური აქტების ან გამოსახულებების გამოძალვა მუქარის ქვეშ. ონლაინ და რეალურ გარემოში

ძალადობა ხშირად ერთმანეთს უკავშირდება: მოწყვლადი ბავშვები უფრო მეტად ექცევიან ონლაინ სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ; მსხვერპლს სთხოვენ სექსუალური აქტის განხორციელებას რეალურ ცხოვრებაში, რათა ამის ამსახველი ციფრული მასალა ონლაინ გამოიყენონ; ქმედებას მძიმე შედეგები მოაქვს მსხვერპლისთვის რეალურ ცხოვრებაში.

- **გავრცელების ფარგლები:**
  - **გლობალური მასშტაბი**: ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა სცდება ქვეყნების საზღვრებს და გლობალური გამოწვევის სახეს იძენს, რომელიც კოორდინირებულ საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს. მოძალადეებს შეუძლიათ, ანონიმურად იმოქმედონ მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, ხშირად, კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზთა გამოყენებით.
  - **ანონიმურობა და მისაწვდომობა**: ინტერნეტი მოძალადეებს გარკვეული დონის ანონიმურობას სთავაზობს, რაც, ციფრულ მოწყობილობათა ფართოდ ხელმისაწვდომობასთან ერთად, ხელს უწყობს ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ამსახველი მასალის პირდაპირ ტრანსლაციას, ასევე, მის სწრაფად შექმნას, გავრცელებასა და მოხმარებას. ბავშვებისთვის ონლაინსივრცის მისაწვდომობა (სოციალური მედიის, სათამაშო პლატფორმებისა და საკომუნიკაციო აპლიკაციების მეშვეობით) დამნაშავეებს სხვადასხვა გზას სთავაზობს მსხვერპლთან მიდგომისა და მისი დაყოლიებისათვის.
  - **იდენტიფიცირებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სირთულე**: ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ციფრული ბუნება განსაკუთრებულად ართულებს მის გამოვლენასა და დევნას. ზოგიერთი დამნაშავე, ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ. დაშიფვრა, „ბნელი ქსელი"/ darcknet, კრიპტოვალუტა), ცდილობს, თავი აარიდოს კანონს, რაც ართულებს მათ მიკვლევასა და გამოვლენას.
  - ამასთანავე, ხშირად ბავშვები თავს არ აღიქვამენ მსხვერპლად, მათ ეშინიათ ან რცხვენიათ ვითარების გამჟღავნების, რაც აფერხებს იდენტიფიცირებას.
  - **ფსიქოლოგიური და სოციალური ზემოქმედება**: ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა ღრმა და ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენს მსხვერპლზე, მათ შორისაა ფსიქოლოგიური ტრავმა, სოციალური სტიგმატიზაცია და ბავშვის ნორმალური განვითარების შეფერხება. ეს ზეგავლენა სცდება მსხვერპლს და მოქმედებს მათ ოჯახებზე, თემებსა და ფართო საზოგადოებაზე.

ეს შესავალი არა მხოლოდ ნათლად განმარტავს ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობას, არამედ ხაზს უსვამს საკითხის ფართო და მრავალმხრივ ბუნებას, რაც საფუძველს ქმნის მისი სხვადასხვა განზომილების უფრო ღრმად შესწავლისათვის შემდეგ სლაიდებში.

- ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღკვეთის მნიშვნელობა ბავშვებში ინტერნეტით სარგებლობის ზრდის კონტექსტში.

- **სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ:**
  - ბავშვის მიმართ ონლაინ სექსუალური ძალადობის ფორმები (მაგ. დაყოლიება, ძალადობის პირდაპირი ტრანსლაცია).
  - ზეგავლენა მსხვერპლსა და მათ ოჯახებზე.
  - სამართლებრივი და ეთიკური მოსაზრებები.
- **საზიანო სექსუალური ქცევა:**
  - ონლაინ საზიანო სექსუალური ქცევის განმარტება და მაგალითები.
  - ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ასეთ ქცევას.
- **საფრთხეების შეფასება:**
  - ჩარჩოები და მეთოდოლოგიები ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებული საფრთხეების შესაფასებლად.
  - სამართალდამცველებისა და ბავშვთა დაცვის სააგენტოების როლი საფრთხეების შეფასებაში.

- **ფინანსების გამოძალვა:**
    - ფინანსების გამოძალვის მექანიზმები, ბავშვთა მონაწილეობით.
    - შემთხვევები და რეალური მაგალითები.
    - პრევენციული ღონისძიებები და ინსტრუქციები მშობლებისთვის.

დასკვნა: ეს ნაწილი საფუძვლიან ცოდნას გვაძლევს ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის სხვადასხვა განზომილებაზე. თითოეულ მათგანს დეტალურად შევისწავლით, შესაბამის გამოწვევებთან, შედეგებსა და დამცავ ზომებთან ერთად. მომდევნო სლაიდებში უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროს და შემოგთავაზებთ მიგნებებსა და სტრატეგიებს აქტუალური საკითხების გადასაჭრელად.

სლაიდი 39 - ლანსაროტის კონვენცია: ყოვლისმომცველი ჩარჩო ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად

საკვანძო საკითხები:

- **მიზანი**: ლანსაროტის კონვენცია პირველი რეგიონული ხელშეკრულებაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა დაცვას სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან. დოკუმენტი სისხლის სამართლის დანაშაულად განსაზღვრავს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, ჩადენილს ოჯახში, სანდო წრეში, ანდა იძულების გამოყენებით.
- **განხორციელება და მონიტორინგი**: კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს სპეციალური კანონმდებლობის მიღებას ბავშვებზე სექსუალური ძალადობის პრევენციის, მათი დაცვისა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. სპეციალურ ლანსაროტის კომიტეტს ევალება მონიტორინგი კონვენციის ეფექტიანად განხორციელებაზე და საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა წევრ ქვეყნებს შორის.
- **გლობალური მასშტაბი**: ლანსაროტის კონვენციასთან მიერთება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია, რაც ხაზს უსვამს მის გლობალურ მიდგომას ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვისადმი.
- **სამართლებრივი და პრაქტიკული ზომები**: კონვენცია ხაზს უსვამს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობას, როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ სფეროში, დაყოლიებისა და სხვა ონლაინრისკების საწინააღმდეგო ზომების გათვალისწინებით.

კონვენცია ასახავს ევროპის საბჭოს მტკიცე ვალდებულებას, დაიცვას ბავშვთა უფლებები და უზრუნველყოს ჰოლისტიკური სამართლებრივი და სოციალური მიდგომა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ გარემოში.

სლაიდი 40 - ლანსაროტის კონვენცია

ტრენერის შენიშვნები:

ლანსაროტის კონვენცია ყველაზე ყოვლისმომცველი საერთაშორისო დოკუმენტია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის შესახებ. იგი ასახავს ძირითად დანაშაულებს, ასევე, ადგენს პრევენციულ ზომებს, დაცვის მექანიზმებსა და დევნის სტრატეგიებს. კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი დანაშაულებია:

- **სექსუალური ძალადობა (მუხლი 18)**: სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც, კანონის შესაბამისად, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის დადგენილი ასაკისთვის, მათ შორის, იძულების ან მანიპულირების გზით.
- **ბავშვთა პროსტიტუცია (მუხლი 19):** ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმა ან იძულება პროსტიტუციაში მონაწილეობის მისაღებად, ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების, კომპენსაციისა თუ დაპირების სანაცვლოდ.
- **ბავშვთა პორნოგრაფია (მუხლი 20)**: ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დამზადება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან ფლობა.
- **ბავშვის მონაწილეობა პორნოგრაფიულ წარმოდგენებში (მუხლი 21)**: ბავშვის დაქირავება ან იძულება, მონაწილეობა მიიღოს სექსუალური სახის რეალურ წარმოდგენებში, ან შეგნებულად დაესწროს მათ.

- **ბავშვის გარყვნა (მუხლი 22)**: ბავშვის განზრახ იძულება, უყუროს სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ აქტს, ან ჩაერთოს სექსუალურ ქმედებებსა თუ პორნოგრაფიაში, როგორც წესი, მისი მორალური განვითარების შესაფერხებლად.
- **ბავშვის დაყოლიება სექსუალური მიზნებისთვის (მუხლი 23)**: სხვადასხვა საშუალებით კომუნიკაციის განზრახ წამოწყება ბავშვთან, სექსუალური ძალადობის ჩასადენად, როგორც ონლაინ, ისე რეალურ გარემოში.

კონვენცია ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია ყოვლისმომცველი სამართლებრივი და პოლიტიკური ზომების მიღება ბავშვთა დასაცავად სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან, როგორც რეალურ, ისე ონლაინგარემოში.

ბავშვის უფლებათა კონვენციასთან მიერთების ეროვნული სტატუსი (Convention on the Rights of the Child | OHCHR)

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის 3(გ) პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება ნორმატიულ იერარქიაში მესამე ადგილს იკავებს (კონსტიტუციის/კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ) და უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს სხვა კანონებთან შედარებით (მაგ. როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები). „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ."[9]

ამის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში - „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება" (2021) - ვკითხულობთ, რომ „არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებთან ბრძოლა, მისი პრევენცია და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ქმედითი მექანიზმების არარსებობა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა."[10]

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო ინსტრუმენტები[11], რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს კანონმდებლობისა და პოლიტიკის გაუმჯობესებას და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას მართლმსაჯულების პროცესში, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორც სამართლებრივი რეგულირების კუთხით, ისე პრაქტიკაში. კერძოდ, ისევ მნიშვნელოვანი პრობლემაა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დროული გამოვლენა/აღკვეთა, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის უზრუნველყოფა შესაბამისი სერვისებით.

არსებული კანონმდებლობა და მტკიცებულებითი სტანდარტები ვერ პასუხობს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულთა სპეციფიკას, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მსხვერპლ ბავშვთა წვდომას მართლმსაჯულებაზე. მართლმსაჯულების განხორციელებისას, სახელმწიფო არასრულწლოვნებს ვერ უქმნის საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, ვერ იცავს მეორეული ვიქტიმიზაციისგან და ვერ აწვდის სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე მორგებულ სერვისებს. საქართველოს კანონმდებლობა გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის შესახებ არ შეესაბამება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, ლანსაროტის კონვენციის, სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნებს. კერძოდ, არასრულწლოვნის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა, თუ ის ჩადენილია ნდობის, ასევე, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და ამის წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა (სსკ მუხლი 137); მსგავსად, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, თუ ის ჩადენილია ნდობის, ასევე, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და ამის წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა (სსკ მუხლი 138).

---

9 https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37
10 https://www.ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf
11 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.

პროსტიტუციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ლანსაროტის კონვენციას (იხ. ზემოთ), რომლის თანახმადაც, ე. წ. „სექსის ყიდვა“ არასრულწლოვნისგან ყველა შემთხვევაში დანაშაულად უნდა ჩაითვალოს (ლანსაროტის კონვენცია, მუხლი 19. გ). დღევანდელი რეგულირებით, საქართველოში ასეთი რამ დანაშაულად არ მიიჩნევა, ხოლო თუ ბავშვს მიღწეული აქვს 16 წლის ასაკისთვის, შესაძლოა, ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ქმედების ქვეშაც არ მოექცეს. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პროსტიტუციისთვის (იხ. ზემოთ) პასუხისმგებლობას აკისრებს ნებისმიერ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს. შესაბამისად, 16-17 წლის არასრულწლოვანი, ლანსაროტის კონვენციის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მიიჩნევა არა დანაშაულის მსხვერპლად, არამედ სამართალდამრღვევად. ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის მუხლები, რომლებიც შეეხება ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასა და ბავშვთა პროსტიტუციას, გადასახედია, რათა შეესაბამებოდეს სტამბოლისა და ლანსაროტის კონვენციებს და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებს, არასრულწლოვან მსხვერპლს კი უზრუნველყოფდეს ყოვლისმომცველი დაცვით და მართლმსაჯულებაზე წვდომით.

სლაიდი 41 – ვინ არის მსხვერპლი?

შესავალი:

ტრენერის შენიშვნები:

- საერთაშორისო სტანდარტთა მიხედვით, ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის პირი. ამგვარად, ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა გულისხმობს ძალადობას 18 წლამდე პირის მიმართ.[12]
- მსხვერპლი შეიძლება იყოს ბიჭიც და გოგოც.
- შეიძლება გამოვლინდეს ყველა ასაკის მსხვერპლი: ზოგიერთი კვლევის მიხედვით, მოზარდები შეიძლება უფრო მოწყვლადნი იყვნენ[13], კვლევების ნაწილი კი აჩვენებს, რომ წინაპუბერტატის ასაკის ბავშვები არაპროპორციულად დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველ მასალებში.[14]

საკვანძო საკითხები[15]

- როგორც მანამდე აღინიშნა, რეალურ ცხოვრებაში დაუცველი ბავშვები ხშირად მოწყვლადნი არიან ონლაინგარემოშიც. მაგალითად, WeProtect-ის 2023 წლის ანგარიში ცხადყოფს, რომ „ბავშვები უმცირესობების ან მარგინალიზებული ჯგუფებიდან უფრო მეტად განიცდიან ონლაინ სექსუალურ ზიანს, ორიენტაციის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.“ გარდა ამისა, მსხვერპლი, რომელმაც წარსულში განიცადა სექსუალური ძალადობა ან სხვა სახის ტრავმა, ხელახალი ვიქტიმიზაციის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არის, მათ შორის, ონლაინგარემოში.
- მოძალადე მსხვერპლს ხშირად ირჩევს თავისი ახლო გარემოცვიდან.
- მოზარდები ნაკლებად ატყობინებენ ძალადობას ზრდასრულებს, უმცროსი ასაკის ბავშვებთან შედარებით.

დასკვნები:

- მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან არ გავაცალკეოთ ონლაინ და რეალურ გარემოში ძალადობა.
- პროფესიონალებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ ბავშვთა მოწყვლადობა, რათა უკეთ გამოავლინონ რისკის ქვეშ მყოფი და მსხვერპლი არასრულწლოვნები.
- საგანმანათლებლო ძალისხმევა უნდა მიემართებოდეს ყველა ბავშვს, ასაკის შესაბამის გზავნილთა მიწოდებით, ასევე, ითვალისწინებდეს მათ მშობლებსაც.

12 https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child
13 (Disrupting Harm – ECPAT, INTERPOL)
14 https://www.weprotect.org/wp-content/uploads/Global-Threat-Assessment-2023-English.pdf
15 https://www.weprotect.org/wp-content/uploads/Global-Threat-Assessment-2023-English.pdf; https://www.weprotect.org/economist-impact-parents-survey/

სლაიდი 42 – დაყოლიება (გრუმინგი)

შესავალი:

- ეს სლაიდი ყურადღებას ამახვილებს დაყოლიებაზე: როგორ შეუძლიათ ადამიანებს ბავშვის დაყოლიება სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე, სექსუალურ აქტივობაში ჩასართავად.
- ონლაინდაყოლიება გულისხმობს ზრდასრული ადამიანის ონლაინკომუნიკაციას ბავშვთან, რათა მოიპოვოს მისი ნდობა და შეძლოს მანიპულირება ბავშვის სექსუალურ აქტივობებში ჩასართავად.

საკვანძო საკითხები:[16]

- ბავშვების დაყოლიება შესაძლებელია ონლაინ, რეალურ გარემოში, ან ორივე სივრცეში ერთდროულად.
- ონლაინდაყოლიების მიზანია სექსუალური ქცევების ნორმალიზება და ბავშვის ჩართვა სექსუალურ აქტივობებში, როგორც ონლაინ (კამერით), ისე რეალურ გარემოში, ან თვით-გენერირებული სექსუალური მასალის გაზიარებით.
- ამ მიზნით, ბავშვის დაყოლიებით დაინტერესებულმა პირმა შეიძლება ჩატით დაამყაროს კომუნიკაცია ბავშვთან, აჩვენოს პორნოგრაფიული მასალა, ან თავისი სექსუალური შინა-არსის გამოსახულებები, დააშინოს ბავშვი და ა.შ.
- ონლაინსივრცეში ბავშვებს ხშირად იყოლიებენ შეტყობინების აპლიკაციებით, სოციალური მედიით, გაცნობის აპლიკაციებით, ან სათამაშო პლატფორმებზე (მაგ. Instagram, Facebook, Discord, Whatsapp, Telegram, Grindr, Fortnite, Minecraft, Roblox, VRChat და ა.შ.).[17]
- დაყოლიებით დაინტერესებული პირი, როგორც წესი, ზრდასრულია, მაგრამ შესაძლოა, ბავ-შვიც აღმოჩნდეს. ის შეიძლება უცნობი ადამიანი იყოს, თავს აჩვენებდეს სხვა ადამიანად (მათ შორის, არასრულწლოვნად), ან იცნობდეს ბავშვს.

განსახილველი საკითხები:

- წაახალისეთ აუდიტორია იმ ძირითადი საზღვრების განსახილველად, რომლებიც უნდა დაიცვან ბავშვებმა: ისინი არ უნდა დათანხმდნენ პირად შეხვედრებს უფროსებთან შეუ-თანხმებლად და არ უნდა აზიარებდნენ ინტიმური შინაარსის მასალას ინტერნეტში.
- განიხილეთ, რა მნიშვნელობა აქვს სარისკო აპლიკაციებსა და ვებსაიტებზე ინფორმირე-ბულობას, ასევე, ბავშვთა ონლაინქცევის გააზრებას.

დასკვნები:

- დასასრულს, ხაზი გაუსვით, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვებთან მუდმივი დიალოგის შენარჩუ-ნებას და ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ინდიკატორთა გაგებას მსხვერპლთა ადრეული გამოვლენისათვის.

სლაიდი 43 - ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა

ტრენერის შენიშვნები:

შესავალი:

- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა ბავშვთა უფლებების სერიოზული დარღვევა და მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა, რომელსაც ხშირად არასწორად მოიხსენიებენ „ბავშვთა პორნოგრაფიად“.
- ტერმინი „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ მიზანმიმართულად გამოიყენება „ბავშვთა პორნოგრაფიის“ ნაცვლად, რათა უფრო ზუსტად და სენსიტიურად აღწეროს დანაშაულის ბუნება და მისი ზეგავლენა მსხვერპლზე. ამ ტერმინის უპირატესობა განპირობებულია რამდენიმე კრიტიკული მიზეზით:
    1. **დანაშაულის სიმძიმის აღიარება:** „ბავშვთა პორნოგრაფია“ შეცდომაში შემყვანი

16 ასევე იხილეთ: https://inhope.org/EN/articles/the-stages-of-grooming
17 https://bd9606b6-40f8-4128-b03a-9282bdcfff0f.usrfiles.com/ugd/bd9606_0d8ae7365a8f4bfc977d8e7aeb2a1e1a.pdf
https://unicri.it/sites/default/files/2022-11/Gaming%20and%20the%20Metaverse.pdf
https://safeonline.global/disrupting-harm/

ტერმინია, რადგან შეიძლება გულისხმობდეს პორნოგრაფიის თანხმობაზე დაფუძნებულ ან ლეგალურ ფორმას, რაც ამსუბუქებს დანაშაულის სიმძიმეს. საპირისპიროდ, ტერმინი „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ ცალსახად განსაზღვრავს მასალას დანაშაულებრივი ქმედებისა და ძალადობის მტკიცებულებად, რაც ხაზს უსვამს დანაშაულის სიმძიმეს.

2. **მსხვერპლის ტანჯვის აღიარება:** კონტენტის „პორნოგრაფიად“ მიჩნევამ შეიძლება შენიღბოს ფაქტი, რომ არსებობს რეალური ბავშვი, რომელზეც ძალადობენ და რომელსაც ექსპლუატაციას უწევენ. ტერმინი „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ ყურადღების ცენტრში აქცევს ბავშვს, როგორც ძალადობის მსხვერპლს (და არა პორნოგრაფიის მონაწილეს), რაც ხაზს უსვამს, რომ ქმედება არ ეფუძნება თანხმობას და ექსპლუატაციური ბუნებისაა.
3. **აქცენტი ძალადობაზე და არა შინაარსზე:** „ბავშვთა პორნოგრაფია“ ყურადღებას ამახვილებს თავად შინაარსზე, ხოლო „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ ხაზს უსვამს ძალადობრივ და უკანონო ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება ასეთი მასალის შექმნას. ტერმინი ცხადყოფს, რომ საკითხი ეხება ბავშვზე სექსუალურ ძალადობას და არა რაიმე სახის მასალის შექმნას „გართობის“ მიზნით.
4. **სამართლებრივი და სოციალური ასპექტები:** ტერმინმა „ბავშვთა პორნოგრაფია“ შეიძლება გაამყაროს საზიანო და მცდარი წარმოდგენები, რაც პოტენციურად შეამცირებს საზოგადოების აღშფოთებას და გაითვალისწინებს უფრო მსუბუქ სამართლებრივ სანქციებს. ტერმინი „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ შეესაბამება სამართლებრივ ჩარჩოებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც აღიარებენ დანაშაულის სრულ სიმძიმეს და უზრუნველყოფენ, რომ საკითხს მოეპყრონ შესაბამისი სერიოზულობით.
5. **გლობალური კონსენსუსი და საუკეთესო პრაქტიკა:** საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, გაერო, ინტერპოლი და ევროპის საბჭო, მხარს უჭერენ ტერმინს „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“, რათა თანმიმდევრული და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა ჩამოაყალიბონ ამ დანაშაულის მიმართ. ეს ტერმინი ნაწილია უფრო ფართო ძალისხმევისა, რომლის მიზანია რეაგირება ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციაზე და პრიორიტეტის მინიჭება მსხვერპლთა დაცვისა და ღირსების პატივისცემისათვის. ამ ორგანიზაციებმა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე საუბრისას გამოსაყენებელი შესაბამისი ტერმინები და მათი განმარტებები ასახეს ლუქსემბურგის სახელმძღვანელო მითითებებში (https://ecpat.org/wp-content/uploads/2021/05/Terminology-guidelines-396922-EN-1.pdf)

- შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ არა მხოლოდ უფრო ზუსტად აღწერს შინაარსს, არამედ კრიტიკული ინსტრუმენტია ასეთ დანაშაულებზე მიმდინარე დისკურსის გადასასინჯად. ტერმინში გამოყენებული ენა ასახავს დანაშაულის ნამდვილ ბუნებას, მსხვერპლისთვის ზიანის მიყენებას და ქმედითი სამართლებრივი თუ სოციალური რეაგირების აუცილებლობას.
- სლაიდი გამოკვეთს ამგვარი მასალის მასშტაბებსა და ზეგავლენას და ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია ინფორმირებულობის ამაღლება და პრევენციული ზომების მიღება.

საკვანძო საკითხები:

- **განსაზღვრება და ფარგლები:**
  - „ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა“ არის ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს სექსუალურ შინაარსს ან გამოიყენება სექსუალური მიზნებით და ასახავს ბავშვს.[18]
  - ის მოიცავს გამოსახულებებს, ვიდეოებსა და სხვა ციფრულ კონტენტს, შექმნილს, გაზიარებულს და/ან გავრცელებულს ონლაინ.

18 „ევროკავშირის 2011/93 დირექტივის პრეამბულაში ხაზგასმულია ფაქტი, რომ „ბავშვთა პორნოგრაფია ხშირად მოიცავს მასალებს, სადაც აღბეჭდილია უფროსების სექსუალური ძალადობა ბავშვებზე“, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ „ბავშვთა პორნოგრაფია“ შეიძლება იყოს უფრო ფართო ცნებაც, კერძოდ: „მოიცავდეს სექსუალურ ქცევაში ჩართული ბავშვების ან მათი სასქესო ორგანოების გამოსახულებებს, როცა ისინი შექმნილია ან გამოიყენება სექსუალური მიზნებისთვის, ბავშვის მხრიდან შეცნობით, ან მის გარეშე. გარდა ამისა, „ბავშვთა პორნოგრაფიის“ კონცეფცია მოიცავს ბავშვის რეალისტურ სურათებს, სადაც ბავშვი ჩართულია - ან გამოსახულია ჩართულად - სექსუალურ ქცევაში, ძირითადად, სექსუალური მიზნებით“ (პუნქტი 8)“: ლუქსემბურგის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 39: https://ecpat.org/wp-content/uploads/2021/05/Terminology-guidelines-396922-EN-1.pdf

- **გავრცელება:**
  - პრობლემა ფართოდ არის გავრცელებული და ყოველწლიურად მილიონობით შეტყობინება იგზავნება მის შესახებ.
  - დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნულმა ცენტრმა 2022 წელს 32 მილიონი შეტყობინება გააანალიზა ამ საკითხზე, რაც ხაზს უსვამს პრობლემის სიმწვავეს.
  - ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ინტერნეტში, რაც მას ხელმისაწვდომს ხდის ყველასთვის.

შეტყობინება და გამოვლენა:

  - ორგანიზაციები, როგორიცაა INHOPE Hotlines[19], Internet Watch Foundation (IWF), INTERPOL, EUROPOL, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ასეთი მასალის გამოვლენასა და ამოღებაში.
  - სლაიდზე წარმოდგენილი დიაგრამა გვიჩვენებს ბავშვის ამსახველი მასალების გავრცელების ტენდენციას ბოლო წლების განმავლობაში, რაც საგანგაშო ზრდაზე მიუთითებს.
  - მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა ხშირად გამოხატავს ბავშვზე ძალადობას რეალურ ცხოვრებაში და არ არის მხოლოდ ონლაინგამოწვევა. ეს მიუთითებს, რომ ბავშვებს საფრთხე ემუქრებათ. აქედან გამომდინარე, მსგავსი შემთხვევის გამოვლენისას გატარებული ზომები გულისხმობს არა მხოლოდ მასალის ამოღებას ან მიმოქცევის დაბლოკვას, არამედ ძალადობაზე რეაგირებასაც, ასევე, ბავშვის დაცვას, თუ ეს შესაძლებელია.
  - როგორ ამოვიცნოთ, არის თუ არა ბავშვის ამსახველი მასალა უკანონო (შეტყობინების მიზნებისთვის): შეიძლება რთული იყოს დადგენა, უკანონოა თუ არა გამოსახულება/ვიდეო, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ მასალას შეუძლია საზღვრების გადაკვეთა, სხვადასხვა ქვეყანაში კი კანონები განსხვავდება. ამ პროცესში დაგეხმარებათ ინტერპოლის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში იყენებენ პროფესიონალები. მათზე დაყრდნობით, სურათი ან ვიდეო ყველგან უკანონოდ ითვლება, თუ ასახავს:
    - წინაპუბერტატული ასაკის ბავშვს.
    - გენიტალურ ან ანალურ უბნებს, ან სექსუალურ აქტივობებს.

ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი მასალის დამზადება, ფლობა ან გაზიარება მისაღებია მოზარდის შემთხვევაში, თუმცა მითითება შეიძლება დაგეხმაროთ გადაწყვეტაში, თუ რა ზომები უნდა მიიღოთ.

- **ტექნოლოგიური გამოწვევები:**
  - ტექნოლოგიური მიღწევები, მათ შორის, ე. წ. „ბნელი ქსელის", დაშიფვრისა და P2P-ის გამოყენება, უადვილებს დამნაშავეებს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის გაზიარებას და, ამავდროულად, კანონისთვის თავის არიდებას.
  - ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ინსტრუმენტების განვითარება ხელს უწყობს ამგვარი მასალის ეფექტიანად აღმოჩენას და მისი გავრცელების პრევენციას.
- **ზეგავლენა მსხვერპლზე:**
  - ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის მსხვერპლი განიცდის გრძელვადიან ფსიქოლოგიურ, ემოციურ და სოციალურ შედეგებს.
  - ძალადობა ხშირად უწყვეტად გრძელდება გამოსახულებათა მუდმივი გაზიარებებისა და ნახვების გამო, რაც იწვევს განმეორებით და დაუსრულებელ ტრავმას.
- **სამართლებრივი და დამცავი ზომები:**
  - გლობალური თანამშრომლობა და მკაცრი კანონები გადამწყვეტია ამ მოვლენასთან ბრძოლისათვის, კერძო სექტორის ძალისხმევასთან ერთად, რომლის მიზანია სერვისებით სარგებლობის სათანადოდ დარეგულირება.
  - გარდა ამისა, ძალისხმევა მოიცავს უფრო მკაცრი სანქციების დაწესებას დამნაშავეთათვის და მსხვერპლთა დახმარების სისტემების დანერგვას.

19 inhopenetwork_hotlinedirectory.pdf

- სამუშაო ადგილზეც შეიძლება მნიშვნელოვანი როლის შესრულება, სამუშაო მოწყობილობებში ამგვარი მასალის გამოვლენით.

დასკვნები:

- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, სამართალდამცველ ორგანოთა ჩართულობას, ტექნოლოგიების რეგულირებას და საზოგადოების ინფორმირებულობას.
- ხაზი გაუსვით მუდმივი სიფხიზლისა და მოქმედების აუცილებლობას, რათა დავიცვათ ბავშვები ასეთი საზარელი ექსპლუატაციისგან.

სლაიდი 44 - ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა

საკვანძო საკითხები:

- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის ფართოდ გავრცელება მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის გლობალურად.
- მთელი რიგი ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ამგვარ შემთხვევებთან ბრძოლაში. მათ შორისაა: Internet Watch Foundation (IWF) INHOPE, NCMEC, Thorn, INTERPOL, EUROPOL, ეროვნული ცხელი ხაზები და ეროვნული პოლიცია.
- ბოლო მონაცემები გვიჩვენებს, რომ მკვეთრად გაიზარდა შეტყობინებები და დადასტურებული შემთხვევები ასეთ მასალასთან დაკავშირებით.
- **2023 CyberTipline-**ის ანგარიშები ქვეყნების მიხედვით (2023 CyberTipline Reports by Country (missingkids.org)) – ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის გავრცელება, აღრიცხული NCMEC-ის მიერ.
  - საქართველო 15,055
  - მოლდოვა 30,972
  - მონტენეგრო 8,490

დეტალური საკითხები:

- **გამოწვევები და გავრცელება:**
  - მსგავსი მასალის ხელმისაწვდომობა და გავრცელება საგანგაშოდ იზრდება, რაც მიუთითებს ბავშვთა უსაფრთხოების რისკების ზრდაზე ონლაინგარემოში.
- **IWF-ის მონაცემები და ანალიზი:**
  - Internet Watch Foundation-ისა და WeProtect-ის მონაცემებით, 2019-დან 2023 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა შეტყობინებები და დადასტურებული შემთხვევები მსგავს მასალასთან დაკავშირებით.
  - 2023 წელს IWF-მა მიიღო 392,660 შეტყობინება, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილში დადასტურდა, რომ საქმე ეხებოდა უკანონო შინაარსის მასალას.
  - ასევე შეინიშნება თვითგენერირებული კონტენტის შესამჩნევი ზრდა, განსაკუთრებით, მცირეწლოვან ბავშვებში. მონაცემები გვიჩვენებს, რომ 7-10 წლის ბავშვთა გამოსახულებების რიცხვი 1000%-ით გაიზარდა.
- **თვითგენერირებული კონტენტი:**
  - დადასტურებული შემთხვევებიდან, მნიშვნელოვანი ნაწილი თვითგენერირებულია და, ხშირად, მასალებზე ასახულნი არიან ბავშვები, რომლებსაც აიძულებენ ან იყოლიებენ, რომ მონაწილეობა მიიღონ სექსუალური მასალის შექმნაში.
  - თვითგენერირებული კონტენტის ზრდა ახალ გამოწვევებს ქმნის პრევენციისა და ინტერვენციისთვის.

ვიზუალური მონაცემები:

- **სვეტოვანი დიაგრამა:**
  - მარცხნივ განთავსებული სვეტოვანი დიაგრამა ასახავს IWF-ის მიერ მიღებულ

შეტყობინებათა რაოდენობას წლების მიხედვით (2019-2023).

- შუა დიაგრამა აჩვენებს შეტყობინებებს, რომელთა შემთხვევაშიც დადასტურდა, რომ მასალა შეიცავს უკანონო შინაარსს.
- მარჯვენა დიაგრამაზე ნაჩვენებია თვითგენერირებული მასალების ზრდა, რომელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიცავს ძალიან მცირეწლოვან ბავშვებს.

ძირითადი სტატისტიკა

მიღებული შეტყობინებები:	**დადასტურებული შეტყობინებები:**	**თვითგენერირებული მასალა:**
019: 260,400	2019: 132,700	2019: 38,400
2020: 299,600	2020: 153,350	2020: 68,000
2021: 361,000	2021: 252,000	2021: 182,000
2022: 375,230	2022: 255,570	2022: 199,360
2023: 392,660	2023: 275,655	2023: 254,070

მნიშვნელოვანი შენიშვნა: მონაცემები გამოკვეთს მზარდ გამოწვევას, რომ მცირეწლოვანი ბავშვები, 7-10 წლის ასაკისანიც კი, სულ უფრო ხშირად არიან წარმოდგენილნი ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველ, თვითგენერირებულ მასალებში. ეს ხაზს უსვამს ქმედითი დამცავი ზომების გადაუდებელ აუცილებლობას.

დასკვნები: ეს ნაწილი გამოკვეთს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის მძიმე და მზარდ გამოწვევას და ხაზს უსვამს მონიტორინგის, შეტყობინებისა და პრევენციული ზომების მნიშვნელოვან როლს ბავშვთა ონლაინექსპლუატაციისგან დაცვაში.

პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, შეიძლება წააწყდეთ სექსუალურ მასალას, რომელშიც მონაწილეობენ თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები ან კოლეგები. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ზომების მიღებას ციფრულ მტკიცებულებათა შესანახად, რათა თავიდან აიცილოთ ნებისმიერი პოტენციური გამოძიების კომპრომეტირება (ეს საკითხი დეტალურად განიხილება მე-2 დღეს).

სლაიდი 45 - ხელოვნური ინტელექტი და ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა

შესავალი:

- 2023 წლის ოქტომბერში IWF-მა გამოაქვეყნა ანგარიში[20], რომელიც გამოკვეთს ხელოვნური ინტელექტის საგანგაშო გამოყენებას ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის შესაქმნელად.
- ეს მცირემასშტაბიანი კვლევა ფოკუსირებული იყო ე. წ. „ბნელი ქსელის“ (Dark web) ერთ-ერთ ფორუმზე, სადაც, გამოვლენილი 10,500-მდე ხელოვნურად შექმნილი გამოსახულებიდან, 2,500 აკმაყოფილებდა გაერთიანებული სამეფოს მიერ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალისთვის დადგენილ სამართლებრივ ზღვარს.

ძირითადი მიგნებები:

- **გამოწვევის მასშტაბი**: ანგარიშმა აჩვენა ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი ხელოვნური მასალის მნიშვნელოვანი მოცულობით გენერირება და გაზიარება „ბნელი ქსელის“ პლატფორმებზე.
- **სამართლებრივი შედეგები:** ამ გამოსახულებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით, კვალიფიცირდება როგორც „უკანონო“, რაც ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტით წარმოქმნილი საფრთხის სერიოზულობას.

20 How AI is being abused to create child sexual abuse material (CSAM) online (iwf.org.uk)

- **ახალი ტენდენციები**: გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხო ინტერნეტის ცენტრმა 2023 წლის ნოემბრის ანგარიშში განაცხადა, რომ ბავშვები სულ უფრო ხშირად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტსა და ნუდიფიკაციის (გაშიშვლების) აპლიკაციებს/სერვისებს თანატოლთა ამსახველი მასალის შესაქმნელად. ეს ინსტრუმენტები ციფრულად აშორებს ტანსაცმელს სურათებიდან და ქმნის სექსუალური შინაარსის მასალას, ფიზიკური აქტის საჭიროების გარეშე.
- **ვითარება 2024 წლის ივლისის მდგომარეობით:** 2023 წლის ოქტომბრიდან, ამავე ფორუმზე აიტვირთა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული 3500-ზე მეტი ახალი მასალა (სულ უფრო ხშირად იყენებენ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ცნობილ მსხვერპლთა სურათებს); სულ უფრო მეტი სურათი ასახავს ყველაზე მძიმე კატეგორიის ძალადობას; დაიწყო ყალბი ვიდეოების გავრცელება (deepfakes); ასევე, იზრდება ინტერნეტის გამოყენება ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის მიმოქცევისათვის.[21]

განსახილველი საკითხები:

- **ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენება**: ხელოვნური ინტელექტი, მიუხედავად იმისა, რომ სასარგებლოა მრავალი თვალსაზრისით, ბოროტი მიზნებით გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც ახალ გამოწვევებს უქმნის ბავშვთა დაცვას.
- **ზეგავლენა მსხვერპლზე**: ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი ხელოვნური მასალის შექმნა-გავრცელებას შეიძლება მძიმე ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგები მოჰყვეს მსხვერპლისთვის, განსაკუთრებით, როდესაც ამაში თანატოლები არიან ჩართულნი.
- **პრევენციული ზომები:** აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებისა და ონლაინპლატფორმების ქმედითი მონიტორინგი და რეგულირება, მათი ბოროტად გამოყენების ასარიდებლად. მნიშვნელოვანია ბავშვების განათლება, რომ არ უნდა გაავრცელონ საკუთარი სურათები ინტერნეტში (ასევე, მშობლებისთვის რჩევის მიწოდება, რომ არ გააზიარონ შვილების სურათები).

დასკვნები:

- ეს საკითხი ასახავს ტექნოლოგიურ მიღწევათა ბნელ მხარეს და ყოვლისმომცველი სტრატეგიების აუცილებლობას, რომ ვებრძოლოთ ბავშვთა ექსპლუატაციას ხელოვნური ინტელექტის საშუალებით.
- ხაზი გაუსვით თანამშრომლობის მნიშვნელობას ტექნიკურ კომპანიებს, სამართალდამცავ ორგანოებსა და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციებს შორის, ამ რისკების აღსაკვეთად და შესამცირებლად.

სლაიდი 46 – ბავშვზე სექსუალური ძალადობის პირდაპირი ტრანსლაცია (ლაივსტრიმინგი)

შესავალი:

- ეს ნიშნავს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობა მყისიერად გადაეცემა ონლაინმაყურებელს, რომელსაც შეუძლია, უყუროს და/ან ჩაერთოს იმაში, რაც ხდება.
- პირდაპირი ტრანსლაციის შემთხვევები მატულობს, განსაკუთრებით, ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ფილიპინები ან მადაგასკარი, თუმცა ეს შეიძლება ყველგან მოხდეს. ნებაყოფლობით ან იძულებით თვითგენერირებული, პირდაპირ ტრანსლირებული მასალა ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსგავს შემთხვევებში, რისი მსხვერპლნიც ხშირად გვხვდებიან აშშ-სა და ევროპაში.

საკვანძო საკითხები:

- არსებობს ასეთი ძალადობის 3 ტიპი:[22] ნებაყოფლობით თვითგენერირებული პირდაპირ ტრანსლირებული მასალა (იძულების გარეშე), იძულებით თვითგენერირებული მასალა პირდაპირი ტრანსლაციისთვის (ძალდატანებით ან დაყოლიებით), დისტანციურად პირდაპირ

21 https://www.iwf.org.uk/media/opkpmx5q/iwf-ai-csam-report_update-public-jul24v11.pdf?utm_source=ActiveCampaign&utm_medium=email&utm_content=July%20Newsletter%3A%20Prevention%20and%20emerging%20threats&utm_campaign=July%202024%20Newsletter
ასევე იხილეთ: https://www.aru.ac.uk/news/growing%20demand%20on%20dark%20web%20for%20ai%20abuse%20images

22 https://www.datocms-assets.com/74356/1662373940-netcleanreport-2019.pdf

ტრანსლირებული მასალა (დისტანციურად შეკვეთილი ზრდასრული მაყურებლის მიერ და შესრულებული სხვა ზრდასრული ადამიანის მიერ, რომელიც ხშირად სხვა კონტინენტზე ცხოვრობს).

- ეს არ ტოვებს კვალს, თუ ვინმე შეგნებულად არ ჩაწერს მსგავს აქტებს, რაც ართულებს მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენას.
- მოძალადეებს ხშირად აქვთ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალა.[23]

განსახილველი საკითხები (შეასრულეთ სავარჯიშო, თუ დრო ამის საშუალებას იძლევა)

- პირდაპირი ტრანსლაციის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ონლაინ სექსუალური ძალადობის ნიშნების დასადგენად. რა ნიშნებია ესენი?

დასკვნები

- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ეს ფორმა აჩვენებს, რომ მხოლოდ ტექნიკური გადაწყვეტილებები ყოველთვის ვერ აღკვეთს ან ავლენს ასეთ ძალადობას. ამიტომ, მსხვერპლთა იდენტიფიცირების შიდა მექანიზმები და პროცედურები პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს ბავშვთა ნდობის მოპოვებას, დაკვირვებას და ბავშვებთან ურთიერთობას.

სლაიდი 47 – პორნოგრაფია თანხმობის გარეშე: „დახმარების ხაზი შურისძიებითი პორნოგრაფიის შემთხვევებისთვის“

ასეთი შემთხვევა ზეგავლენას არ ახდენს მხოლოდ ბავშვებზე - უფროსებიც ხდებიან მისი მსხვერპლნი.

სლაიდის მიმოხილვა:

- მიმოიხილეთ ინტიმური გამოსახულებების თანხმობის გარეშე გაზიარების პრობლემა.
- ხაზი გაუსვით დახმარების ხელმისაწვდომობას დაზარალებულთათვის.

ტრენერის შენიშვნები:

შესავალი:

- სლაიდი ყურადღებას ამახვილებს გაერთიანებული სამეფოს ცხელ ხაზზე, რომელიც განკუთვნილია შურისძიების მიზნით გავრცელებული პორნოგრაფიის შემთხვევებისთვის. იგი მხარდაჭერას და რჩევებს სთავაზობს პირებს, რომელთა ინტიმური სურათებიც თანხმობის გარეშე გააზიარეს.
- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია ბავშვთა ონლაინუსაფრთხოებაზე, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ონლაინძალადობა გავლენას ახდენს ყველა ასაკის ადამიანზე.

საკვანძო საკითხები:

- **საკითხის ბუნება:**
  - ინტიმური სურათების თანხმობის გარეშე გავრცელებამ, რასაც ხშირად „შურისძიებით პორნოგრაფიასაც“ უწოდებენ, შეიძლება მნიშვნელოვანი ემოციური და ფსიქოლოგიური ზიანი გამოიწვიოს.
  - ამ ტიპის ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბავშვებით - ზრდასრულებიც ხდებიან მისი მსხვერპლნი, რაც ხაზს უსვამს ონლაინუსაფრთხოების პრობლემათა ფართომასშტაბიანობას.
- **დახმარების ცხელი ხაზის როლი:**
  - გაერთიანებული სამეფოს ცხელი ხაზი დაზარალებულებს კონფიდენციალურ რჩევებსა და დახმარებას სთავაზობს.
  - ამასთანავე, ის ადამიანებს ეხმარება თანხმობის გარეშე გავრცელებული სურათების ინტერნეტიდან ამოღებაში და ემოციურ მხარდაჭერას/რჩევებს აწვდის სამართლებრივ გზებთან დაკავშირებით.

23 https://www.europol.europa.eu/publications-events/main-reports/internet-organised-crime-threat-assessment-iocta-2019

- **სტატისტიკა და ზემოქმედება:**
  - განიხილეთ შურისძიებითი პორნოგრაფიის გავრცელება (არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი დახმარების სერვისების მზარდი საჭიროება.
  - ხაზი გაუსვით, რა მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ამაღლებას ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად არსებულ რესურსებზე.

განსახილველი საკითხები:

- წაახალისეთ აუდიტორია, რომ განიხილონ, როგორ შეიძლება ონლაინუსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება ინტიმური სურათების თანხმობის გარეშე გაზიარებისგან დასაცავად.
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების განათლებას ინტიმური სურათების გაზიარების რისკებსა და სამართლებრივ შედეგებზე.

დასკვნები:

- დასასრულს, შეაჯამეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოვლისმომცველი ონლაინუსაფრთხოება და სექსუალური განათლება, ასევე, მხარდაჭერითი რესურსების ხელმისაწვდომობა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის.
- ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ საკითხი სცდება ბავშვებს და გავლენას ახდენს უფროსებზეც, რაც უფრო ფართო მიდგომას მოითხოვს ონლაინუსაფრთხოებისა და მხარდამჭერი სერვისების მიმართ.

სლაიდი 48

დიაგრამა წარმოგვიდგენს ზემოხსენებული დახმარების ხაზის მიერ აღრიცხული (და ამოღებული) სურათების რაოდენობას სქესის მიხედვით. კაცების შემთხვევაში, თითოეული შეტყობინებისას ცხელი ხაზი, საშუალოდ, იღებდა 0,3 სურათს, ქალების შემთხვევაში კი 8,6-ს (30-ჯერ მეტს, სქესის მიხედვით).

სლაიდი 49 - შესავალი ფინანსურად მოტივირებული სექსუალური გამოძალვის საკითხებისათვის (SEXTORTION)

- **გადადით შემდეგ სლაიდზე.**

სლაიდი 50 - სექსუალური გამოძალვა

შესავალი ფინანსურად მოტივირებული სექსუალური გამოძალვის საკითხებისათვის

განსაზღვრება:

- **სექსუალური გამოძალვა** გულისხმობს პირის იძულებას, მიაწოდოს ინტიმური სურათები, ვიდეოები, ფული, ან სხვა რამ, პირადული შინაარსის მასალის გამჟღავნების მუქარით. როგორც წესი, ეს იწყება ონლაინკომუნიკაციით, რომლითაც მსხვერპლს არწმუნებენ ან მოტყუებით აიძულებენ, რომ გააზიაროს ინტიმური შინაარსის მასალა, რომელიც შემდეგ გამოიყენება მისი შანტაჟისთვის.

სამიზნე დემოგრაფიული ჯგუფი:

- სექსუალურმა გამოძალვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნებისმიერ ადამიანზე, თუმცა ბავშვები, ახალგაზრდები და კაცები განსაკუთრებით დაუცველები არიან სოციალური მედიისა და ონლაინპლატფორმების ხშირი გამოყენების გამო, სადაც შეიძლება სამიზნეებად იქცნენ. „შურისძიებითი პორნოგრაფიის დახმარების ხაზის“ მონაცემებით[24], 2023 წელს აღრიცხულ შემთხვევათა 30% მოიცავდა სექსუალურ გამოძალვას და აქედან 93% კაც მსხვერპლს ეხებოდა.

სექსუალური გამოძალვის მექანიზმები:

- **კონტენტის მოპოვება:** პირად სურათებსა ან ვიდეოებზე წვდომას მოძალადეები იღებენ სხვადასხვა გზით. მათ შორისაა: დაჰაკვა, მოტყუება, თავის სხვა პირად გასაღება (პერსონაცია), ან თანხმობით გაზიარება, რაც შემდგომში გამოძალვის მიზნით გამოიყენება.

24 revenge-porn-helpline-report-2023.pdf (revengepornhelpline.org.uk)

- **მუქარა და იძულება**: მსხვერპლს ემუქრებიან პირადი მასალის გავრცელებით, თუ არ შეასრულებს გამომძალველის მოთხოვნებს, რაც ხშირად იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ და ემოციურ სიძნელეებს.

ზეგავლენა მსხვერპლზე:

- **ემოციური და ფსიქოლოგიური დისტრესი**: მსხვერპლი ხშირად განიცდის ძლიერ შფოთვას, შიშსა და სირცხვილს, რაც იწვევს გრძელვადიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს. სექსუალურ გამოძალვასთან დაკავშირებულმა სტიგმამ შეიძლება ხელი შეუშალოს მსხვერპლს დახმარებისთვის მიმართვაში, რაც ამწვავებს მის მდგომარეობას.
- **ფინანსური შედეგები**: გამომძალველები, როგორც წესი, ითხოვენ ფულს, რაც ფინანსურ პრობლემებს წარმოშობს, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მსხვერპლის ან მისი ოჯახისთვის.

ახალი ტენდენციები:

- სექსუალური გამოძალვის შემთხვევები გლობალურ დონეზე მატულობს, რაც განპირობებულია ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ფართო გამოყენებით. სექსუალურ გამოძალვაზე შეტყობინებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2021 წელს, ხოლო 2022 წელს ამ საკითხზე ყველაზე მეტი შეტყობინება მიიღო დახმარების ხაზმა. ეს ადასტურებს, რომ მიმდინარე ეტაპზე საფრთხე ისევ არსებობს, გამწვავებული სახით.

პრევენციული ზომები და რეაგირება:

- **განათლება და ცნობიერების ამაღლება**: მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლება ინტიმური შინაარსის მასალის გაზიარების საფრთხეებსა და უსაფრთხო ონლაინქცევაზე. ღია კომუნიკაცია ინტერნეტუსაფრთხოების შესახებ მშობლებს, მასწავლებლებსა და ბავშვებს შორის, დაგეხმარებათ ასეთი ინციდენტების არიდებაში.
- **მხარდაჭერა და რესურსები**: მხარდაჭერის სისტემათა ჩამოყალიბება, როგორიცაა დახმარების ხაზები, კონსულტირება და სამართლებრივი დახმარება, უაღრესად აუცილებელია. მსხვერპლთა წახალისება, რომ შეატყობინონ სექსუალური გამოძალვის შემთხვევები ხელმისაწვდომი და ანონიმური მექანიზმების მეშვეობით (განსჯის ან შურისძიების შიშის გარეშე), გადამწყვეტია დროულად ჩარევისათვის.
- მნიშვნელოვანია ბავშვების განათლება, რომ არ გაავრცელონ საკუთარი სურათები ინტერნეტში (ასევე, მშობლებისთვის რჩევის მიწოდება, რომ არ გააზიარონ შვილების სურათები).

დასკვნები:

- **ქმედებისკენ მოწოდება**: ხაზი გაუსვით, რა მნიშვნელობა აქვს მშობლების, პედაგოგების, ექიმების, სამართალდამცავი ორგანოებისა და ტექნოლოგიური კომპანიების ერთობლივ ძალისხმევას ადამიანთა, განსაკუთრებით, ბავშვთა სექსუალური გამოძალვისგან დაცვაში.
- **ხელმისაწვდომი რესურსები:** მიაწოდეთ ინფორმაცია, სად შეუძლია მსხვერპლს დახმარებისა და მხარდაჭერის მოძიება; ასევე, ხაზი გაუსვით ანონიმური მხარდამჭერი სერვისების მნიშვნელობას ამ მზარდი პრობლემის გადასაჭრელად.

სლაიდი 51 - სექსუალური გამოძალვის შემთხვევათა გაზრდა

შესავალი ITV News-ის საინფორმაციო ვიდეორგოლისათვის, რომელიც შეეხება სექსუალურ გამოძალვას:

- ახლა ჩვენ ვნახავთ ITV News-ის მიერ 2024 წლის აპრილში მომზადებულ მოკლე საინფორმაციო კლიპს.[25]
- ვიდეორგოლი მიმოიხილავს ახალ საგანგაშო მონაცემებს, რომლებიც მიუთითებს სექსუალური გამოძალვის მსხვერპლთა რაოდენობის ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ სამიზნეები, უმეტესწილად, მოსწავლეები არიან.
- კლიპში აღწერილია სექსუალური გამოძალვის მიმდინარე ლანდშაფტი და ყურადღება გამახვილებულია მოძალადეთა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, ასევე, გავლენაზე ახალგაზრდა მსხვერპლთან მიმართებით.

25 'They killed our son': Online scammers tearing families apart as sextortion cases soar | ITV News

- ვიდეორგოლში ასევე წარმოდგენილია ექსპერტთა კომენტარები და რეალური შემთხვევები, რომლებიც ხაზს უსვამს ამ გამოწვევის სიმძაფრესა და მასშტაბს.

საკვანძო საკითხები:

- **სტატისტიკური ზრდა**: ყურადღება მიაქციეთ სტატისტიკას, რომელიც აჩვენებს სექსუალური გამოძალვის შემთხვევათა ზრდას.
- **სამიზნე დემოგრაფიული ჯგუფი**: ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ სამიზნეები მოსწავლეები არიან და მიმოიხილეთ ამ ტენდენციის მიზეზები.
- **მოსაზრებების გაზიარება ექსპერტთა მიერ**: მოუსმინეთ ექსპერტთა მოსაზრებებს, თუ რატომ იზრდება სექსუალური გამოძალვის შემთხვევათა რაოდენობა და რა ზომების მიღება შეიძლება მათ წინააღმდეგ.
- **მსხვერპლების ისტორიები**: მოუსმინეთ სხვადასხვა მსხვერპლს, რომლებმაც გამოიარეს სექსუალური გამოძალვა, და ხაზი გაუსვით ზეგავლენასა და ფსიქოლოგიურ ზიანს, რომელიც განიცადეს მათ.

ქვემოთ შემოთავაზებულია რამდენიმე ვიდეორგოლი, რომლებიც აღებულია ქართული ვებსაიტებიდან და მიზნად ისახავს ონლაინძალადობაზე ცნობიერების ამაღლებას. მათი ნაწილი ზოგადი შინაარსისაა და არ ეხება უშუალოდ არასრულწლოვნებს:

https://www.youtube.com/watch?v=bm5CBFiC1XU

https://www.youtube.com/watch?v=3r5WLE1ck-s&list=PLSFhLmFi9Z9gGJM-KW9l698SbnUb0iIe-

https://www.youtube.com/watch?v=KjKFdde1LRQ&list=PLSFhLmFi9Z9gGJM-KW9l698SbnUb0iIe-&index=2

ქვემოთ შემოთავაზებული ვიდეორგოლები მოამზადა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა:

https://www.facebook.com/watch/?v=2222116691514222

https://www.facebook.com/watch/?v=857302203037091

https://www.facebook.com/watch/?v=1236261170892828

https://aisi.blog/courses/

https://www.youtube.com/watch?v=sdX2N76vK_U

სლაიდი 52 - ეროვნული გაფრთხილება: ფინანსურად მოტივირებული სექსუალური გამოძალვა

- **კონტექსტი:** დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა სააგენტომ (NCA) და ბავშვთა ონლაინ ექსპლუატაციასთან ბრძოლისა და დაცვის (CEOP) სამმართველომ სასწრაფო გაფრთხილება გაავრცელეს დიდ ბრიტანეთის საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაფრთხილებაში ხაზი გაუსვეს სექსუალური გამოძალვის მწვავე საკითხს, რომლის სამიზნეები, ძირითადად, ბავშვები და ახალგაზრდები არიან.
- **შინაარსის მიმოხილვა:**
    - **განსაზღვრება**: ფინანსურად მოტივირებული სექსუალური გამოძალვა გულისხმობს მსხვერპლთა იძულებას, გადაიხადონ ფული, ან დააკმაყოფილონ სხვა ფინანსური მოთხოვნები, ინტიმური სურათების ან ვიდეოების გამოქვეყნების მუქარით.
    - **პრობლემის მასშტაბი**: გაფრთხილება ხაზს უსვამს გლობალურ დონეზე აღრიცხულ შემთხვევათა მნიშვნელოვან ზრდას, რომლებშიც ბავშვებს აიძულებენ საზღვარგარეთ დაფუძნებული, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები.
    - **მსხვერპლთა დემოგრაფიული ჯგუფი**: მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური გამოძალვა გავლენას ახდენს ყველა ასაკისა და სქესის წარმომადგენლებზე, შემთხვევათა დიდი ნაწილი მოიცავს 14-18 წლის კაც მსხვერპლს.
- **სამოქმედო სფეროები პროფესიონალთა ცნობიერების ასამაღლებლად:**
    - **აიმაღლეთ ცოდნა**: გაეცანით ფინანსურად მოტივირებული სექსუალური გამოძალვის დეტალებს: წაიკითხეთ ეს გაფრთხილება და გაერთიანებული სამეფოს

ინტერნეტუსაფრთხოების საბჭოს ინსტრუქციები, რომლებიც შეეხება შიშველი და ნახევრად შიშველი სურათების გაზიარებას.

- **მიმართვის პროცესი:** თუ გამოვლინდება ან გამჟღავნდება სექსუალური გამოძალვის შემთხვევები, მიმართეთ ადგილობრივ პოლიციას და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ბავშვთა დახმარების სამსახურებს, თქვენი დაცვის პროცედურების მეშვეობით.
- **მხარდაჭერაზე ორიენტირებული ენა**: მოერიდეთ მსხვერპლთა დადანაშაულებას და დაეხმარეთ ბავშვებს/ახალგაზრდებს მათი გამოსახულებების წაშლაში.
- **გაძლიერება**: ასწავლეთ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, როგორ უნდა უპასუხონ უსაფრთხოდ თხოვნას ან ზეწოლას ინტიმური სურათების ან ვიდეოების გაზიარებაზე; ხაზი გაუსვით, რომ ბავშვი არ არის ამაზე პასუხისმგებელი.
- **ინფორმირებულობის მნიშვნელობა**: ზემოხსენებული გაფრთხილება ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია სიფხიზლე და აქტიურობა ბავშვთა დაცვაში სექსუალური გამოძალვის მზარდი საფრთხისგან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პრაქტიკის ჩართვას ონლაინუსაფრთხოებისა და ბავშვთა დაცვის უფრო ფართო ძალისხმევაში.

დასკვნები: ხაზი გაუსვით, რა მნიშვნელობა აქვს კარგად ინფორმირებასა და მომზადებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსუალური გამოძალვის მართვისათვის; ხაზი გაუსვით პედაგოგთა როლს ბავშვთა დაცვასა და უსაფრთხო ონლაინგარემოს შექმნაში.

სლაიდი 53 – ვინ არიან მოძალადეები?

ტრენერის შენიშვნები:

შეგიძლიათ, დაიწყოთ კითხვის დასმით აუდიტორიისთვის: „როგორ ფიქრობთ, ვინ არიან დამნაშავეები?“ ამან შეიძლება მოგცეთ მიკერძოებულ დამოკიდებულებათა განხილვის საშუალება.

საკვანძო საკითხები:

- არ არსებობს ბავშვის მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირთა კონკრეტული პროფილი.
- მოძალადეები შეიძლება იყვნენ პედოფილებიც, მაგრამ არა ყოველთვის. პედოფილია კლინიკური ტერმინია და აღწერს ადამიანებს, რომლებსაც სექსუალურად იზიდავთ სქესობრივ მომწიფებამდე ასაკის ბავშვები. ჰებეფილია გულისხმობს ადამიანებს, რომლებსაც იზიდავთ სექსუალურ სიმწიფეს მიღწეული მოზარდები (თინეიჯერები), რასაც შეიძლება განაპირობებდეს მითები ქალწულობის შესახებ (შესაძლოა, აუდიტორიაში მყოფ ექიმებს მოუნდეთ კომენტარების გაკეთება ამ ტერმინებსა და განმარტებებზე). კანონში ეს ცნებები არ გამოიყენება და აქცენტი კეთდება კრიმინალურ ქცევაზე და არა პირის პრეფერენციებზე. შესაძლოა, ზოგიერთი დამნაშავე სექსუალურად აქტიური მხოლოდ უფროსებთან იყოს, ბავშვებზე კი იმის გამო ძალადობდეს, რომ შესაძლებლობა მიეცა და ვერც აცნობიერებდეს, რომ ადამიანი არასრულწლოვანი იყო.
- ბავშვზე სექსუალურად მოძალადეები შეიძლება იყვნენ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, თუმცა, ძირითადად, მაინც კაცები არიან.
- მოძალადე შეიძლება იყოს ზრდასრულიც და ბავშვიც. აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მეტი ბავშვი ვლინდება, როგორც ონლაინ სექსუალური მოძალადე ბავშვის მიმართ (იხილეთ შემდეგი სლაიდები).
- ონლაინგარემოში, ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, მოძალადეები ხშირად ბავშვის გარემოცვიდან არიან, განსაკუთრებით, როდესაც ძალადობა უკავშირდება თვითგენერირებულ მასალას.[26] ონლაინძალადობის შემთხვევათა 60%-ში დამნაშავე ბავშვისთვის ნაცნობი პირია (წყარო: ანგარიში ზიანის მიყენების შეწყვეტის შესახებ[27]).

განსახილველი საკითხები:

- შესაძლოა, პერსონალის წევრებმაც ჩაიდინონ ონლაინ სექსუალური დანაშაული ბავშვის მიმართ. რა ნაბიჯებს გადადგამთ, თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენი კოლეგა თავის მოწყობილობაზე

26 https://www.weprotect.org/wp-content/uploads/Global-Threat-Assessment-2023-English.pdf
27 Disrupting Harm | Safe Online

ინახავს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველ მასალას, ან პორნოგრაფიულ შინაარსს უჩვენებს ბავშვებს?

სლაიდი 54 - საზიანო სექსუალური ქცევა

ამ ნაწილში განვიხილავთ ბავშვებისა და ახალგაზრდების საზიანო სექსუალურ ქცევებს ონლაინგარემოში. საკითხის სწორად გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მოიცავს რიგ არასათანადო ან ძალადობრივ ქცევებს, რომლებსაც შეიძლება ავლენდნენ ან აწყდებოდნენ ბავშვები ონლაინ. ამ ქცევებმა შეიძლება მძიმე შედეგები მოუტანოს დაზარალებულთა ემოციურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

საკვანძო საკითხები:

- **განსაზღვრება და ფარგლები**: საზიანო სექსუალური ქცევა გულისხმობს ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალურ ქცევას, რომელიც არ შეესაბამება განვითარების დონეს და შესაძლოა, დამაზიანებელი იყოს მათთვის ან სხვებისთვის, ან შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს სხვა ბავშვის, მოზარდისა თუ ზრდასრულისთვის.
- **გავრცელება:**
  - საზიანო სექსუალური ქცევები სულ უფრო ხშირად ვლინდება ციფრული სამყაროს კონტექსტში, სადაც ისინი შეიძლება გააძლიეროს ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ და ანონიმურობამ.
  - კვლევები და ანგარიშები მიუთითებს ბავშვებში საზიანო სექსუალური ქცევების მზარდ ტენდენციაზე, რასაც ხშირად ხელს უწყობს სოციალური მედია, შეტყობინებათა აპლიკაციები და სათამაშო ონლაინპლატფორმები.
- **ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს საზიანო სექსუალურ ქცევას:**
  - **შეუსაბამო კონტენტთან შეხება**: ბავშვებმა შეიძლება მიბაძონ ქცევებს, რომლებსაც ნახულობენ პორნოგრაფიის ან სხვა სექსუალური სახის კონტენტის საშუალებით.
  - **თანატოლთა ზეწოლა და სოციალური ზეგავლენა:** ონლაინპლატფორმებმა შეიძლება გააძლიეროს თანატოლთა ზეწოლა, რაც იწვევს საზიანო ქცევის ნორმალიზებას.
  - **დაყოლიება**: დამნაშავეებმა შეიძლება მანიპულირებას მიმართონ ბავშვების ჩასართავად საზიანო სექსუალურ ქცევაში.
- **საზიანო სექსუალური ქცევის ზეგავლენა:**
  - **მსხვერპლი**: საზიანო სექსუალური ქცევის მსხვერპლი ბავშვი ხშირად განიცდის ხანგრძლივ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ტრავმას.
  - **დამნაშავე**: ბავშვს, რომელიც ავლენს საზიანო სექსუალურ ქცევას, შეიძლება შეექმნას სოციალური, საგანმანათლებლო და განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ასევე, სამართლებრივი პრობლემები, და სპეციალიზებული მხარდაჭერა დასჭირდეს ამ ქცევის აღსაკვეთად.
- **პრევენციული ზომები და რეაგირება:**
  - **განათლება და ინფორმირებულობა**: ბავშვებისთვის ჯანსაღი ურთიერთობების (კერძოდ, სექსუალურობისა და თანხმობის) და საზღვრების დადგენის სწავლება ხელს შეუწყობს საზიანო სექსუალური ქცევის პრევენციას.
  - **მშობლისა და მეურვის კონტროლი**: აქტიურმა ზედამხედველობამ ციფრულ მოწყობილობებზე და კონტროლის აპლიკაციათა გამოყენებამ შეიძლება შეამსუბუქოს საზიანო კონტენტის ზემოქმედება.
  - **პროფესიული მხარდაჭერა**: კონსულტაციასა და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე წვდომა აუცილებელია როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადისთვის.

ახლა გავაგრძელებთ კონკრეტული მაგალითებისა და შემთხვევების შესწავლას, რათა გავიაზროთ საზიანო სექსუალური ქცევის სხვადასხვა განზომილება, ასევე, თუ როგორ ვლინდება ასეთი ქცევები ონლაინ.

სლაიდი 55 - EVERYONE'S INVITED და OFSTED-ის კვლევა სკოლებში სექსუალური ძალადობის შესახებ (2021)

შესავალი: ამ ნაწილში განხილულია საგანმანათლებლო გარემოში საზიანო სექსუალური ქცევის კრიტიკული საკითხები, ორ მნიშვნელოვან წყაროზე დაყრდნობით. ესენია: პლატფორმა Everyone's Invited, და Ofsted-ის 2021 წლის კვლევა სკოლებსა და კოლეჯებში სექსუალური ძალადობის შესახებ.[28] ორივე წყარო მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს და ყურადღებას ამახვილებს სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის აღკვეთის აუცილებლობაზე ახალგაზრდებში.

Everyone's Invited:

- **პლატფორმის მიმოხილვა:**
- **საიტი**: everyone'sinvited.uk
- **მიზანი**: ამოქმედდა უსაფრთხო სივრცის შესაქმნელად სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის, რათა მათ განცდილი ანონიმურად გააზიარონ.
- **ზეგავლენა**: შესაძლებელი გახადა ათასობით ადამიანის ხმის გაგება, რამაც გამოავლინა, რომ გამოწვევა ფართოდ არის გავრცელებული საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც და მათ ფარგლებს გარეთაც.
- **მნიშვნელობა**: ხაზს უსვამს სექსუალური ბუნების არასათანადო ქცევის ფართოდ გავრცელებას და ხელს უწყობს სისტემურ ცვლილებებს საგანმანათლებლო გარემოში.

საკვანძო ამონარიდები სლაიდიდან:

- „სექსუალური შევიწროება და ონლაინ სექსუალური ძალადობა იმდენად გავრცელებულია, რომ გადაჭრა სჭირდება ყველა ბავშვისა და მოზარდისთვის“.
- **განმარტება**: ეს ხაზს უსვამს სექსუალური შევიწროების ყოვლისმომცველ ბუნებას და ქმედითი ზომების მიღების გადაუდებელ აუცილებლობას.
- **Ofsted**-ის კვლევა სკოლებში სექსუალური ძალადობის შესახებ (2021):
- **წინაპირობები**: ჩატარდა Everyone's Invited-ის პლატფორმაზე გაზიარებულ ჩვენებათა საპასუხოდ.
- **ფარგლები**: ფართოდ მიმოიხილა გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა სკოლა და კოლეჯი.
- **ძირითადი მიგნებები:**
  - **გავრცელება**: სექსუალური შევიწროება, მათ შორის, ონლაინძალადობა, ბევრად ხშირია, ვიდრე მანამდე იყო აღიარებული.
  - **რეკომენდაციები**:
    - სკოლებმა და კოლეჯებმა, სხვადასხვა პარტნიორ სააგენტოსთან ერთად, პროაქტიულად უნდა იმოქმედონ სექსუალური შევიწროებისა და ონლაინ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ.
    - შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს კონკრეტული შეტყობინების არარსებობის შემთხვევაშიც, იმის აღიარებით, რომ მოსწავლეთა შორის ასეთი ქცევა ნორმალიზებულია.
  - **მნიშვნელობა**: კვლევა ხაზს უსვამს პროაქტიული დამცავი ზომების აუცილებლობას და ყველა მოსწავლისთვის უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მნიშვნელობას.

საკვანძო ამონარიდები სლაიდიდან:

- „რეკომენდაციას უწევს სკოლებს, კოლეჯებსა და პარტნიორ სააგენტოებს, იმოქმედონ იმის აღიარებით, რომ სექსუალური შევიწროება და ონლაინ სექსუალური ძალადობა ხდება მაშინაც, როდესაც არ არსებობს კონკრეტული შეტყობინებები ამის შესახებ.“
- **განმარტება**: ეს ხაზს უსვამს, რომ საჭიროა პროაქტიული მიდგომა სექსუალური შევიწროების მიმართ და აღიარებს, რომ შეტყობინების არარსებობა არ უტოლდება ინციდენტის არარსებობას.

28 Review of sexual abuse in schools and colleges - GOV.UK (www.gov.uk)

ბავშვები, განსაკუთრებით, გოგონები, რეგულარულად იღებენ არასასურველ სექსუალურ გამოსახულებებს, ასევე, თხოვნებს ინტიმური სურათების გაზიარებაზე.

სლაიდები 56-58 – ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ზეგავლენა მსხვერპლზე (3 სლაიდი)

ტრენერის შენიშვნები

შეგიძლიათ, დაიწყოთ თხოვნით, რომ მონაწილეებმა გააზიარონ ტრავმირებულ მსხვერპლთან საუბრის საკუთარი გამოცდილება.

საკვანძო საკითხები

- ონლაინ სექსუალურმა ექსპლუატაციამ და ძალადობამ შეიძლება გამოიწვიოს ტრავმა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, რომელთა სიმპტომებია: დეპრესია, შფოთვა, მტრული განწყობა, გადაჭარბებული უნდობლობა, დანაშაულის შეგრძნება, მეხსიერების დაკარგვა, ასევე, ფიზიკური სიმპტომები (მაგ. თავის ტკივილი, კვებითი დარღვევები და ა.შ.).
- ამ სიმპტომებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მსხვერპლის ქცევაზე - ის იყოს აგრესიული, უარი თქვას ლაპარაკზე, იტყუებოდეს და ა.შ.
- მოძალადის მხრიდან კონტროლმა შეიძლება გავლენა იქონიოს მსხვერპლის ქცევაზე, ასევე, მის მზადყოფნაზე, რომ გაამჟღავნოს ინფორმაცია.
- ასეთ შემთხვევებში, მსხვერპლის ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოება, გაუგებრობა, ეჭვები, ან გაღიზიანება პროფესიონალებში.
- ეს სიმპტომები შეიძლება გამოიყენოთ ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ინდიკატორად და დაგეხმაროთ მსხვერპლთა იდენტიფიცირებაში.

გასატარებელი ზომები

- ამიტომ, მსხვერპლთან მუშაობისას, გასათვალისწინებელია ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის გავლენა მასზე. პროფესიონალებმა უნდა აღიარონ ტრავმის შედეგები, გამოიჩინონ მოთმინება, თავიანთი რეაგირება მოარგონ ბავშვს და შესთავაზონ შესაბამისი მხარდაჭერა (ფსიქოსოციალური და/ან იურიდიული მხარდაჭერა, დახმარება სურათების ამოღებაში).
- რაც მთავარია: ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა უნდა აირიდონ მსხვერპლთა დადანაშაულება, ზედმეტად ბევრი კითხვის დასმა, მსხვერპლისა და მოძალადის დაპირისპირება, კომენტარების გაკეთება მსხვერპლის ქცევაზე, ან მსხვერპლის დაყენება რისკის ქვეშ (მაგალითად, კონფიდენციალურობის დარღვევით).

განსახილველი საკითხები

- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან გასაუბრება სპეციფიკურ უნარებს მოითხოვს. შეგიძლიათ, მონაწილეებს ჰკითხოთ, აქვთ თუ არა ასეთი უნარები.

დასკვნები

- რეაგირება უნდა იყოს მსხვერპლზე ორიენტირებული და ითვალისწინებდეს ყველა ამ ელემენტს, რათა მეტი ზიანი არ მიადგეს მსხვერპლს.
    - **თუ შესაძლებელია (შემოთავაზებული სავარჯიშო)**: როლური თამაში. 1 ადამიანი (მონაწილე ან ტრენერი) ასრულებს მსხვერპლის როლს, რომელიც ატყობინებს ძალადობაზე (მაგალითად, სექსუალური ძალადობის პირდაპირი ტრანსლაციის ჩანაწერის გავრცელებაზე), ხოლო მეორე მონაწილე მოქმედებს როგორც შესაბამისი სფეროს პროფესიონალი (სოციალური მუშაკი, მასწავლებელი ან ექიმი). დანარჩენი მონაწილეები შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად: ერთი აკვირდება და იწერს, თუ როგორ ურთიერთობს პროფესიონალი მსხვერპლთან, ხოლო მეორე ინიშნავს შემოთავაზებულ რეაგირებებს. შედეგები, შეგიძლიათ, მეორე დღესაც გამოიყენოთ პოლიტიკისა და დაცვის მექანიზმების განხილვისას.

(სავარჯიშო შეიძლება ჩატარდეს ტრენინგის ბოლოსაც, შეჯამების სახით. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება იმუშაოს მესამე ჯგუფმაც, რომელიც გამოავლენს ონლაინუსაფრთხოების ზომებში არსებულ ხარვეზებს).

სლაიდი 59 – საფრთხის შეფასება WEPROTECT-ის მიერ

სლაიდის მიმოხილვა:

- სლაიდზე შეჯამებულია ძირითადი დასკვნები WeProtect-ის გლობალური ალიანსის შეფასებიდან, რომელიც შეეხება ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საფრთხეებს.
- სლაიდზე ხაზგასმულია ძალადობის მზარდი მასშტაბი და ამ მიზნით გამოყენებული ახალი მეთოდები, რაც გამოკვეთს ყოვლისმომცველი და კოორდინირებული რეაგირების საჭიროებას.

საკვანძო საკითხები:

- **მზარდი გამოწვევა:**
  - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა სულ უფრო ინტენსიურ სახეს იძენს, როგორც მასშტაბის, ასევე კომპლექსურობის თვალსაზრისით.
  - ახალ ტექნოლოგიებსა და პლატფორმებს დამნაშავეები იყენებენ ბავშვების მიზანში ამოსაღებად.
- **დიზაინში უსაფრთხოების ინტეგრირების მნიშვნელობა:**
  - ხაზი გაუსვით უსაფრთხოების ზომების სასწრაფოდ ინტეგრირებას ციფრული პლატფორმების დიზაინში.
  - განიხილეთ გლობალური ინტერნეტრეგულაციების ჰარმონიზების მნიშვნელობა უფრო უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად.
- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომა:**
  - მხარი დაუჭირეთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიების მიღებას, ძალადობის პრევენციის მიზნით.
  - გაითვალისწინეთ ბავშვების შეხედულებები და დანერგეთ ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები პრობლემის უკეთ გასაგებად და გადასაჭრელად. მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა ითვალისწინებს „არ ავნო“ პრინციპის პატივისცემას. პროფესიონალებმა უნდა აირიდონ ბავშვების ხელახალი ვიქტიმიზაცია, გამოწვეული არასათანადო რეაგირებით (როგორც ზემოთ განიმარტა).
- **დამნაშავე ხშირად ნაცნობი ადამიანია:**
  - წარმოადგინეთ სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ონლაინძალადობის შემთხვევათა 60%-ში დამნაშავე ბავშვისთვის ნაცნობი პირია (წყარო: Disrupting Harm report[29]).
  - ეს ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვების განათლება უსაფრთხო ონლაინკომუნიკაციის შესახებ (თუნდაც ნაცნობ ადამიანებთან).
- **სწრაფი დაყოლიება ონლაინთამაშების გარემოში:**
  - გააზიარეთ მონაცემები, რომელთა თანახმადაც, ბავშვის დაყოლიება სოციალური ონლაინთამაშების გარემოში, საშუალოდ, 45 წუთში ხერხდება, ხოლო ექსტრემალურ შემთხვევებში - 19 წამშიც.
  - ხაზი გავუსვით სიფხიზლისა და დამცავი ზომების აუცილებლობას სათამაშო და სოციალურ პლატფორმებზე.

ქმედითი დასკვნები:

- წახალისდეს უსაფრთხოების ზომების პროაქტიულად მიღება ტექნოლოგიურ კომპანიათა მიერ.
- ხელი შეეწყოს მშობელთა, მასწავლებელთა და ბავშვთა ინფორმირებულობას/განათლებას ონლაინძალადობის რისკებსა და ნიშნებზე.
- მხარი დაეჭიროს უფრო ძლიერ გლობალურ თანამშრომლობას და ინტერნეტუსაფრთხოების რეგულაციათა გაუმჯობესებულ აღსრულებას.

29 Disrupting Harm | Safe Online

სლაიდი 60 – გამოსახულების წაშლა

როგორც takeitdown.ncmec.org-ის, ასევე stopncii.org-ის შექმნის მიზანია ბრძოლა ინტიმურ გამოსახულებათა (განსაკუთრებით, რომლებზეც ასახულია არასრულწლოვანი) ონლაინგავრცელებასა ან თანხმობის გარეშე გაზიარებასთან. ქვემოთ მოკლედ არის მიმოხილული, როგორ ოპერირებს თითოეული მათგანი:

TakeItDown (takeitdown.ncmec.org)

პლატფორმა შექმნა დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნულმა ცენტრმა და გამიზნულია სპეციალურად არასრულწლოვანთათვის, რომლებსაც სურთ საკუთარი ინტიმური სურათებისა ან ვიდეოების წაშლა ინტერნეტიდან. პროცესი შემუშავდა პირის ანონიმურობის შესანარჩუნებლად.

როგორ მუშაობს პლატფორმა:

- **წარდგენა**: ბავშვებს შეუძლიათ, ანონიმურად წარადგინონ სურათები ან ვიდეოები TakeItDown-ზე.
- **ციფრული თითის ანაბეჭდი**: ტექნოლოგის გამოყენებით, პლატფორმა ქმნის კონტენტის უნიკალურ ციფრულ თითის ანაბეჭდს („ჰეშ“ მნიშვნელობას), სურათების ან ვიდეოების შენახვის გარეშე.
- **მონაცემთა ბაზის გადანაწილება**: ეს ე. წ. „ჰეშები“ ემატება მონაცემთა ბაზას, რომელიც ხელმისაწვდომია მონაწილე ტექნოლოგიური კომპანიებისთვის.
- **კონტენტის წაშლა**: კომპანიები ამ „ჰეშებს“ იყენებენ კონტენტის გამოსავლენად და თავიანთი სერვისებიდან ამოსაღებად, რათა აირიდონ შემდგომი გავრცელება.

StopNCII.org

StopNCII (თანხმობის გარეშე გავრცელებული ინტიმური გამოსახულებები) არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული დახმარების ხაზის („შურისძიებითი პორნოგრაფიის შემთხვევებისთვის“) ნაწილი. ის შეუმუშავდა 18 წელზე უფროსი პირებისთვის, რომლებიც არიან თანხმობის გარეშე გავრცელებული ინტიმური გამოსახულების ბოროტად გამოყენების მსხვერპლნი.

როგორ მუშაობს პლატფორმა:

- **რეგისტრაცია და გადამოწმება**: მომხმარებლები რეგისტრირდებიან და ადასტურებენ საკუთარ ვინაობას, რათა გადამოწმდეს, რომ მართლაც არიან კონკრეტული კონტენტის სუბიექტები.
- **ჰეშირება**: ჰეშირებისთვის, მომხმარებლები წარადგენენ სურათებს ან ვიდეოებს; რეალური კონტენტი არ ინახება.
- **ჰეშის გამოყენება**: TakeItDown-ის მსგავსად, გაზიარებულ „ჰეშებს“ ტექნოლოგიური პლატფორმები იყენებენ შესატყვისი კონტენტის აღმოსაჩენად და წასაშლელად.
- **მხარდაჭერა**: ამასთანავე, StopNCII რჩევებსა და მხარდაჭერას აწვდის მსხვერპლს, რომელსაც უწევს გამკლავება ძალადობასთან დაკავშირებულ ემოციურ და იურიდიულ სირთულეებთან.

პრეზენტაციის შეჯამება

ორივე პლატფორმა ე. წ. ჰეშირების ტექნოლოგიის გამოყენებით ეხმარება ინტიმური კონტენტის ამოღებას ინტერნეტიდან, სურათების/ვიდეოების შენახვის ან გაზიარების გარეშე. მათ, ძირითადად, სამიზნე აუდიტორია განასხვავებს: TakeItDown განკუთვნილია ბავშვებისთვის, ხოლო StopNCII - ზრდასრულებისთვის. განსხვავდება შეთავაზებული მხარდაჭერის ტიპებიც, რასაც განაპირობებს ამ ჯგუფების სხვადასხვაგვარი იურიდიული და ემოციური საჭიროებები. ორივე ინიციატივა წარმოგვიდგენს ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ თანამედროვე მიდგომას ადამიანთა ციფრული უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

სლაიდი 61 - ევროპის საბჭო: ინტეგრირებული სტრატეგიები ძალადობის წინააღმდეგ

ევროპის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ მხარს უჭერს სახელმწიფოებს, რომლებიც ცდილობენ ჰოლისტიკური მიდგომის დანერგვას ბავშვზე ძალადობის მიმართ და

არაძალადობრივი ბავშვობის უზრუნველყოფას შვილებისათვის. სახელმძღვანელო შეიცავს დეტალურ წინადადებებს, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგია ბავშვის უფლებებსა და ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე. სტრატეგია განისაზღვრა მულტიდისციპლინურ და სისტემურ ჩარჩოდ, რომელიც ინტეგრირებულია ეროვნული დაგეგმვის პროცესში, ეფუძნება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას (UNCRC) და ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობას.

მიზანი: ბავშვთა დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან (ციფრულ გარემოში სექსუალური ძალადობის ჩათვლით), ინტეგრირებული მიდგომის საშუალებით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს პრევენციაზე, დაცვაზე, დევნასა და მონაწილეობაზე.

საკვანძო კომპონენტები:

- **სამართლებრივი ჩარჩო:**
  - მხარს უჭერს მტკიცე საკანონმდებლო ზომების მიღებას **ლანსაროტის** კონვენციაზე დაფუძნებით, რომლის მიზანია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის აღმოფხვრა; ასევე, უზრუნველყოფს მკაცრი და თანმიმდევრული კანონმდებლობის მიღებასა და აღსრულებას წევრ სახელმწიფოებში.
  - წაახალისებს ქვეყნებს, რომ გადასინჯონ ეროვნული კანონმდებლობები ციფრულ სფეროთა მოსაცავად, სადაც ბავშვები შეიძლება იყვნენ რისკის ქვეშ.
- **პრევენციული ზომები:**
  - მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამებსა და ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს ბავშვების, მშობლებისა და პედაგოგების გასანათლებლად, რათა მათ უკეთ გაიაზრონ ციფრული ექსპლუატაციის რისკები და ნიშნები.
  - შეიმუშავებს ინსტრუმენტებსა და რესურსებს, რომლებიც ბავშვებს საშუალებას აძლევს, უსაფრთხოდ იყვნენ ონლაინგარემოში.
- **დაცვა და მხარდაჭერა:**
  - უზრუნველყოფს ქმედითი სისტემების დანერგვას ძალადობაზე შეტყობინების წარსადგენად და დაუყოვნებელი მხარდაჭერისა თუ კონსულტაციის გასაწევად ბავშვი მსხვერპლისთვის.
  - ხელს უწყობს უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას და ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა გამოყენებას ძალადობის გამოსავლენად და ასარიდებლად.
- **დამნაშავეთა დევნა:**
  - მხარს უჭერს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას სამართალდარღვევათა გამოვლენისა და დევნისათვის, ინტერნეტის გლობალური ბუნების გათვალისწინებით.
  - თანამშრომლობს ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებთან, ძალადობრივი მასალის სწრაფად ამოსაღებად და დამნაშავეთა მისაკვლევად.
- **ბავშვთა მონაწილეობა:**
  - ითვალისწინებს ბავშვთა შეხედულებებსა და გამოცდილებებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა გატარებული ზომები იყოს შესაბამისი და ეფექტიანი.
  - ხელს უწყობს ბავშვთა ადვოკატირების ჯგუფებისა და პლატფორმების მუშაობას, რომლებიც ბავშვებს საშუალებას აძლევენ, თავიანთი საჭიროებები და წინადადებები გამოხატონ უსაფრთხო ციფრული სივრცის შესაქმნელად.

დასახული შედეგები:

- ბავშვთა დაცვაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობათა გაძლიერება ციფრული გარემოს გამოწვევებზე ეფექტიანად რეაგირებისათვის.
- ბავშვზე სექსუალური ძალადობის ონლაინინციდენტთა მნიშვნელოვნად შემცირება ერთობლივი ძალისხმევით და ძლიერი პოლიტიკის ჩარჩოების დანერგვით.

ევროპის საბჭოს მიერ დაკისრებული ვალდებულებები:

- ავლენს ერთგულებას ბავშვის უფლებათა დაცვისადმი, შესაბამის სტანდარტთა ინტეგრირებით ციფრული პოლიტიკისა და პრაქტიკის ყველა ასპექტში; ასევე, მიზნად ისახავს

ჰოლისტიკური მიდგომის დანერგვას, რომელიც არა მხოლოდ რეაგირებს საფრთხეებზე, არამედ აქტიურ პრევენციასაც უწევს მათ.

სლაიდი 62-64 – ეროვნული ასპექტები

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის 3(გ) პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება ნორმატიულ იერარქიაში მესამე ადგილს იკავებს (კონსტიტუციის/კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ) და უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს სხვა კანონებთან შედარებით (მაგ. როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები). „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ“.[30]

საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც იკისრა კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვის ვალდებულება.

2000 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი ფაკულტატური ოქმი, რათა უკეთ დაეცვა ბავშვები შეიარაღებული კონფლიქტებისა და სექსუალური ძალადობისაგან. ესენია: „ფაკულტატური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ და „ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“.

2014 წელს მიღებული მესამე „ფაკულტატური ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ“ ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავიანთი უფლებების დარღვევები პირდაპირ შეატყობინონ ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს, რომელიც მეთვალყურეობს კონვენციის შესრულებას.

საქართველო სამივე ფაკულტატური ოქმის ხელმომწერია და, ამრიგად, ვალდებულია, დაიცვას სამივე დოკუმენტით გათვალისწინებული უფლებები.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს მეხუთე და მეექვსე პერიოდულ ანგარიშებზე, რომელიც მომზადდა 2024 წლის მაისში, სახელმწიფოს აძლევს შემდეგ რეკომენდაციას:

„მივესალმებით 2020 წლის ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელთა მიხედვითაც გამკაცრდა ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისთვის გათვალისწინებული სასჯელები.

კომიტეტი მხარე სახელმწიფოს მოუწოდებს, მეტი ყურადღება დაუთმოს მოწყვლად და მარგინალიზებულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, განსაკუთრებით, სექსუალური ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის დანაშაულებში; ხელი შეუწყოს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციას, ასევე, მონიტორინგს მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში; მიიღოს ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომა მსხვერპლ ბავშვთა ეფექტიანად დაცვისათვის; დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, რათა ყველა დაზარალებულ ბავშვს, მათ შორის, ონლაინ სექსუალური ძალადობის მსხვერპლს, გაეწიოს უფასო სამართლებრივი დახმარება და ფსიქოლოგიური მომსახურება.“

საქართველო 33-ე ქვეყანა იყო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (CETS 201).

ლანსაროტის კონვენცია საქართველოში ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვარს და პირველი ინსტრუმენტია, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად განსაზღვრავს სხვადასხვა სახის სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე, მათ შორის, ჩადენილს ოჯახსა ან ნდობის წრეში, ძალის, იძულების ან მუქარის გამოყენებით.

კონვენციით გათვალისწინებულ პრევენციულ ზომებს შორის არის ბავშვებთან მომუშავე პირთა შემოწმება და მომზადება, ბავშვთა ინფორმირება რისკებსა და თავდაცვის გზებზე, ასევე, მონიტორინგი გამოვლენილ თუ პოტენციურ დამნაშავეებზე.

30 https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37

კონვენცია მხარეებს ავალდებულებს: შეიმუშაონ მსხვერპლთა დახმარების პროგრამები; მოქალაქეებს მოუწოდონ, რომ განაცხადონ სექსუალურ ექსპლუატაციასა ან ძალადობაზე (მათ შორის, ეჭვის შემთხვევაშიც); ასევე, შექმნან სატელეფონო და ინტერნეტდახმარების სერვისები ბავშვებისთვის.

კონვენცია სისხლის სამართლის დანაშაულად განსაზღვრავს ზოგიერთი ტიპის ქცევას, როგორიცაა არასრულწლოვნის ჩართვა სქესობრივ აქტივობებში, ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია.

ბავშვთა სექსტურიზმთან ბრძოლისათვის, რიგი დანაშაულების შემთხვევაში, კონვენცია შესაძლებელს ხდის სისხლისსამართლებრივ დევნას, თუნდაც პირს საზღვარგარეთ ჰქონდეს ჩადენილი ქმედება. ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტი ასევე იცავს მსხვერპლ ბავშვთა იდენტობას და პირადი ცხოვრების უფლებას სამართალწარმოების პროცესში.

ლანსაროტის კონვენციისა[31] და ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის[32] რატიფიკაციის სტატუსის ელემენტები შეიძლება ჩაერთოს აქ, ან ცოტა ზემოთ:

- **მონტენეგრო:**
    - ლანსაროტის კონვენცია: ხელმოწერილია 2009 წელს, რატიფიცირებულია 2010 წელს, ძალაში შევიდა 2011 წელს.
    - ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი: მიუერთდა 2006 წელს.
- **საქართველო:**
    - ლანსაროტის კონვენცია: ხელმოწერილია 2009 წელს, რატიფიცირებულია 2014 წელს, ძალაში შევიდა 2015 წელს.
    - ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი: მიუერთდა 2005 წელს.
- **მოლდოვა:**
    - ლანსაროტის კონვენცია: ხელმოწერილია 2007 წელს, რატიფიცირებულია 2012 წელს, ძალაში შევიდა 2012 წელს.
    - ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი: მიუერთდა 2007 წელს.

31 https://www.coe.int/en/web/children/mapping-out-the-lanzarote-convention
32 https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-11-c&chapter=4&clang=_en

6. კვლევის მტკიცებულებები

სლაიდი 65 – კვლევის მტკიცებულებები

ონლაინუსაფრთხოებაზე გამოქვეყნებული აკადემიური კვლევების (ეროვნული და საერთაშორისო) მიმოხილვა.

სლაიდი 66

Global Kids Online (ბავშვთა უფლებები ციფრულ ხანაში)[33]

- **ბავშვთა ონლაინ გამოცდილების კვლევის პლატფორმა**: ეს საერთაშორისო ინიციატივა იკვლევს ბავშვთა ონლაინგამოცდილებას, რისკებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში.
- **მიგნებები მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით**: პლატფორმა გვაწვდის ყოვლისმომცველ, მონაცემებზე დაფუძნებულ მიგნებებს იმ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე ინფორმირებისათვის, რომელთა მიზანია ბავშვთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაზრდა ციფრულ სამყაროში.
- **თანამშრომლობა და რესურსები:** ეს არის თანამშრომლობითი სივრცე, რომელიც სთავაზობს რესურსებს, ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიებს მკვლევართა, პოლიტიკის შემქმნელთა და პრაქტიკოსთა მხარდასაჭერად, რათა უკეთ გააცნობიერონ და გაუმჯობესონ ბავშვების ციფრული ცხოვრება გლობალურად.

ბავშვების წინაშე არსებული რისკებისა და შესაძლებლობების გამოკვლევა ციფრულ სამყაროში:[34]

- **რისკებისა და შესაძლებლობების დაბალანსება**: ანგარიში იკვლევს, თუ როგორ შეიძლება, ციფრული ტექნოლოგია ბავშვებისთვის ქმნიდეს მნიშვნელოვან რისკებსაც და შესაძლებლობებსაც, და ხაზს უსვამს დამცავი ზომების საჭიროებას სარგებლის მაქსიმალურად გასაზრდელად.
- **გლობალური კვლევის შედეგები**: ის გვაწვდის დასკვნებს გლობალური კვლევებიდან, რომლებიც შეეხება ბავშვთა ონლაინგამოცდილებას, ასევე, ხაზს უსვამს ციფრულ პლატფორმებთან ინტერაქციის სხვადასხვაგვარ გზასა და გავლენას ბავშვების კეთილდღეობაზე.
- **მოწოდება ყოვლისმომცველი სტრატეგიების შემუშავებისაკენ**: ანგარიში მთავრობებს, ტექნოლოგიურ კომპანიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას მოუწოდებს კოორდინირებული ძალისხმევისკენ, რათა მთელ მსოფლიოში ბავშვებისთვის შეიქმნას უსაფრთხო ციფრული გარემო, რომელიც გააძლიერებს მათ შესაძლებლობებს.

Digital 2024 - We Are Social (ციფრული 2024 - ჩვენ ვართ სოციალურები)[35]

33 Global Kids Online | Children's rights in the digital age
34 Stoilova, M., Livingstone, S., and Khazbak, R. (2021) Investigating Risks and Opportunities for Children in a Digital World: A rapid review of the evidence on children's internet use and outcomes. Innocenti Discussion Paper 2020-03. UNICEF Office of Research – Innocenti, Florence.
35 Digital 2024 - We Are Social UK

- **სოციალური მედიის მიღწევები:** სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობამ მთელ მსოფლიოში 5 მილიარდს გადააჭარბა, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია გლობალური ციფრული კავშირისთვის.
- **ცვლილება გამოყენების მოდელებში**: ანგარიში ხაზს უსვამს სოციალური მედიის გამოყენების ახალ ტენდენციებს, მათ შორის, მოკლე ვიდეოკონტენტის მზარდ მნიშვნელობასა და ახალი პლატფორმების მზარდ ზეგავლენას.

მიგნებები ციფრულ ლანდშაფტთან დაკავშირებით: ანალიზი გვაწვდის ძირითად მიგნებებს, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ციფრულ პლატფორმებთან და ღირებულ ინფორმაციას სთავაზობს ბიზნესებს, მარკეტოლოგებსა და პოლიტიკის შემქმნელებს სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოსთან ადაპტაციისთვის.

სლაიდი 67 – ეროვნული კვლევა და მტკიცებულებები

ამ საკითხზე ეროვნული კვლევა არ ჩატარებულა საქართველოში. ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაზე, რომლის მიზანიც იყო ციფრული მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამავე პროექტის ამოცანებში შედიოდა ციფრული მოქალაქეობის სახელმძღვანელოს მომზადება და დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანამშრომელთათვის. წიგნი 2024 წელს გამოსცა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა და ჯერ არ დანერგილა ქართულ სკოლებში.

კვლევაში მოპოვებული ინფორმაცია, თუ როგორია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ციფრული კომპეტენციები და რა გამოწვევები არსებობს ამ კუთხით საქართველოში, განხილულია მოდულის 21-22-ე გვერდებზე.

ამ კვლევის მიხედვით (რომელსაც ვერ განვაზოგადებთ მთელ პოპულაციაზე და ვერ მივანიჭებთ ეროვნულ მასშტაბს), გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

- შესწავლილ სკოლებში გამოკითხულ მე-7-9 კლასის მოსწავლეთა 73%-ს აქვს სმარტფონი.
- გამოკითხული მოსწავლეების ყველაზე მეტი, 45% ამბობს, რომ დღიურად, საშუალოდ, 4 საათზე მეტს ატარებს ინტერნეტში.
- მოსწავლეთა 97% სარგებლობს სოციალური ქსელებით და აქედან 39%-ს ფეისბუქი 11 წლამდე აქვს შექმნილი.
- სოციალური ქსელის მქონე მოსწავლეთა 32% ამბობს, რომ მათ აქტივობას ქსელში მშობლები არ აკვირდებიან.
- გამოკითხულთა 52% მშობლებს იმ შემთხვევაში უყვება საკუთარ ონლაინაქტივობაზე, თუ ჰკითხავენ ამის შესახებ. საკუთარი ინიციატივით მშობლები შვილების ონლაინაქტივობებს არ აკონტროლებენ.
- გამოკითხულ მოსწავლეთა 43%-ს არ აქვს ინფორმაცია ონლაინსივრცეში არსებულ ქცევის წესებზე.
- გამოკითხულ მასწავლებელთა 58%-ს და მშობელთა 44%-ს არ აქვს ინფორმაცია ნეტიკეტზე (ინტერნეტში მოქცევის წესებზე).
- კვლევის რესპონდენტებს ზედაპირული ცოდნა აქვთ ამ საკითხის შესახებ; ისინი არ ფლობენ ინფორმაციას ციფრულ კანონმდებლობასა და ეტიკეტზე, თუმცა მიიჩნევენ, რომ პატივი უნდა სცენ სხვათა უფლებებს და, სანამ რაიმეს გამოქვეყნებენ ონლაინ, უნდა გაიაზრონ, სხვას ხომ არ დაუშავებენ რამეს.
- შვილების ონლაინაქტივობას არ აკონტროლებს გამოკითხულ მშობელთა 65%.[36]

36 ციფრული მოქალაქეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თავი V, გვ. 83-110.

7. სცენარები

სლაიდი 68 - სცენარები

სავარჯიშოები სცენარების გამოყენებით, ბავშვებზე ზეგავლენისა და რეაგირების გზების განსახილველად.

სლაიდი 69

- **გააცანით მონაწილეებს სესიის მიზნები**: ციფრული უსაფრთხოების კომპლექსურობისა და ეთიკური რეაგირების გააზრება.
- **აუხსენით ფორმატი**: მონაწილეები დაიყოფიან სამ ჯგუფად და თითოეული განიხილავს ერთ-ერთ სცენარს.
- წაახალისეთ კრიტიკული აზროვნება და როგორც დაუყოვნებელი, ისე გრძელვადიანი ქმედებების შეთავაზება პასუხებში.

სცენარი 1 - ინტიმური სურათების გაზიარება თანატოლთა შორის

სცენარის მოკლე შინაარსი: გოგონამ შეყვარებულს WhatsApp-ის საშუალებით გაუგზავნა თავისი შიშველი სურათი. როგორც ჩანს, ახლა კლასში სხვებსაც აქვთ წვდომა ამ სურათზე.

სადისკუსიო კითხვები:

- რა დაუყოვნებლივი ნაბიჯები უნდა გადაიდგას გოგონას უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის?
- როგორ გადაჭრიდით ამ საკითხს მეგობარ ბიჭსა და კლასელებთან, რომლებსაც აქვთ ეს სურათი?
- რა პრევენციული ზომების მიღება შეიძლება მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად ინტიმური სურათების გაზიარების რისკებსა და შედეგებზე?

ტრენერის შენიშვნები:

- ხაზი გაუსვით სენსიტიური და კონფიდენციალური მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას გოგონას მხარდასაჭერად.
- განიხილეთ სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, ბავშვთა დაცვის კანონები და ასეთი შინაარსის საწინააღმდეგო პოლიტიკა.
- შესთავაზეთ სკოლის მრჩეველთა და, შესაძლოა, სამართალდამცავ ორგანოთა ჩართვაც, თუკი საჭიროდ მიიჩნევენ.
- ყურადღება გაამახვილეთ საგანმანათლებლო ინიციატივებზე, როგორიცაა ციფრული მოქალაქეობის პროგრამები, მსგავს ინციდენტთა ასარიდებლად.
- შეახსენეთ მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის საჭიროება.
- იმსჯელეთ, როგორ უნდა შეატყობინონ ინციდენტი (მშობლებს, მედიას და ა.შ.)

სცენარი 2 - სკოლის პერსონალის პორნოგრაფიული სურათების გავრცელება

სცენარის მოკლე შინაარსი: ბავშვებს შორის გავრცელდა სკოლის პერსონალის პორნოგრაფიული სურათები.

სადისკუსიო კითხვები:

- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათი გავრცელების გასაკონტროლებლად?
- როგორ უნდა დაუჭიროს სკოლამ მხარი სურათებზე ასახულ პერსონალს?
- რომელი დისციპლინური ზომების მიღებაა მიზანშეწონილი იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც სურათებს აზიარებენ?

ტრენერის შენიშვნები:

- ხაზი გაუსვით დაუყოვნებლივ მოქმედების მნიშვნელობას სურათების შემდგომი მიმოქცევის შესაჩერებლად (IT პერსონალის ჩართვა, მოსწავლეებისთვის ინსტრუქციის მიცემა სურათების წაშლაზე და ა.შ.).
- იმსჯელეთ დაზარალებულ თანამშრომელთა მხარდაჭერის მექანიზმებზე, მათ შორის, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.
- განიხილეთ მკაფიო საკომუნიკაციო სტრატეგიის საჭიროება, რათა გაუმკლავდეთ ჭორებს და დაიცვათ ჩართულ პირთა ღირსება.
- განიხილეთ ბავშვთა სასკოლო მრჩევლების ჩართვა (საჭიროების შემთხვევაში).
- გამოიკვლიეთ, რატომ ვრცელდება ეს სურათები - თანამშრომლებმა გაუზიარეს ბავშვებს? თუ ასეა, რა ქმედებებია საჭირო.

სცენარი 3 - ნუდიფიკაციის (გაშიშვლების) ტექნოლოგიის გამოყენება

სცენარის მოკლე შინაარსი: ონლაინაპლიკაციის გამოყენებით, ბიჭმა შექმნა თანაკლასელ გოგონათა ინტიმური სურათები, რომლებიც შემდეგ მეგობრებს გაუზიარა.

სადისკუსიო კითხვები:

- როგორ გაუმკლავდებით ტექნოლოგიათა ბოროტად გამოყენებას ინტიმური სურათების თანხმობის გარეშე შესაქმნელად?
- რა შედეგები დადგება ბიჭისთვის, რომელმაც შექმნა და გააზიარა სურათები?
- როგორ დავუჭიროთ მხარი მსხვერპლს და სათანადო რეაგირებას სკოლის საზოგადოების მხრიდან?

ტრენერის შენიშვნები:

- ყურადღება გაამახვილეთ ინტიმური სურათების ხელოვნურად და თანხმობის გარეშე შექმნა-გავრცელების დანაშაულზე და ხაზი გაუსვით მის სერიოზულობასა და სამართლებრივ შედეგებს.
- შესთავაზეთ მსხვერპლთა მხარდაჭერის დაუყოვნებელი ზომები და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი პრაქტიკა.
- ხაზი გაუსვით საჭიროებას, რომ სკოლის ციფრული წიგნიერების სასწავლო გეგმაში ჩაერთოს ინფორმაცია ახალ ციფრულ რისკებზე.

სცენარი 4 - სექსუალური გამოძალვა, როგორც შფოთვითი აშლილობის მიზეზი

სცენარის მოკლე შინაარსი: ბავშვი მოდის თქვენს ქირურგიულ განყოფილებაში და უჩივის ძილის პრობლემებს, საუბრისას კი გაამხელს, რომ სექსუალურ ქმედებათა გამოძალვის მსხვერპლია. იგი შფოთავს, ყოყმანობს, არ არის დარწმუნებული, რა უნდა გააკეთოს შემდეგ. ეშინია, რომ ინტიმურ სურათებს ან ვიდეოებს გააზიარებენ, თუ არ შეასრულებს დამნაშავის მოთხოვნებს.

სადისკუსიო კითხვები:

1. რა დაუყოვნებელი ნაბიჯები უნდა გადადგათ ბავშვის მხარდაჭერისა და უსაფრთხოებისთვის?
2. როგორ დაიცავთ კონფიდენციალურობას, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ჩართვის პარალელურად?
3. რომელ ორგანოებში უნდა გადაამისამართოთ ბავშვი და რა შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად?
4. როგორ შეგიძლიათ უზრუნველყოთ, რომ ბავშვი ამ პროცესის განმავლობაში თავს დაცულად გრძნობდეს და შესაბამისი მხარდაჭერით სარგებლობდეს?

ტრენერის შენიშვნები:

- **დაუყოვნებელი ქმედებები**: შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მოუსმინეთ განსჯის გარეშე, დაამშვიდეთ და დოკუმენტურად აღრიცხეთ ბავშვის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია.
- **დაცვის ზომები:** მისდიეთ შესაბამის დაცვის პროტოკოლებს, მაგალითად, შეატყობინეთ ბავშვთა დაცვის სამსახურებს და გაიარეთ კონსულტაცია შესაბამის ორგანოებთან.
- **მხარდაჭერა**: ორგანიზება გაუწიეთ ფსიქიკურ მხარდაჭერას, ასევე, რესურსებს ონლაინსაფრთხეებთან გასამკლავებლად.
- **შემდგომი მონიტორინგი**: თვალყური ადევნეთ ბავშვის კეთილდღეობას და შეინარჩუნეთ კომუნიკაცია დაცვის გუნდებთან, მუდმივი მხარდაჭერის გასაწევად.

სცენარი ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებს ეხმარება, რომ გააანალიზონ საკუთარი როლი ონლაინექსპლუატაციით დაზარალებულ ბავშვთა დაცვაში.

ჯგუფების უკუკავშირი და დისკუსია

ტრენერის შენიშვნები:

- შესთავაზეთ თითოეულ ჯგუფს, საკუთარი წინადადებები წარმოადგინონ პრობლემის გადაჭრის გზებზე, შესაბამის დასაბუთებებთან ერთად.
- წაახალისეთ დისკუსია სხვადასხვა მიდგომის შესახებ, ასევე, თუ რა შეიძლება ვისწავლოთ თითოეული სცენარიდან.
- შეაჯამეთ ძირითადი მიგნებები და კიდევ ერთხელ გაუსვით ხაზი სკოლის ვალდებულებას, უზრუნველყოს უსაფრთხო ციფრული გარემო.

8. მომავალი ტექნოლოგიები

სლაიდი 70 – მომავალი ტექნოლოგიები

გააანალიზეთ განვითარებადი ტექნოლოგიები - განსაკუთრებით, გენერაციული AI - და პოტენციური რისკები ბავშვებისთვის: რა უნდა გაითვალისწინონ მონაწილეებმა მომავალში ბავშვთა დასაცავად ამ რისკებისგან?

სლაიდი 71 – ხელოვნური ინტელექტი

- **რა არის გენერაციული ხელოვნური ინტელექტი?**
  - გენერაციული AI განმარტეთ, როგორც ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ფოკუსირებულია ახალი კონტენტის შექმნაზე, ტექსტით და სურათებით დაწყებული, ბგერებითა და ვიდეოებით დამთავრებული. ის ნასწავლი შაბლონებისა და მონაცემების გამოყენებით აგენერირებს ახალ და თანმიმდევრულ შედეგებს.
  - ხაზი გაუსვით, რომ ტრადიციული ხელოვნური ინტელექტისგან განსხვავებით, რომელიც, ძირითადად, ანალიტიკურია, გენერაციული AI-ს კრეატიულობა საშუალებას აძლევს, სრულიად ახალი კონტენტი შექმნას, ნასწავლი მონაცემების საფუძველზე.
- **გენერაციული AI-ის ძირითადი მექანიზმები:**
  - **მონაცემებიდან სწავლა**: ახსენით, რომ გენერაციული AI-ის მოდელები სწავლობენ მონაცემთა დიდ წყებებზე დაყრდნობით. ეს პროცესი მოიცავს დიდი რაოდენობით ინფორმაციის შთანთქმას მონაცემთა სტრუქტურების, ნიუანსებისა და ურთიერთდამოკიდებულებების გასაგებად.
  - **შაბლონების ამოცნობა და პროგნოზირება:** დეტალურად განმარტეთ, როგორ იყენებენ ეს მოდელები სტატისტიკურ მეთოდებს შაბლონთა ამოსაცნობად და სავარაუდო შედეგების პროგნოზირებისთვის. სწორედ ეს აძლევს გენერაციული AI-ის ინსტრუმენტებს საშუალებას, შექმნან კონტექსტისთვის აქტუალური კონტენტი, რომელიც ხშირად არ განსხვავდება ადამიანის შექმნილისგან.
  - **ნეირონული ქსელები:** განმარტეთ ნეირონული ქსელები, როგორც ყველაზე ხშირად გამოყენებული არქიტექტურა გენერაციული AI-ში. ისინი შთაგონებულია ადამიანის ტვინით და შექმნილია გენერაციული AI-ის შაბლონთა ამოცნობის შესაძლებლობების რეპლიკაციისთვის. კვანძების (ნეირონების) ფენები ერთად მუშაობენ შეყვანილ მონაცემთა გასაანალიზებლად და შედეგების წარმოებისთვის.
- **გენერაციული AI-ის მოქმედების მაგალითები:**
  - **მოიყვანეთ მაგალითები გენერაციული AI-ის აპლიკაციების საილუსტრაციოდ:**
    - ტექსტის გენერირების მოდელები, როგორიცაა GPT (გენერაციული, წინასწარ გაწვრთნილი ტრანსფორმატორი), წერაში დასახმარებლად.
    - გამოსახულების გენერატორები, როგორიცაა DALL-E, რომელიც აგენერირებს სურათებს, ტექსტურ აღწერებზე დაყრდნობით.
    - მუსიკის სინთეზირების სისტემები, რომლებიც ქმნიან მუსიკას, სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მიხედვით.

დასკვნები:

შეაჯამეთ მიწოდებული ინფორმაცია და კიდევ ერთხელ აღნიშნეთ, რომ გენერაციული AI მნიშვნელოვანი ნახტომია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებში. იგი გულისხმობს გადასვლას მონაცემთა გაგებიდან და ანალიზიდან ახალი კონტენტის შემოქმედებით გენერირებაზე, ადამიანური თვისებებისა და კრეატიულობის მიბაძვით.

ეს შესავალი საფუძველს ქმნის გენერაციული AI-ის საბაზისო ფუნქციებისა და ტექნოლოგიების გასაგებად, სანამ უფრო სიღრმისეულ დისკუსიებს გავმართავდეთ მის გამოყენებასა და ეთიკურ საკითხებზე.

სლაიდი 72 - CHATGPT

პირველ რიგში, სთხოვეთ მონაწილეებს, დაასახელონ ლოგო.

რამდენს გამოუყენებია იგი?

გაიცანით ChatGPT: მნიშვნელოვანი ეტაპი სასაუბრო AI-ში

ტრენერის შენიშვნები:

- **ChatGPT-ს მიმოხილვა:**
  - ChatGPT განსაზღვრეთ, როგორც OpenAI-ის მიერ შემუშავებული მოწინავე ენობრივი მოდელი, დაფუძნებული გენერაციული წინასწარ გაწვრთნილი ტრანსფორმატორის არქიტექტურაზე.
  - განმარტეთ, რომ ChatGPT შექმნილია ადამიანისთვის დამახასიათებელი ტექსტური პასუხების სასაუბრო ფორმით გენერირებისათვის. მას შეუძლია გაგება და პასუხების გაცემა საუბრის კონტექსტის მიხედვით. ამის გამო, ChatGPT მეტად ეფექტიანია აპლიკაციათა ფართო სპექტრისთვის, როგორიცაა მომხმარებელთა მომსახურება, კონტენტის შექმნა და ა.შ.
- **განვითარება და ტრენინგი:**
  - ChatGPT იყენებს მანქანური სწავლების ტექნიკას, რომელიც ცნობილია, როგორც „უზედამხედველოდ სწავლა“: კერძოდ, მოდელს მიეწოდება დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სწავლობს მომდევნო სიტყვის წინასწარმეტყველებას წინადადებაში.
  - სწავლების პროცესი მოიცავს შიდა პარამეტრების კორექტირებას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს განსხვავება პროგნოზირებულ და რეალურ ტექსტურ თანმიმდევრობებს შორის, ეს კი აძლიერებს მის უნარს, შექმნას თანმიმდევრული და კონტექსტის შესაბამისი პასუხები.
- **ChatGPT-ის შესაძლებლობები:**
  - ხაზი გაუსვით მის ცოდნას სხვადასხვა თემის დამუშავებისას, მარტივი ფაქტობრივი კითხვებით დაწყებული და რთული დისკუსიებით დამთავრებული, რომლებიც მოიცავს მსჯელობას, რჩევებს და შემოქმედებითი კონტენტის გენერირებას.
  - აღნიშნეთ მისი უნარი, მონაცვლეობით წარმართოს დიალოგი რამდენიმე თემაზე, დაიმახსოვროს საუბრის კონტექსტი და გასცეს შესაბამისი პასუხები.
- **გამოყენების შემთხვევები:**
  - მოკლედ ახსენეთ ChatGPT-ის გამოყენების გავრცელებული გზები, მათ შორის, ვირტუალური დახმარება, საგანმანათლებლო ინსტრუმენტები, შემოქმედებითი წერის დამხმარე საშუალებები და ა.შ. ChatGPT ინტეგრირებულია სხვადასხვა სამომხმარებლო აპლიკაციაში, რათა გააუმჯობესოს მომხმარებელთან ინტერაქცია, მისი ბუნებრივი ენის გაგებით.
  - ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის პერსპექტივიდან, ის შეიძლება გამოიყენებოდეს ბავშვის დაყოლიების მიზნით, მაგალითად:
    - **მოთხოვნა**: დაალაგე ეს წინადადება მოზარდის ენაზე: „გამარჯობა, როგორ ხარ? გინდა ჩემთან საუბარი? რა არის შენი ჰობი?“
    - **AI-ის სავარაუდო პასუხი**: „გამარჯობა! რას შვრები? გსურს საუბარი? რა გაინტერესებს?“

- **მოთხოვნა**: „გადააკეთე იგივე წინადადება ჩატის ენად“.
- **AI-ის სავარაუდო პასუხი**: „ჰაიი! როგორ ხარ? გინდა ვიჩატაოთ? რა ჰობი გაქვს?“

- **ინტერაქტიური სეგმენტი:**
  - ჰკითხეთ მონაწილეებს, გამოუყენებიათ თუ არა ChatGPT ან AI-ზე დაფუძნებული მსგავსი ინსტრუმენტები? ეს შეიძლება გადაიზარდოს დისკუსიაში ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პირადი გამოცდილებებისა და მოსაზრებების შესახებ.

დასკვნები:

- შეჯამებისას აღნიშნეთ, რომ ChatGPT მნიშვნელოვან წინსვლას გვიჩვენებს ხელოვნური ინტელექტის სფეროში და წარმოაჩენს გენერაციული მოდელების პოტენციალს ციფრული ურთიერთქმედების გარდასაქმნელად.

სლაიდი საბაზისო წარმოდგენას გვიქმნის ChatGPT-ის შესახებ და ნიადაგს ამზადებს შემდგომი დისკუსიებისთვის, რომლებიც შეეხება მის შესაძლებლობებსა და გამოყენებას სხვადასხვა სფეროში.

სლაიდი 73 - გენერაციული AI ტექნოლოგიების ყოვლისმომცველი მიმოხილვა

სათაური: გენერაციული AI-ის შესაძლებლობათა გამოვლენა სხვადასხვა სფეროში

ტრენერის შენიშვნები:

- **ტექსტის გენერირება: ChatGPT, Gemini, Jasper**
  - **ChatGPT:** იყენებს მანქანურ სწავლებას ადამიანისთვის დამახასიათებელი ტექსტების სიმულაციისთვის, მოთხოვნათა შესაბამისად; სასარგებლოა ისეთი ამოცანების შესასრულებლად, როგორიცაა საუბრის სიმულაცია, კონტენტის შექმნა და პრობლემის გადაჭრა.
  - **Gemini:** ChatGPT-ის მსგავსად, Gemini შეიძლება გამოიყენებოდეს კონკრეტული ინდუსტრიისთვის სპეციფიკური ტექსტის გენერირების ინსტრუმენტად, რომელიც სთავაზობს საჭიროებაზე მორგებულ გადაწყვეტილებებს.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები**: ეს მოდელები პროგნოზირებენ ყოველი მომდევნო სიტყვის ალბათობას, მანამდე წარმოდგენილ სიტყვებზე დაყრდნობით, რისთვისაც იყენებენ პასუხებს დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემებიდან.
- **გამოსახულების გენერირება: DALL-E, MidJourney, Stable Diffusion**
  - **DALL-E:** აგენერირებს გამოსახულებებს ტექსტური აღწერების მიხედვით და შემოქმედებითად აერთიანებს აბსტრაქტულ ცნებებს.
  - **MidJourney:** ფოკუსირებულია მაღალხარისხიანი მხატვრული გამოსახულებების შექმნაზე შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის.
  - **Stable Diffusion**: სიღრმისეული სწავლის ეს მოდელი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დეტალური გამოსახულებები შექმნან ტექსტური აღწერებით; ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები:** ყველა მოდელი იყენებს ნეირონულ ქსელებს, რომლებსაც შეუძლიათ ვიზუალური მონაცემების გაგება, მათი ინტერპოლაცია და ტექსტური აღწერილობის გადაქცევა რთულ გამოსახულებებად, ნასწავლი ასოციაციების მეშვეობით.
- **ვიდეოების გენერირება: Runway SORA, Synthesia, Deepfake Technology**
  - **Runway SORA**: სპეციალიზებულია ვიდეოს რედაქტირებასა და ეფექტებზე, AI-ის გამოყენებით.
  - **Synthesia**: ქმნის მომხმარებლის მოთხოვნაზე მორგებულ ვიდეოკონტენტს, ტექსტზე დაყრდნობით, მათ შორის, ვირტუალურ ავატარებს, რომლებიც საუბრობენ და პრეზენტაციებს წარადგენენ.
  - **Deepfake Technology:** იძლევა დამაჯერებლად რეალური ვიდეო/აუდიო ჩანაწერების შექმნის საშუალებას.

- **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები:** ყველა ეს ტექნოლოგია არსებულ ვიდეოშაბლონებს აანალიზებს ახალი კონტენტის შესაქმნელად, რომელიც შეესაბამება შეყვანილ მონაცემებს. ხშირად ისინი სიღრმისეული სწავლის გამოყენებით უზრუნველყოფენ რეალისტურობასა და თანმიმდევრულობას.

- **ხმის სინთეზირება: ElevenLabs, Descript's Overdub, Google Duplex**
  - **ElevenLabs**: ქმნის რეალისტურ ხმას ტექსტისგან.
  - **Descript's Overdub**: იძლევა აკრეფილი ტექსტისგან სპეციალური ხმოვანი კონტენტის (voiceover) შექმნის საშუალებას.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები**: ხმის სინთეზის მოდელები ტექსტს გარდაქმნიან რეალურ ხმად, ინტონაციებისა და მეტყველების მონაცემებიდან მიღებული რიტმების გამოყენებით.
- **მუსიკის გენერირება: AIVA, Amper Music, Google Magenta**
  - **AIVA**: ქმნის სიმფონიურ მუსიკას, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.
  - **Amper Music:** საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, შექმნან საუნდტრეკები, განწყობისა და სტილის პარამეტრების მიხედვით.
  - **Google Magenta**: იკვლევს ხელოვნური ინტელექტის როლს ხელოვნებისა და მუსიკის შექმნაში.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები:** ყველა ეს სისტემა აანალიზებს მუსიკის თეორიასა და სტრუქტურებს ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად და შეისწავლის არსებულ მუსიკალურ კომპოზიციათა ფართო სპექტრს.
- **კოდის გენერირება: GitHub Copilot, Codex by OpenAI**
  - **GitHub Copilot:** გთავაზობთ კოდს პირდაპირ IDE-ში, მომხმარებლის კონტექსტზე დაყრდნობით.
  - **Codex by OpenAI:** იყენებს ბუნებრივ ენას კოდების გენერირებისათვის და ეხმარება დეველოპერებს კოდის მთლიანი სტრიქონების ან ბლოკების შეთავაზებით.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები**: ყველა ეს მოდელი იყენებს პროგრამირების ენების სტრუქტურასა და სინტაქსს და სთავაზობს ან ქმნის კოდის ფრაგმენტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და ნასწავლ შაბლონებზე დაყრდნობით.
- **3D მოდელირება: Runway, NVIDIA's Omniverse, Google Dream Fusion**
  - **Runway**: გთავაზობთ კრეატიულ ინსტრუმენტებს 3D და მანქანური სწავლების აპლიკაციებისთვის.
  - **NVIDIA's Omniverse:** პლატფორმა გამოიყენება მეტავერსიის აპლიკაციათა შექმნისა და ოპერირებისთვის, რეალისტური 3D სიმულაციების ჩათვლით.
  - **როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები**: ყველა ეს ინსტრუმენტი მოწინავე AI-ის იყენებს ინტერპრეტაციისა და მოდელირებისათვის, ასევე, 3D გარემოს რენდერის შესაქმნელად. იგი ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემსა და კომპლექსურ ალგორითმს, რეალისტური ტექსტურების, განათებისა და ფიზიკის სიმულაციისთვის.

დასკვნები:

- დასასრულს, ხაზი გაუსვით გენერაციული AI-ის ტრანსფორმაციულ პოტენციალს სხვადასხვა სფეროში, რაც ხელს უწყობს კრეატიულობასაც და ეფექტიანობასაც. აღნიშნეთ, რომ ეს ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება და აფართოებს სფეროებს, რომელთა ავტომატიზაცია ან გაუმჯობესება შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის საშუალებით.

სლაიდი საფუძვლიანი შესავალია გენერაციულ AI ტექნოლოგიებში არსებული მრავალფეროვანი ფუნქციებისა და მექანიზმების გასაგებად და აჩვენებს მათ გავლენას მრავალ მედიასა და ინდუსტრიაზე.

სლაიდი 74

სთხოვეთ მონაწილეებს, გულდასმით დაათვალიერონ ეს სრულიად ჩვეულებრივი სურათი და ნახონ, შეამჩნევენ თუ არა მასზე რამე უჩვეულოს.

შუაში მყოფ ქალბატონს 3 ფეხი აქვს, მისი ხელები და თითები კი უჩვეულოდ გამოიყურება. ეს გამოსახულება 2023 წლის ნოემბერში შეიქმნა.

ანომალიების გამოვლენა ხელოვნურად შექმნილ სურათებში

ტრენერის შენიშვნები:

- **შესავალი ხელოვნურად შექმნილ სურათებში ანომალიების განსახილველად:**
  - ახსენით, რომ ხელოვნურად შექმნილი გამოსახულებებისთვის დამახასიათებელია ანომალიები, როგორიცაა არარეალური ფიზიკური თვისებები ან საგნები (მაგ. ადამიანი სამი ფეხით). ამის მიზეზი შეიძლება იყოს AI-ის მიერ შეცდომის დაშვება ადამიანის ანატომიის გაგებაში, ან რამდენიმე გამოსახულების შერწყმა.
- **კონკრეტული ანომალიის განხილვა:**
  - აუდიტორიის ყურადღება მიაპყარით სურათზე არსებულ მესამე ფეხს. განიხილეთ, როგორ ქმნის ასეთი შეცდომები ნათელ მტკიცებულებას, რომ გამოსახულება გენერირებულია ხელოვნურად, ან მანიპულირების მეშვეობით.
  - გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა აუდიტორიის ჩასართავად და ჰკითხეთ მონაწილეებს, შენიშნა თუ არა ვინმემ ანომალია მანამდე, სანამ მასზე მიუთითებდნენ; წაახალისეთ დისკუსია დაკვირვების უნარებზე.
- **ტექნიკური საკითხების განხილვა:**
  - მოკლედ განუმარტეთ მონაწილეებს, რატომ ხდება ეს, განსაკუთრებული აქცენტით AI ტექნოლოგიების შეზღუდვებზე, როგორიცაა გენერაციული საპირისპირო ქსელები (GAN), რომლებიც შესაძლოა, სრულყოფილად ვერ იგებდნენ და აგენერირებდნენ ადამიანის ფორმებისა და სივრცითი ურთიერთობების ნიუანსებს.
- **ინტერაქტიური ანალიზი:**
  - წაახალისეთ აუდიტორია, რომ დაფიქრდნენ გამოსახულების სხვა ნაწილებზე, რომლებიც შეიძლება უცნაურად გამოიყურებოდეს, ან იმსჯელონ, როგორ მოქმედებს ანომალია სურათის ავთენტიკურობის საერთო აღქმაზე.
- **ეთიკური დისკუსია:**
  - ეს ანომალია გამოიყენეთ საფუძვლად ხელოვნურად შექმნილი სურათების ეთიკური შედეგების განსახილველად. ისაუბრეთ სხვადასხვა კონტექსტში ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებსა და მედიაში გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე.
- **დასკვნები**:
  - შეაჯამეთ, რა მნიშვნელობა აქვს გამოსახულების კრიტიკულად შეფასებას ციფრულ ეპოქაში, სადაც AI-ის მიერ გენერირებული კონტენტი სულ უფრო ხშირად გვხვდება. განიხილეთ ასეთი ანომალიების გამოსავლენად საჭირო უნარები და ხელოვნურად შექმნილი გამოსახულების გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური მოსაზრებები.

სლაიდი 75 –დავალების მიცემა SORA-სთვის

ეს არის OpenAI-ის მოწინავე AI მოდელი, რომელსაც აქვს რეალისტური ვიდეოების გენერირების უნარი, ტექსტურ მოთხოვნაზე დაყრდნობით. მოდელს შეუძლია რთული სცენების შექმნა, დეტალური ინსტრუქციების შესაბამისად, და ფიზიკური სამყაროს იმიტირება მოძრაობაში. Sora მხარს უჭერს ერთ წუთამდე ხანგრძლივობის ვიდეოების გენერირებას, მაღალი ვიზუალური ხარისხით და წარდგენილ მოთხოვნათა ზედმიწევნით შესრულებით. ის შემუშავდა რთული ვიზუალური თხრობის გასაგებად და შესასრულებლად, რაც ინოვაციურ ინსტრუმენტად აქცევს შემოქმედებით სფეროებში მოღვაწე ადამიანებისთვის (მაგ. როგორიცაა კინო და ციფრული ხელოვნება). ამჟამად მიმდინარეობს Sora-ს ტესტირებისა და შეფასების პროცესი, პოტენციური რისკებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების გამოსავლენად.

სლაიდი 76

Sora-ს შესაძლებლობების მაგალითი. შეგახსენებთ, რომ ვიდეორგოლი მთლიანად ხელოვნურია - არ არსებობს არც ეს ადამიანი და არც ეს ადგილი. შესაძლებელია დადგენა, რომ ის ხელოვნურად არის შექმნილი - ქალის ფეხები თითქოს ტროტუარის ზედაპირზე ტივტივებენ.

სლაიდი 77 – მოსაზრებები გენერაციული AI-სთან დაკავშირებით

- **ეთიკური მოსაზრებები:**
  - გენერაციული AI მნიშვნელოვან ეთიკურ გამოწვევებს ქმნის ადამიანის ავტონომიასა და უფლებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მეთვალყურეობის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გამოყენებისას, რომლებიც არ არის გამჭვირვალე.
  - Deepfakes-ის ან მანიპულირებული კონტენტის შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაცია და გავლენა მოახდინოს საზოგადოების ნდობაზე. შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობით მართვისათვის, საჭიროა მკაცრი ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები.
- **მიკერძოება AI სისტემებში:**
  - ხელოვნური ინტელექტის მოდელებმა შეიძლება ასახონ ან გააძლიერონ მიკერძოება, რომელიც არსებობს მათ მიერ ნასწავლ მონაცემებში. ეს დისკრიმინაციულ შედეგებს გამოიწვევს ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაქირავება, კანონის აღსრულება და სესხის დამტკიცება.
  - მიკერძოების აღმოფხვრა მოიცავს სისტემაში შეყვანილ მონაცემთა დივერსიფიკაციას და სამართლიანობის ალგორითმების დანერგვას სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფისადმი სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად.
- **უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები:**
  - ხელოვნური ინტელექტის სისტემამ შეიძლება განიცადოს საპირისპირო შეტევები - მცირე მოცულობის და ხშირად შეუმჩნეველი მონაცემების შეყვანამ მოატყუოს მოდელები და, შედეგად, მათ არასწორი გადაწყვეტილებები მიიღონ.
  - უსაფრთხოების ზომები უნდა მოიცავდეს ეფექტიან საპირისპირო მომზადებას, უწყვეტ მონიტორინგს, ასევე, ხელოვნური ინტელექტის სისტემათა განახლებას ასეთი საფრთხეებისგან დასაცავად.
- **AI-ის ჰალუცინაციები:**
  - მსგავსი ჰალუცინაციები მაშინ წარმოიქმნება, როდესაც მოდელები ცრუ ან შეუსაბამო ინფორმაციას აგენერირებენ. ეს შეიძლება პრობლემური იყოს აპლიკაციებისთვის, რომლებიც მაღალ სიზუსტეს საჭიროებს (მაგ. საქმე ეხება სამედიცინო დიაგნოზს, ან ჟურნალისტურ რეპორტაჟს).
  - ჰალუცინაციების შესარბილებელი სტრატეგიების ნაწილია მოდელის არქიტექტურის გაუმჯობესება, მონაცემთა დაზუსტება და ვალიდაციის მკაცრად შემოწმება.
- **პლაგიატისა და დედნის აღიარების საკითხები:**
  - გენერაციული AI-ის შეუძლია ისეთი კონტენტის შექმნა, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს არსებულ ნამუშევრებს, ეს კი გამოწვევებს უქმნის საავტორო უფლებებისა და დედნების დაცვას.
  - სპეციალური სისტემების შემუშავება, რომლებიც გააკონტროლებს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ კონტენტს, ასევე, პლაგიატის გამოსავლენი ინსტრუმენტების ინტეგრირება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთლიანობის შესანარჩუნებლად და დედნების შემქმნელთა უფლებების აღიარებისთვის.
- **მონაცემთა კანიბალიზმი:**
  - ეს ფენომენი გულისხმობს, რომ ხელოვნური ინტელექტის მოდელები მოიხმარენ თავიანთსავე შედეგებს და ხელახლა სწავლობენ მათზე დაყრდნობით. შედეგად, შეიძლება შეიქმნას უკუკავშირის ისეთი მარყუჟები, რომლებიც ამცირებს გენერირებული ინფორმაციის ხარისხს.

- მონაცემთა კანიბალიზმის პრევენცია მოითხოვს მონაცემთა გაცვლის არხების ფრთხილად შემუშავებას, ამ გამოწვევის გათვალისწინებით, და შემოწმებას, რომ შედეგები არ ახდენს რეკურსიულ გავლენას უზედამხედველოდ დასწავლის პროცესზე.

დასკვნები:

დასასრულს, ხაზი გაუსვით, რომ აუცილებელია მულტიდისციპლინური მიდგომა ამ გამოწვევათა გადასაჭრელად, მათ შორის, პოლიტიკის შემქმნელების, ტექნოლოგებისა და ეთიკოსების ჩართულობა, რათა გენერაციული AI ტექნოლოგიები შემუშავდეს და გამოიყენებოდეს საზოგადოებისთვის უსაფრთხო, სამართლიანი და სასარგებლო გზით.

სლაიდი 78 – ანგარიში ONLINE NATION 2023

Ofcom-ის მიერ მომზადებული ანგარიში Online Nation 2023[37] საფუძვლიანად მიმოიხილავს დიდ ბრიტანეთში არსებულ ციფრულ ტენდენციებს, რომლებიც მოიცავს ინტერნეტის გამოყენებას, ონლაინპლატფორმებს და ციფრულ გარემოში ქცევას. კვლევა შეისწავლის ადამიანებისა და ბიზნესების ურთიერთქმედებას ონლაინსერვისებთან და ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ასპექტზე, როგორიცაა სოციალური მედიის გამოყენება, სტრიმინგის ჩვევები, ელექტრონული კომერცია, ციფრული რეკლამა და მარეგულირებელი ლანდშაფტი. ანალიზი ხაზს უსვამს ციფრული მოხმარების ტენდენციათა ცვლილებებს და სხვადასხვა პლატფორმის როლს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს სასარგებლო ასპექტია შესადარებლად და მსგავსი ტენდენციების გასაგებად სხვა რეგიონებში.

სლაიდი 79

Ofcom-ის ეს ანგარიში სიღრმისეულ მიგნებებს გვაწვდის დიდ ბრიტანეთში გენერაციული AI სისტემების გამოყენებაზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიერ. დოკუმენტში შეჯამებულია ძირითადი მიგნებები, თუ ვინ და როგორ იყენებს გენერაციულ AI სისტემებს:

- **ძირითადი მომხმარებლები:**
  - **თაობა Z** (თინეიჯერები და უმცროსი ასაკის ბავშვები): სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ეს თაობა მნიშვნელოვნად არის ჩართული გენერაციული AI ტექნოლოგიების გამოყენებაში. კერძოდ, ონლაინზე წვდომის მქონე 13-17 წლის მოზარდთა 79% და 7-12 წლის ბავშვთა 40% გენერაციულ AI ინსტრუმენტებს იყენებს.
  - **ზრდასრულები**: ეს ჯგუფი ნაკლებ მზაობას იჩენს AI ტექნოლოგიის გამოყენებისადმი: 16 წელზე უფროსი ინტერნეტმომხმარებლებისგან მხოლოდ 31% იყენებს გენერაციულ AI-ს. ვისაც ეს ტექნოლოგიები არ გამოუყენებია, მათგან თითქმის ყოველმა მეოთხემ არ იცის, რა არის გენერაციული AI.
- **სარგებლობის გამოცდილება და გამოყენების სფეროები:**
  - **სოციალური და გასართობი:** ბავშვებსა და მოზარდებში ყველაზე პოპულარული გენერაციული AI ინსტრუმენტია Snapchat My AI (განსაკუთრებით, თინეიჯერ გოგონებს შორის). ის ფართოდ ხელმისაწვდომია და, ძირითადად, გამოიყენება სოციალური ინტერაქციისა და გართობისათვის.
  - **საგანმანათლებლო და კრეატიული გამოყენება:** გენერაციული AI ასევე გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებით (როგორიცაა დახმარება საშინაო დავალების შესრულებაში) და შემოქმედებითი ამოცანების შესასრულებლად (მაგ. ლექსის დაწერა, მხატვრული ნამუშევრების შექმნა და კოდირებაც კი).
  - **ზოგადი ცნობისმოყვარეობა და კვლევა:** ბევრი მომხმარებელი, განსაკუთრებით, მოზარდი, ცნობისმოყვარეობის გამო იკვლევს გენერაციული AI-ის შესაძლებლობებს. ეს შეიძლება მოიცავდეს AI-სთან საუბარს, ინფორმაციის მოძიებას და რჩევის კითხვას და ა.შ.
- **გამოწვევები და აღქმები:**
  - მართალია, გამოყენების მაჩვენებლები მაღალია, თუმცა ადამიანები კარგად არიან ინფორმირებულნი გენერაციულ AI-ისთან ასოცირებულ რისკებზე. მომხმარებელთა

37 Online Nation 2023 Report (ofcom.org.uk)

ნახევარზე მეტი შეშფოთებას გამოხატავს საზოგადოებაზე მის სამომავლო ზეგავლენასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, ეს ეხება 16-24 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც ამ ინსტრუმენტის ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან და, ამავდროულად, ყველაზე მეტად წუხან მისი სოციალური შედეგების გამო.

ანგარიშის მიგნებები აჩვენებს, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი სხვადასხვაგვარად იყენებს და აღიქვამს გენერაციულ AI-ის. ის გამოკვეთს ლანდშაფტს, სადაც ახალგაზრდა მომხმარებლები პიონერები არიან, თუმცა, ამავდროულად, აცნობიერებენ ამ ტექნოლოგიის უფრო ფართო ზეგავლენასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

სლაიდი 80

სლაიდი წარმოგიდგენთ Ofcom-ის ანგარიშის (Online Nation 2023) მონაცემებს, რომლებიც შეეხება გენერაციულ AI ინსტრუმენტთა გამოყენებას გაერთიანებული სამეფოს 16 წელზე უფროსი ინტერნეტმომხმარებლების მიერ. ცხრილი ასახავს იმ მომხმარებელთა პროცენტულ ოდენობას, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა გენერაციულ AI ინსტრუმენტს. მონაცემები დახარისხებულია კაცებისა და ქალების მიხედვით.

საკვანძო საკითხები:

- **გენერაციული AI ინსტრუმენტების საერთო გამოყენება:**
  - ChatGPT ყველაზე ხშირად გამოყენებული გენერაციული AI ინსტრუმენტია, ყველა ინტერნეტმომხმარებლის **23%-ით**.
  - მას მოსდევს **Snapchat My AI - 15%-თ** და **Bing Chat -11%-ით**.
  - როგორც **DALL-E**-ის, ისე **Google Bard**-ის მაჩვენებელი **9%**-ია, **ხოლო Midjourney**-ის - **8%**.
- **გენდერული განსხვავებები AI ინსტრუმენტების გამოყენებაში:**
  - **ChatGPT**, ამ კუთხით, ყველაზე დიდ განსხვავებას აჩვენებს: კაცი მომხმარებლების რაოდენობა 30%-ს შეადგენს, ხოლო ქალებისა - **17%**-ს.
  - **Snapchat My AI**-ს იყენებს კაცების **18%** და ქალების **12%**.
  - **Bing Chat**-ით სარგებლობს კაცების **15%** და ქალების **6%.**
  - როგორც **DALL-E**-ს, ისე **Google Bard**-ს მოიხმარს კაცების **14%** და ქალების მხოლოდ **5%**.
  - **Midjourney**-ს იყენებს კაცების **13%** და ქალების **4%**.

ზეგავლენა:

- მონაცემები მნიშვნელოვან გენდერულ სხვაობაზე მიუთითებს გენერაციულ AI ინსტრუმენტთა გამოყენებაში: კერძოდ, ამ კუთხით, კაცები უფრო აქტიურობენ, ვიდრე ქალები.
- ეს ტენდენცია შეიძლება მიუთითებდეს მიზნობრივ საგანმანათლებლო ინიციატივათა საჭიროებაზე, რათა წახალისდეს უფრო დაბალანსებული გამოყენება სხვადასხვა სქესის ადამიანთა მიერ.

განსახილველი საკითხები:

- **რატომ არის ChatGPT წამყვან პოზიციაზე**: განიხილეთ ChatGPT-ის პოპულარობის შესაძლო მიზეზები, როგორიცაა, მაგალითად, ფართო გამოყენების შესაძლებლობა და გამოყენების სიმარტივე.
- **გენდერული უთანასწორობა:** გამოიკვლიეთ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული სხვაობის არსებობას AI ინსტრუმენტთა გამოყენებაში. მაგალითად, განიხილეთ საზოგადოების ზეგავლენა, ხელმისაწვდომობის საკითხები, ან განსხვავებული ინტერესი ტექნოლოგიებისადმი.
- **სამომავლო ტენდენციები**: განჭვრიტეთ, როგორ შეიძლება განვითარდეს ეს ტენდენციები: შემცირდება სხვაობა, თუ უფრო მეტად ინტეგრირდება AI ინსტრუმენტები ყოველდღიურ ცხოვრებაში? რა ძალისხმევის გაღება შეიძლება თანაბარი წვდომისა და გამოყენებისათვის?

დასკვნები: Ofcom-ის ანგარიშის ეს მონაცემები გამოკვეთს გენერაციულ AI ინსტრუმენტთა გამოყენების ტენდენციებს მომხმარებელთა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში. მათი გააზრება გადამწყვეტია ისეთი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობს განვითარებადი ტექნოლოგიების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას.

სლაიდი 81

სლაიდი წარმოგვიდგენს მონაცემებს CHILDWISE-ის კვლევიდან „საზაფხულო ომნიბუსი 2023“[38], რომელიც ყურადღებას ამახვილებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტთა გამოყენებაზე 7-17 წლის ბავშვებში. ის დეტალურად აღწერს საერთო გამოყენებას და მონაცემებს ახარისხებს ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით.

საკვანძო საკითხები:

- **AI ინსტრუმენტთა საერთო გამოყენება (7-17 წლის ჯგუფში):**
  - ონლაინწვდომის მქონე ბავშვთა **59%**-ს გამოყენებული აქვს, სულ მცირე, ერთი AI ინსტრუმენტი.
  - **Snapchat My AI**-ს იყენებს ბავშვების **51%**, რაც მას ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტად აქცევს.
  - **ChatGPT**-ს იყენებს ბავშვების **24%**.
  - **DALL-E**-ისა და **MidJourney**-ის გამოყენების მაჩვენებლები დაბალია - შესაბამისად, **7%** და **6%**.
- **ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:**
  - **7-12 წლის ასაკობრივი ჯგუფი:**
    - **40%**-ს გამოყენებული აქვს რომელიმე AI ინსტრუმენტი.
    - **30%** იყენებს Snapchat My AI-ს.
    - **12%** იყენებს ChatGPT-ს.
    - **6%** იყენებს DALL-E-ს, ხოლო **7%** - MidJourney-ს.
  - 13-17 წლის ასაკობრივი ჯგუფი:
    - **79%**-ს გამოყენებული აქვს რომელიმე AI ინსტრუმენტი.
    - **72%** იყენებს Snapchat My AI-ს.
    - **29%** იყენებს ChatGPT-ს.
    - **7%** იყენებს DALL-E-ს, ხოლო **5%** - MidJourney-ს.
- **დახარისხება გენდერის მიხედვით:**
  - **ბიჭები (7-17 წლის):**
    - **59%**-ს გამოყენებული აქვს რომელიმე AI ინსტრუმენტი.
    - **48%** იყენებს Snapchat My AI-ს.
    - **14%** იყენებს ChatGPT-ს.
    - **10%** იყენებს DALL-E-ს, ხოლო **8%** - MidJourney-ს.
  - **გოგონები (7-17 წლის):**
    - **59%**-ს გამოყენებული აქვს რომელიმე AI ინსტრუმენტი.
    - **54%** იყენებს Snapchat My AI-ს.
    - **34%** იყენებს ChatGPT-ს.
    - **4%** იყენებს DALL-E-ს, ხოლო **4%** - MidJourney-ს.

38 Generative AI in education: Educator and expert views (publishing.service.gov.uk)

- **დეტალურად გაწერილი განსხვავებები სქესისა და ასაკის მიხედვით:**
  - **7-12 წლის ბავშვები:**
    - ბიჭები: **40%** იყენებს რომელიმე AI ინსტრუმენტს, **28%** იყენებს Snapchat My AI-ს, **9%** - ChatGPT-ს, **6%** - DALL-E-ს და **7%** - MidJourney-ს.
    - გოგონები: **39%** იყენებს რომელიმე AI ინსტრუმენტს, **32%** იყენებს Snapchat My AI-ს, **12%** - ChatGPT-ს, **3%** - DALL-E-ს და **3%** - MidJourney-ს.
  - **13-17 წლის ბავშვები:**
    - ბიჭები: **78%** იყენებს რომელიმე AI ინსტრუმენტს, **68%** იყენებს Snapchat My AI-ს, **29%** - ChatGPT-ს, **10%** - DALL-E-ს და **5%** - MidJourney-ს.
    - გოგონები: **80%** იყენებს რომელიმე AI ინსტრუმენტს, **75%** იყენებს Snapchat My AI-ს, **41%** - ChatGPT-ს, **4%** - DALL-E-ს და **3%** - MidJourney-ს.

ზეგავლენა:

- **აქტიური ინტერაქცია ხელოვნური ინტელექტთან:** ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით მოზარდები) იყენებს AI ინსტრუმენტებს, რაც აჩვენებს მათ მზარდ ინტეგრაციას ყოველდღიურ საქმიანობაში.
- **გენდერული განსხვავებები**: შესამჩნევად განსხვავდება AI ინსტრუმენტთა გამოყენება ბიჭებსა და გოგოებს შორის (განსაკუთრებით, ChatGPT-ისა და Snapchat My AI-ის).
- **ასაკობრივი ტენდენციები**: შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები (13-17 წლის) უფრო ხშირად იყენებენ AI ინსტრუმენტებს, ვიდრე უმცროსები (7-12 წლის), რაც გვაფიქრებინებს, რომ AI-ის გამოყენება ასაკთან ერთად იზრდება.

განსახილველი საკითხები:

- **ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ახალგაზრდა მომხმარებლებზე**: განიხილეთ მაღალგანვითარებულ AI ინსტრუმენტთა გამოყენების შედეგები ბავშვებში, პოტენციური სარგებლისა და რისკების ჩათვლით.
- **საგანმანათლებლო საჭიროებები:** ხაზი გაუსვით განათლების აუცილებლობას ციფრული წიგნიერების სფეროში, რათა ბავშვებმა უკეთ გააცნობიერონ AI ინსტრუმენტთა უსაფრთხო და პასუხისმგებლობიანი გამოყენება.
- **გენდერული უთანასწორობა:** გამოიკვლიეთ გენდერული განსხვავებების მიზეზები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში და ამგვარი უთანასწორობის აღმოფხვრის გზები.

დასკვნები: CHILDWISE-ის მიერ ჩატარებული კვლევის („საზაფხულო ომნიბუსი 2023“) მონაცემები მიუთითებს, რომ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი იყენებს AI ინსტრუმენტებს და, ამ თვალსაზრისით, განსხვავებები შეინიშნება ასაკისა და სქესის მიხედვით. გამოყენების ამ ტენდენციების გაგება აუცილებელია, რათა შემუშავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო და პოლიტიკური ზომები რეაგირებისათვის და ახალგაზრდა მომხმარებლები უსაფრთხოდ და ეფექტიანად იყენებდნენ ხელოვნურ ინტელექტს.

9. ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები პედაგოგების, სოციალური მუშაკებისა და ექიმებისთვის

სლაიდი 82

დეტალურად განხილვა, რა სტრატეგიები, პოლიტიკა და ინსტრუმენტები შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას ბავშვთა ეფექტიანად დასაცავად ონლაინსივრცეში.

აუდიტორიის შემადგენლობიდან გამომდინარე, მონაწილეები შეიძლება დააჯგუფოთ პროფესიების მიხედვით.

სლაიდი 83 - პედაგოგების, ექიმებისა და სოციალური მუშაკების სტრატეგიათა მიმოხილვა

ამ ყოვლისმომცველი ნაწილის მიზანია პედაგოგების, ექიმების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების აღჭურვა საჭირო ინსტრუმენტებითა და ცოდნით, რათა ახალგაზრდები დაიცვან ციფრულ ეპოქაში. სლაიდში მიმოხილულია ონლაინუსაფრთხოების კრიტიკული ასპექტები, მათ შორის, გააზრებულია ონლაინრისკები, უსაფრთხოების პრაქტიკული სტრატეგიების განხორციელება და ინციდენტებზე რეაგირება. ასევე ხაზგასმულია პედაგოგებს, მშობლებს, ბავშვებსა და პროფესიონალებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად. და ბოლოს, წარმოდგენილია ქმედითი რჩევები, პოლიტიკის რეკომენდაციები და რესურსები პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეობის პოპულარიზაციისთვის და ბავშვთა დასაცავად ონლაინზიანისგან.

სლაიდი 84 - ონლაინუსაფრთხოების ვალდებულების დაკისრება

საკვანძო საკითხები:

- **თანამშრომლობითი მიდგომა:** ონლაინუსაფრთხოების ეფექტიანი სტრატეგიები მოითხოვს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალთა ერთობლივ ძალისხმევას, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადობას და აყალიბებს მრავალმხრივ გამოცდილებას.
- **ონლაინუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის როლი**: მიუხედავად იმისა, რომ ონლაინუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, არ შეიძლება, მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ პირს დაეკისროს. წარმატებული სტრატეგია უნდა ინტეგრირდეს მთელი სკოლის კულტურაში.
- **ახალგაზრდების ჩართულობა:** მოსწავლეთა ჩართვა ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში აუცილებელია მისი აქტუალურობისა და ეფექტიანობისათვის.
- **360-გრადუსიანი უსაფრთხოების ინსტრუმენტი**: ეს თვითშეფასების სისტემა ეხმარება სკოლებს საკუთარი ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვაში, რათა ხელი შეუწყონ თანამშრომლობით წვლილს და მუდმივ გაუმჯობესებას ამ მიმართულებით.

დისკუსია:

- **თანამშრომლობის სარგებელი**: განიხილეთ, როგორ უზრუნველყოფს სტრატეგიის ერთობლივად შემუშავება მის მთლიანობას და ფართოდ გაგებას სკოლის საზოგადოებაში.

- **მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა**: ხაზი გაუსვით მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რათა ის პრაქტიკული და მისაღები იყოს ყველა მხარისთვის.
- **შეფასების ინსტრუმენტები:** წარადგინეთ 360-გრადუსიანი უსაფრთხოების ინსტრუმენტი, როგორც რესურსი სკოლებისთვის, რომ გაზომონ და გააძლიერონ თავიანთი ონლაინუსაფრთხოების ინიციატივები.

დასკვნები: ეს ნაწილი ხაზს უსვამს, რომ ჰოლისტიკური და თანამშრომლობითი მიდგომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასკოლო კულტურაში ონლაინუსაფრთხოების დასანერგად; ამასთანავე, ის არა მხოლოდ ეფექტიანი, არამედ მდგრადიც უნდა იყოს. ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალის სხვადასხვა წევრის ჩართულობა გააძლიერებს სტრატეგიის ზეგავლენასა და შესაბამისობას.

სლაიდი 85 - დაცვისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები/ შეტყობინების წარდგენა

შესავალი:

- ჩამოაყალიბეთ მკაფიო შიდა მექანიზმები ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე ეფექტიანად რეაგირებისათვის. მათ შორის უნდა იყოს უსაფრთხო დაქირავების პრაქტიკა, ანგარიშგების პროცედურები, მტკიცებულებათა შენახვა (საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად), გადაწყვეტილების მიღების პროცესები, კომუნიკაცია კონფიდენციალურობის დაცვით და პროტოკოლები მედიის მიერ ინფორმაციის გამოთხოვნაზე რეაგირებისათვის.

საკვანძო საკითხები:

- **პერსონალის დაქირავების წესები:** საფუძვლიანად შეამოწმეთ ყველა დაქირავებული და შეისწავლეთ ნასამართლობის ჩანაწერები. დარწმუნდით, რომ ბავშვთა ექსპლუატაციასა და სექსუალურ ძალადობაში ნასამართლევი ან ეჭვმიტანილი პირები არ საქმდებიან სამუშაოზე, სადაც შეხება მოუწევთ ბავშვებთან. ამ წესების ზედმიწევნით დაცვა აგვარიდებს ისეთ პირთა დასაქმებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ბავშვებს.
- **აქტიური შეტყობინება**: ბავშვებისა და თანამშრომლებისთვის შექმენით სხვადასხვა არხი შესაძლო ძალადობის შესატყობინებლად (მაგ. სანდო უფროსები, თანატოლი მენტორები, ანონიმური ონლაინფორმები), რომლებიც იქნება ხელმისაწვდომი და უსაფრთხო.
- **პასიური შეტყობინება:** თვალყური ადევნეთ ონლაინდისკუსიებს სკოლის ან ორგანიზაციის მონაწილეობით, პოტენციურ პრობლემათა ადრეულად გამოვლენისათვის. მათ შორის, ყურადღება მიაქციეთ მოსწავლეთა და მშობელთა კომენტარებს.
- **თანმიმდევრული რეაგირება**: დარწმუნდით, რომ ყველა შეტყობინება გულდასმით განიხილება, სისტემისადმი ნდობის შესანარჩუნებლად. სტანდარტიზებული პროცედურა აძლიერებს სანდოობას.
- **მტკიცებულებათა შენახვა**: შეიმუშავეთ პროტოკოლები ციფრულ მტკიცებულებათა სიფრთხილით დასამუშავებლად, რათა თავიდან აიცილოთ ცვლილებები მეტამონაცემებში. ეკრანის გადაღება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ფაილების გახსნა, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველ მასალას. დაიცავით ადგილობრივი კანონები მტკიცებულებათა შენახვის შესახებ, რადგან პერსონალს შეიძლება არ ჰქონდეს მათი შენახვის უფლება, თუნდაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის მიზნით.
- **მსხვერპლთა საჭიროებებისა და რისკის შეფასება:** შეაფასეთ მსხვერპლთა საჭიროებები და გაუწიეთ შესაბამისი მხარდაჭერა; ასევე, აღმოფხვერით რისკები, როგორიცაა შურისძიება და გარიყვა. საჭიროების შემთხვევაში, გაიარეთ კონსულტაცია მშობლებთან, ყოვლისმომცველი მხარდაჭერის შესათავაზებლად.

ეროვნულ კონსულტანტთა წვლილი:

- ეროვნულმა ექსპერტებმა დამატებითი დეტალები უნდა გააცნონ საზოგადოებას ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებულ ადგილობრივ ჩარჩოებსა და შეტყობინების მექანიზმებზე.

დისკუსია:

- **შეტყობინების აქტიური არხები**: განიხილეთ, რა მნიშვნელობა აქვს შეტყობინების სხვადასხვაგვარი და ხელმისაწვდომი არხების არსებობას, როგორიცაა სანდო პერსონალი, ანონიმური ფორმები და თანატოლი მენტორები.
- **პასიური მონიტორინგი**: გამოიკვლიეთ, როგორ შეიძლება დაეხმაროს ონლაინგანწყობის მონიტორინგი პრობლემათა პროაქტიულ გადაწყვეტას.
- **ნდობის შენარჩუნება:** ხაზი გაუსვით, რომ აუცილებელია თანმიმდევრული და გამჭვირვალე რეაგირება ყველა შეტყობინებაზე, სისტემისადმი ნდობის გასამყარებლად.
- **გამოძიებები**: განიხილეთ შიდა გამოძიების ჩატარების დადებითი და უარყოფითი მხარეები, განსაკუთრებით, როდესაც პროცესში ჩართულია პერსონალი.

დასკვნები:

- როგორც აქტიური, ასევე პასიური შეტყობინების ქმედითი არხების ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესია ონლაინუსაფრთხოების მართვისათვის. შეტყობინების ბევრნაირი არხის შექმნა და თანმიმდევრული რეაგირება ეხმარება უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას მოსწავლეებისა და პერსონალისთვის.

სლაიდი 86 - ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკა

საკვანძო საკითხები:

- **უსაფრთხო გარემოს შექმნა**: ონლაინუსაფრთხოების ეფექტიანი პოლიტიკა გადამწყვეტია მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შესაქმნელად. ეს პოლიტიკა უნდა იყოს ნათელი, პრაქტიკული, და ინტეგრირდეს სკოლის კულტურაში.
- **ეფექტიანი კომუნიკაცია:** პოლიტიკა სათანადოდ უნდა გააცნონ ჩართულ მხარეებს, რათა მოსწავლეებმა, მშობლებმა და პერსონალის წევრებმა გაიგონ და დაიცვან ის. მკაფიო კომუნიკაცია ყველას ეხმარება ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების გაცნობიერებაში.
- **სიცხადე და გაგება:** პოლიტიკის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს კითხვის დასმით მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალისთვის, თუ როგორ ესმით ინტერნეტის სწორად გამოყენება.
- **რეგულარული გადასინჯვა:** ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკა რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიების, რისკებისა და ქცევის სწრაფ ცვლილებებს.
- **თანამშრომლობითი მიდგომა:** პოლიტიკა უნდა შემუშავდეს ბავშვების, პერსონალისა და სკოლის ფართო საზოგადოების ჩართულობით, რათა ის ყველამ გაითავისოს და შეესაბამებოდეს მოთხოვნებს.
- **ინფორმაციის გავრცელება საკვანძო საკითხებზე**: პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები უნდა შეჯამდეს პუნქტებად და ინტეგრირდეს სკოლის კულტურაში, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.
- **მითითება სხვადასხვა პოლიტიკაში**: ონლაინუსაფრთხოება უნდა მიეთითოს შესაბამის პოლიტიკებში, რომლებიც შეეხება ქცევას, მხარდაჭერას, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, სასკოლო ვიზიტებსაც კი.

დისკუსია:

შეკითხვა მცირე ჯგუფებში აქტივობებისთვის – გაქვთ თუ არა ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკა და მისაღები გამოყენების პოლიტიკა? როგორ აფასებთ, რომ პოლიტიკა ნათელი და გასაგებია ყველასთვის და მას იცავენ?

- **პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფა**: განიხილეთ სტრატეგიები, რათა დარწმუნდეთ, რომ ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკა არა მხოლოდ ყოვლისმომცველია, არამედ ნათლადაც არის გადმოცემული და გასაგებია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
- **სკოლის საზოგადოების ჩართვა:** გამოიკვლიეთ გზები მოსწავლეების, მშობლებისა და პერსონალის ჩასართავად ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება-გავრცელებაში.

დასკვნები: მკაფიო, კარგად გადმოცემული ონლაინუსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი რეგულარული გადასინჯვა აუცილებელია უსაფრთხო და მხარდამჭერი ონლაინგარემოს შესაქმნელად. მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საკვანძო საკითხთა

ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირებით, ამ პოლიტიკას შეუძლია, ეფექტიანად შეუწყოს ხელი ონლაინუსაფრთხოების დადებით და პროაქტიულ კულტურას.

სლაიდი 87 - ბავშვების განათლება სასწავლო გეგმაში შესაბამისი საკითხების ინტეგრირებით

შესავალი:

სლაიდი ყურადღებას ამახვილებს ყოვლისმომცველი ონლაინუსაფრთხოების განათლების ინტეგრირებაზე სასწავლო გეგმაში, რაც ბავშვებს აღჭურავს ცოდნითა და უნარებით ციფრულ გარემოში უსაფრთხოდ ნავიგაციისთვის, პოტენციური რისკების ამოსაცნობად და ონლაინსაფრთხეებზე სათანადოდ რეაგირებისთვის.

საკვანძო საკითხები:

- **სასწავლო გეგმის დიზაინი**: ონლაინუსაფრთხოების სასწავლო გეგმა პროგრესული, მოქნილი, აქტუალური და საინტერესო უნდა იყოს მოსწავლეებისთვის.
- **სწავლების მიზნები:** ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ მოსწავლეებს ასწავლოთ ონლაინგარემოში უსაფრთხოდ მოქმედება, თავის დაცვა ზიანისგან და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თუ სხვათა უსაფრთხოებაზე.
- **ინტეგრირებასთან დაკავშირებული გამოწვევები**: სასწავლო გეგმის სხვა სფეროებთან შესაძლო კონკურენციის მიუხედავად, აუცილებელია ონლაინუსაფრთხოების, ციფრული წიგნიერებისა და მოქალაქეობის ინტეგრირება არსებულ საგნებში.
- **ჩარჩოები და რესურსები:** სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელების პროცესის ხელშესაწყობად, გამოიყენეთ საექსპერტო სქემები და ჩარჩოები, როგორიცაა UKCIS-ის ჩარჩო „განათლება დაკავშირებული სამყაროსთვის“.

დისკუსია:

კითხვა მცირე ჯგუფებში აქტივობებისთვის: აღწერეთ, როგორ ასწავლის თქვენი გარემო ბავშვებსა და ახალგაზრდებს ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, როდესაც საკითხი ეხება ონლაინუსაფრთხოებას? როგორ აფასებთ ამ პროცესის ეფექტიანობას?

- **ჩარჩოების დანერგვა**: განიხილეთ, თუ როგორ შეუძლიათ სკოლებს დადგენილი ჩარჩოების გამოყენება თავიანთი ონლაინუსაფრთხოების სასწავლო გეგმების სტრუქტურირებისთვის.
- **ინტეგრაციის სტრატეგიები:** გამოიკვლიეთ პრაქტიკული გზები ონლაინუსაფრთხოების თემების სხვადასხვა საგანში ინტეგრირებისათვის, არსებული სასწავლო გეგმის გადატვირთვის გარეშე.

დასკვნები: ყოვლისმომცველი ონლაინუსაფრთხოების სასწავლო გეგმის შემუშავება გადამწყვეტია იმისთვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ ციფრულ სამყაროში უსაფრთხო ნავიგაციის უნარ-ჩვევები. ონლაინუსაფრთხოების სხვადასხვა საგანში ინტეგრირებით და დადგენილი ჩარჩოების გამოყენებით, სკოლებს შეუძლიათ, საინტერესო და ეფექტიანი სასწავლო გამოცდილება შექმნან მოსწავლეებისთვის.

სლაიდი 88 – ბავშვების განათლება / სასწავლო გეგმის მაგალითი: გაეროს ITU SANGO რესურსი ბავშვთა ონლაინგარემოში დასაცავად

მიმოხილვა: ITU Sango რესურსი ბავშვთა ონლაინგარემოში დასაცავად[39] ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოა, რომელიც შეიმუშავა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირმა (ITU), ციფრულ სამყაროში ბავშვთა დასაცავად. ის ეხება სხვადასხვა ონლაინრისკს და შეიცავს შესაბამისად მორგებულ სახელმძღვანელო მითითებებს ბავშვების, მშობლების, მასწავლებლების, პოლიტიკის შემქმნელებისა და ინდუსტრიებისათვის.

საკვანძო საკითხები:

- **ბავშვები:**
  - **რესურსები:** ბავშვებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მითითებები ადაპტირებულია

39 https://www.itu-cop-guidelines.com/children

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის და წარმოდგენილია შესაფერისი ფორმატებით, როგორიცაა მოთხრობების კრებულები და სამუშაო წიგნები. ამ რესურსების მიზანია ბავშვების ციფრული უნარების გაუმჯობესება, უსაფრთხო ონლაინქცევის ხელშეწყობა და გაძლიერება, რათა თავიანთი უფლებებით ისარგებლონ ონლაინ.

- **სწავლა ისტორიებზე დაყრდნობით:** Sango, ბავშვთა ონლაინდაცვის ერთგვარი თილისმა, უმცროს მოსწავლეებს შესაბამისი სცენარებისა და კითხვების გამოყენებით ასწავლის თავიანთი ონლაინუფლებებისა და უსაფრთხოების შესახებ.

- **მშობლები და პედაგოგები:**
  - **სახელმძღვანელო მითითებები:** გაიდლაინები მშობლებსა და მასწავლებლებს ეხმარება, რომ გააცნობიერონ რისკები, რომლებსაც ბავშვები აწყდებიან ონლაინგარემოში და მათთვის შექმნან უსაფრთხო და გამაძლიერებელი გარემო. აქცენტი კეთდება ღია კომუნიკაციასა და მუდმივ დიალოგზე ბავშვებთან, მათ ონლაინგამოცდილებასთან დაკავშირებით.
  - **მხარდამჭერი სისტემები:** რეკომენდაციები მოიცავს მხარდამჭერი სისტემების შექმნას როგორც შინ, ისე სკოლებში, რათა სწრაფად და ეფექტიანად გადაიჭრას ონლაინუსაფრთხოების პრობლემები.

შემოთავაზებული გამოყენების წესები:

- **საგანმანათლებლო გარემო:** მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ მოთხრობების კრებულები/სამუშაო წიგნები და მოსწავლეებს საინტერესო ფორმით ასწავლონ ონლაინუსაფრთხოების შესახებ.
- **მშობელთა სემინარები:** სკოლებსა და სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ, სემინარები ჩაუტარონ მშობლებს (სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით) და დაეხმარონ მათ შვილების ონლაინაქტივობების უკეთ გაგებასა თუ მართვაში.

ITU Sango რესურსი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, უზრუნველყოფს რა სტრუქტურირებულ მიდგომას ციფრულ ეპოქაში ბავშვთა დაცვისადმი და, ამავდროულად, აძლიერებს მათ უფლებებსა და მონაწილეობას ონლაინგარემოში.

სლაიდი 89 - პროფესიული განვითარება

საკვანძო საკითხები:

- ტრენინგის საჭიროება: პროფესიული განვითარება ონლაინუსაფრთხოების საკითხებში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ სფეროდ განიხილება სკოლაში.
- **რეგულარული ტრენინგი:** სკოლის ყველა აკადემიურმა თუ არააკადემიურმა პერსონალმა უნდა გაიაროს რეგულარული (სულ მცირე, ყოველწლიური) ტრენინგი ონლაინუსაფრთხოების, ასევე, ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე რეაგირების შესახებ. პროგრამა შეიძლება ინტეგრირებული იყოს უფრო ფართო ტრენინგში უსაფრთხოებისა ან ბავშვთა დაცვის შესახებ.
- **უნარების აუდიტი:** ჩაატარეთ შემოწმება, რათა შეაფასოთ თანამშრომელთა ინფორმირებულობა ონლაინუსაფრთხოების საკითხებზე და დარწმუნდეთ, რომ ისინი აღჭურვილნი არიან შესაბამისი ცოდნით ამ საკითხთა ამოცნობის, მათზე რეაგირებისა და მათი გადაჭრისათვის.
- **სიღრმისეული ტრენინგი:** პერსონალის ზოგიერთმა წევრმა უნდა გაიაროს უფრო სიღრმისეული, აკრედიტებული ტრენინგი, რათა ხელი შეუწყოს თავის პროფესიულ განვითარებას ონლაინუსაფრთხოების საკითხებში, ასევე, ბავშვთა ონლაინ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე რეაგირებაში.

დისკუსია:

შეკითხვა აქტივობებისთვის მცირე ჯგუფებში: როგორ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს შესაბამისი და რეგულარულად განახლებადი ტრენინგი ონლაინუსაფრთხოების, ასევე, ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე რეაგირების შესახებ?

- **ტრენინგის მნიშვნელობა:** განიხილეთ მიმდინარე ტრენინგის აუცილებლობა, რათა პერსონალი ინფორმირებული იყოს ონლაინუსაფრთხოების უახლოეს პრაქტიკასა და პრობლემებზე.

- **მიდგომის თანმიმდევრულობა:** ხაზი გაუსვით, რომ აუცილებელია, პერსონალის ყველა წევრს ერთგვაროვანი გაგება და მიდგომა ჰქონდეს ონლაინუსაფრთხოებასთან მიმართებით.
- **მიზანმიმართული განვითარება:** განიხილეთ გარკვეული პერსონალისთვის უფრო სიღრმისეული ტრენინგის შეთავაზება, რათა გაუმჯობესდეს სკოლის საერთო შესაძლებლობები ონლაინუსაფრთხოების მართვაში.

დასკვნები: ინვესტირება ყველა თანამშრომლის რეგულარულ და ყოვლისმომცველ პროფესიულ განვითარებაში გადამწყვეტია უსაფრთხო ონლაინგარემოს შესანარჩუნებლად სკოლებში. თანმიმდევრული ტრენინგების ჩატარებით და პერსონალის ნაწილისთვის სიღრმისეული ტრენინგების შეთავაზებით, სკოლები შეძლებენ, ეფექტიანად მართონ და შეარბილონ ონლაინუსაფრთხოების რისკები.

სლაიდი 90 –დაცული ინფრასტრუქტურა

საკვანძო საკითხები:

- **ტექნიკური გადაწყვეტილებები:** ტექნიკური ზომების მიღება სასკოლო სისტემათა დასაცავად გარე საფრთხეებისა და ბოროტად გამოყენებისგან.
- **გაფილტვრა:** სკოლებმა ფილტრაციის სისტემათა გამოყენებით უნდა მართონ ონლაინკონტენტზე წვდომა, რათა თავიდან აიცილონ უკანონო ან შეუსაბამო შინაარსის მისაწდვომობა, როგორიცაა ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი სურათები, პორნოგრაფია და ტერორისტული მასალა.
- **მონიტორინგი:** ეფექტიანი მონიტორინგის სისტემამ უნდა გააფრთხილოს სკოლა არასათანადო გამოყენების შესახებ, რათა დროულად მოხდეს ინტერვენცია. ეს დაცვის კრიტიკული ასპექტია.

დისკუსია:

- **უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის დაბალანსება**: განიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ბალანსის პოვნა საზიანო კონტენტის შეზღუდვასა და განათლებისთვის აუცილებელ რესურსებზე წვდომას შორის.
- **პროაქტიული მონიტორინგი:** განიხილეთ პროაქტიული მონიტორინგის აუცილებლობა პოტენციურ პრობლემათა დროულად გამოსავლენად და მათზე რეაგირებისთვის.

დასკვნები: სკოლებში უსაფრთხო ციფრული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დასაცავად. ფილტრაციისა და მონიტორინგის ქმედითი სისტემების დანერგვა დაეხმარება სკოლას ონლაინკონტენტზე წვდომის მართვასა და მისი ბოროტად გამოყენების გამოვლენაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უფრო უსაფრთხო ონლაინგარემოს შექმნას სკოლის საზოგადოებისათვის.

სლაიდი 91 - SWIGGLE.ORG.UK - ბავშვზე მორგებული საძიებო სისტემა

ტრენერის შენიშვნები:

შესავალი Swiggle-ისათვის:

- ეს არის ბავშვზე მორგებული საძიებო სისტემის მაგალითი. არსებობს სხვა მსგავსი პლატფორმებიც.
- **Swiggle.org.uk**-ის საძიებო სისტემა შექმნილია სპეციალურად ბავშვებისთვის და უზრუნველყოფს უსაფრთხო და მოსახერხებელ ონლაინძიებას.
- შეიმუშავა South West Grid for Learning-მა (SWGfL) და მიზნად ისახავს ინტერნეტში ნავიგაციის უსაფრთხო გარემოს შექმნას ახალგაზრდა მომხმარებლებისთვის.

Swiggle-ის უპირატესობები:

- **უსაფრთხოების ფილტრები:**
    - Swiggle დახვეწილი უსაფრთხოების ფილტრებით ბლოკავს შეუსაბამო შინაარსის მასალას, რაც ბავშვებს იცავს საზიანო მასალების ზემოქმედებისგან.
    - საძიებო სისტემა აქტიურად ფილტრავს სექსუალურ გამოსახულებებს, ვიდეოებსა და

ვებსაიტებს, რაც მშობლებსა და მასწავლებლებს მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს.

- **აქცენტი განათლებაზე:**
  - პლატფორმა პრიორიტეტს ანიჭებს საგანმანათლებლო შინაარსს და ბავშვებს ამისა-მართებს ასაკის შესაბამისი, ინფორმაციული რესურსებისკენ.
  - სისტემა მხარს უჭერს სწავლას საგანმანათლებლო ვებსაიტების შემოთავაზებით, რაც მას ღირებულ ინსტრუმენტად აქცევს როგორც სკოლაში, ასევე სახლის პირობებში გამოყენებისათვის.
- **მომხმარებელზე ორიენტირებული დიზაინი:**
  - Swiggle-ს აქვს მარტივი, ინტუიციური ინტერფეისი, მორგებული ბავშვთა საჭიროებებზე, რაც ახალგაზრდა მომხმარებლებს უადვილებს ნავიგაციას.
  - დიზაინი ითვალისწინებს უფრო დიდ ღილაკებსა და მკაფიო ხატულებს, რითაც მიმზიდ-ველ და ხელმისაწვდომ ფორმატს სთავაზობს მომხმარებელს.
- **უსაფრთხო ონლაინნავიგაციის ჩვევების წახალისება:**
  - Swiggle-ის გამოყენებით, ბავშვები სწავლობენ პასუხისმგებლიან ძიებას ინტერნეტში და მცირე ასაკიდანვე გამოიმუშავებენ კარგ ციფრულ ჩვევებს.
  - საძიებო სისტემა რჩევებსა და მითითებებს იძლევა ინტერნეტის უსაფრთხო გამოყე-ნებაზე, რაც აძლიერებს ციფრული წიგნიერების უნარებს.
- **კონტროლის მექანიზმები მშობლებისა და პედაგოგებისთვის:**
  - Swiggle მშობლებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ინსტრუმენტებს ონლაინნავიგაციის გამოცდილების სამართავად და უსაფრთხოების კიდევ ერთი დონის დასამატებლად.
  - ამ მექანიზმებს შეუძლიათ გარკვეულ ვებსაიტებზე წვდომის შეზღუდვა და საძი-ებო აქტივობის გაკონტროლება, რაც აყალიბებს უსაფრთხო და კონტროლირებულ ონლაინგარემოს.

დასკვნები:

- **Swiggle.org.uk** მნიშვნელოვანი ნაბიჯია ბავშვების მიერ ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენე-ბისათვის, აერთიანებს რა უსაფრთხოების მძლავრ ზომებს საგანმანათლებლო მიზანთან.
- წაახალისეთ მშობლები და მასწავლებლები Swiggle-ის ჩასართავად შვილების/მოსწავლე-ების ყოველდღიურ ინტერნეტაქტივობებში, რათა ხელი შეუწყონ უსაფრთხო და საგანმა-ნათლებლო ონლაინგამოცდილების ჩამოყალიბებას.

სლაიდი 92 - TESTFILTERING.COM

მიმოხილვა: ამ ინსტრუმენტის მეშვეობით, სკოლები, ორგანიზაციები და ცალკეული პირები ამოწმებენ, რამდენად ეფექტიანად ბლოკავს მათი ინტერნეტფილტრები საზიანო და შეუსაბამო შინაარსის მასალას. სერვისი ხელს უწყობს შესაბამისობას სახელმძღვანელო მითითებებსა და რეგულაციებთან, რომელთა მიზანია მომხმარებელთა, განსაკუთრებით, ბავშვთა დაცვა ონლაინსაფრთხეებისგან.

ძირითადი მახასიათებლები:

- **კონტენტის დაბლოკვის შემოწმება:** პლატფორმა ამოწმებს, რამდენად ეფექტიანად ბლოკავს ფილტრები წვდომას უკანონო და შეუსაბამო კონტენტზე, როგორიცაა ბავშვებზე ძალადობის ამსახველი, ტერორიზმთან დაკავშირებული ან პორნოგრაფიული მასალები.
- **თვალის მიდევნება და შეტყობინება:** მომხმარებლებს შეუძლიათ, დროთა განმავლობაში თვალი მიადევნონ თავიანთი ფილტრების ტესტირების შედეგებს, რათა მონიტორინგი გაუწიონ ამ სისტემათა ეფექტიანობასა და თანმიმდევრულობას.
- **ავტომატიზაცია TestFiltering+-ით**: ამ პრემიუმსერვისის მეშვეობით, ტესტირების პროცესი ავტომატიზებულია მრავალ მოწყობილობაზე და რეალურ დროში იგზავნება გაფრთხილებები და შეტყობინებები. ის უწყვეტ მონიტორინგს უწევს პროცესს და ინარჩუნებს შესაბამისობას უსაფრთხოების სტანდარტებთან.

გამოყენების სფეროები:

- **სკოლები:** საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ, TestFiltering.com-ის გამოყენებით დარწმუნდნენ, რომ მათი ინტერნეტფილტრები იცავს მოსწავლეებს საზიანო შინაარსისგან, რაც აყალიბებს უსაფრთხო ონლაინ სასწავლო გარემოს.
- **ორგანიზაციები:** კომპანიებსა და ინსტიტუტებს შეუძლიათ, ინსტრუმენტის გამოყენებით შეინარჩუნონ ონლაინნავიგაციის უსაფრთხო გარემო თავიანთი თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის.
- **მშობლები და მეურვეები:** კერძო პირებს შეუძლიათ, სერვისის გამოყენებით დარწმუნდნენ, რომ სახლის ინტერნეტფილტრები ეფექტიანად იცავს მათ შვილებს შეუსაბამო შინაარსის მასალაზე წვდომისგან.

სარგებელი:

- **გამოყენების სიმარტივე**: სერვისი მოსახერხებელია მომხმარებლისთვის, რადგან მინიმალურ ტექნიკურ გამოცდილებას მოითხოვს ტესტების გასაშვებად და შედეგების განსამარტავად.
- **პროაქტიულად დაცვა**: ავტომატური მონიტორინგი გვეხმარება ფილტრაციის სისტემაში არსებულ ხარვეზთა სწრაფად იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, რაც უზრუნველყოფს მუდმივ დაცვას.
- **შესაბამისობა**: სისტემა ორგანიზაციებსა და სკოლებს ეხმარება მარეგულირებელ მოთხოვნათა შესრულებაში, რომლებიც უკავშირდება ინტერნეტის უსაფრთხოებასა და კონტენტის გაფილტვრას.

სლაიდი 93 - შეფასება

საკვანძო საკითხები:

- **უკუკავშირის შეგროვება:** რეგულარულად მოიძიეთ სკოლის სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები (მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჩათვლით), რათა დაწესებულების ონლაინდაცვის სტრატეგია იყოს ეფექტიანი და სწორად მუშაობდეს. ინფორმაციის შესაგროვებლად, გამოიყენეთ მოკლე ონლაინგამოკითხვები და სხვა ინსტრუმენტები.
- **ეფექტიანობის შეფასება:** შეაფასეთ ონლაინუსაფრთხოების სფეროში განათლების ეფექტიანობა, მოსწავლეთა ინფორმირებულობის განსაზღვრით სასწავლო პროცესის საკვანძო საკითხებზე. დაადგინეთ, რამდენად ღირებულად მიიჩნევენ მოსწავლეები მიღებულ განათლებას.
- **პერსონალის განვითარების საჭიროებები:** შეამოწმეთ პერსონალის ტრენინგის საჭიროებები, რათა დარწმუნდეთ, რომ პროფესიული განვითარების რესურსები ეფექტიანად გამოიყენება და ხელს უწყობს ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრას ონლაინუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებში.
- **თვალის მიდევნება პროგრესზე:** 360-გრადუსიანი უსაფრთხოების მსგავს ინსტრუმენტთა გამოყენებით, თვალი ადევნეთ სკოლის პროგრესს ონლაინუსაფრთხოებაში. ეს ხელს შეუწყობს პროგრესის გაზომვას, სტრატეგიის კორექტირებას და გაუმჯობესების ამსახველ მონაცემთა შენახვას.
- **წარმატების ხელშეწყობა:** წარმატებული შედეგების ამსახველი მონაცემები გამოიყენეთ ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიის პოპულარიზაციისთვის. აღნიშნეთ მიღწევები და მოიპოვეთ აკრედიტაცია, როგორიცაა ონლაინუსაფრთხოების ნიშანი „360 გრადუსით უსაფრთხო“, სკოლის ძალისხმევის აღიარებისა და დადასტურებისთვის.

დისკუსია:

- **უკუკავშირის მექანიზმები:** განიხილეთ სასკოლო საზოგადოების უწყვეტი უკუკავშირის მნიშვნელობა ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიის დახვეწასა და გაძლიერებაში.
- **ზემოქმედების გაზომვა:** შეისწავლეთ მეთოდები, რომლებითაც იზომება ონლაინუსაფრთხოების სწავლების ზეგავლენა მოსწავლეთა ქცევასა და დამოკიდებულებებზე.

- **პროფესიული განვითარება:** ხაზი გაუსვით პერსონალის მუდმივი ტრენინგისა და განვითარების საჭიროებას, ონლაინუსაფრთხოების ახალ გამოწვევათა გასათვალისწინებლად.

დასკვნები: ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიის რეგულარულად შეფასება უმნიშვნელოვანესია მისი ეფექტიანობისა და ადაპტირებულობისათვის. უკუკავშირის შეგროვებით, განათლების ზეგავლენის შეფასებით, პერსონალის მომზადების საჭიროებათა გათვალისწინებით და პროგრესზე თვალის მიდევნებით, სკოლებს შეუძლიათ, მუდმივად გაუმჯობესონ თავიანთი მიდგომა ციფრულ გარემოში მოსწავლეთა დასაცავად. წარმატების ხელშეწყობა და აღიარება ასევე განამტკიცებს ონლაინუსაფრთხოების მნიშვნელობას სკოლის საზოგადოებაში.

სლაიდი 94 - უსაფრთხო ინტერნეტის დღე (2025 წლის 11 თებერვალი)

მიმოხილვა: ამ ყოველწლიური ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს ონლაინტექნოლოგიებისა და მობილური ტელეფონების უსაფრთხო და პასუხისმგებლიან გამოყენებას, განსაკუთრებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ის ევროპაში 2004 წელს დაწესდა და მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. 2025 წელს ის 11 თებერვალს აღინიშნა.

უსაფრთხო ინტერნეტის დღისთვის შემოთავაზებული შესაძლებლობები:

- **განათლება და ინფორმირებულობა:**
  - **სკოლები და პედაგოგები:** სკოლებს შეუძლიათ, ეს აქტივობები ჩართონ თავიანთ სასწავლო გეგმაში, შეკრებების, საკლასო დისკუსიებისა და ინტერნეტუსაფრთხოებაზე ორიენტირებული სპეციალური პროექტების მეშვეობით. დისკუსიების მხარდასაჭერად, ხელმისაწვდომია ისეთი რესურსები, როგორიცაა გაკვეთილის გეგმები, თამაშები და აქტივობები.
  - **მშობლები და მეურვეები:** მშობლებს შეუძლიათ, ამ დღეს შვილებთან მნიშვნელოვანი საუბრები წარმართონ ინტერნეტუსაფრთხოების შესახებ (არსებული რესურსების გამოყენებით) და განამტკიცონ უსაფრთხო ონლაინქცევა შინ.
- **საზოგადოების ჩართულობა:**
  - **სემინარები და ღონისძიებები:** სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ, სემინარებსა და ღონისძიებებს უმასპინძლონ, რათა საზოგადოება გაანათლონ უსაფრთხო ინტერნეტპრაქტიკების შესახებ. ეს შეიძლება მოიცავდეს სესიებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის (მცირეწლოვანი ბავშვებით დაწყებული და უფროსებით დამთავრებული), რომლებიც შეეხება კონკრეტულ ონლაინრისკებსა და უსაფრთხოების ზომებს.
  - **ერთობლივი პროექტები:** წაახალისეთ თანამშრომლობა სკოლებს, ადგილობრივ ბიზნესსა და სათემო ჯგუფებს შორის, ინტერნეტის უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პროგრამების შესამუშავებლად.
- **ინდუსტრია და პოლიტიკის შემქმნელები:**
  - **ინდუსტრიის ინიციატივები:** ტექნოლოგიურ კომპანიებსა და ონლაინპლატფორმებს შეუძლიათ, უსაფრთხო ინტერნეტის დღე გამოიყენონ უსაფრთხოების ახალი ფუნქციების გასაშვებად, არსებულ ინსტრუმენტთა პოპულარიზაციის მიზნით და მომხმარებლებთან ინტერნეტუსაფრთხოების მნიშვნელობაზე კომუნიკაციისთვის.
  - **პოლიტიკის ადვოკატირება:** პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ, ეს დღე გამოიყენონ შესაბამისი კანონმდებლობის შემოსაღებად ან გასაძლიერებლად, რომლის მიზანიც იქნება ბავშვთა დაცვა ონლაინ და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობა.
- **პერსონალური განვითარება:**
  - **კერძო პირები:** ყველას შეუძლია პროცესში მონაწილეობა ონლაინუსაფრთხოების უახლესი ინფორმაციის გაცნობით, ინტერნეტით სარგებლობის საკუთარი გზების გაანალიზებით და ვალდებულების აღებით, რომ ინტერნეტი უფრო უსაფრთხო ადგილად აქციოს თავისი პასუხისმგებელიანი ქცევით ონლაინგარემოში.
- **გლობალური ჩართულობა:**
  - **საერთაშორისო მონაწილეობა:** უსაფრთხო ინტერნეტის დღე ხელს უწყობს გლობალურ დიალოგს ონლაინუსაფრთხოებაზე, ისეთი ღონისძიებებითა და აქტივობებით, რომლებიც ხაზს უსვამს კოლექტიური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას უსაფრთხო

ინტერნეტის შესაქმნელად. ეს ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

უსაფრთხო ინტერნეტის დღე უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, სკოლებს, ორგანიზაციებსა და პოლიტიკოსებს, რომ გაერთიანდნენ და გააძლიერონ უსაფრთხო ციფრული სამყარო. ხელმისაწვდომი რესურსებისა და აქტივობების გამოყენებით, მონაწილეებს შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ უსაფრთხოებისა და პასუხისმგებლიანი კულტურის დანერგვაში ონლაინ.

ინფორმაციის, რესურსებისა და ჩასართავი გზების უფრო დეტალურად გასაცნობად, შეგიძლიათ, ეწვიოთ უსაფრთხო ინტერნეტის დღის ოფიციალურ საიტს (Safer Internet Day).

10. ონლაინუსაფრთხოების სტრატეგიები მშობლებისთვის

სლაიდი 95

ამ ნაწილის მიზანია მშობლებისთვის ხელმისაწვდომი სტრატეგიების, ინსტრუმენტებისა და რესურსების შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც მათ ეფექტიანად უნდა მართონ ტექნოლოგიათა გამოყენება თავიანთ ოჯახებში და შექმნან სწორი გარემო. სლაიდი ყურადღებას ამახვილებს მშობელთა ჩართულობაზე პრეზენტაციების საშუალებით და ტრენერებს სთავაზობს პრაქტიკულ ტექნიკებს ონლაინუსაფრთხოების ინსტრუმენტებზე ეფექტიანი კომუნიკაციისთვის. შედეგად, იგი აძლიერებს მშობელთა უნარებს ონლაინგარემოში შვილების ეფექტიანად დასაცავად და წაახალისებს თანამშრომლობით მიდგომას ციფრული კეთილდღეობის მიმართ.

სლაიდი 96

დღევანდელ ციფრულ სამყაროში ბავშვები და ახალგაზრდები უფრო მეტად არიან დაკავშირებულნი, ვიდრე ოდესმე. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი უზარმაზარ შესაძლებლობებს გვთავაზობს სწავლის, სოციალური ინტერაქციისა და გართობის თვალსაზრისით, ის პოტენციურ საფრთხეებსაც უქმნის ახალგაზრდა მომხმარებლებს, მათ შორის, ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის (შეხება შეუსაბამო შინაარსის მასალასა და ონლაინმოძალადეებთან), კიბერბულინგისა და კონფიდენციალურობის კუთხით. მნიშვნელოვანია, მშობლებს ესმოდეთ ონლაინუსაფრთხოება, რათა თავიანთ შვილებს დაეხმარონ ამ რისკებთან გამკლავებაში და დაიცვან ისინი ზიანისგან. ონლაინრისკებისა და უსაფრთხო პრაქტიკის შესახებ ცოდნით, მშობლებს შეეძლებათ ღია და ინფორმირებულ დისკუსიაში ჩართვა შვილებთან, შესაბამისი საზღვრების დაწესება და ინსტრუმენტების/რესურსების გამოყენება უფრო უსაფრთხო ონლაინგარემოს შესაქმნელად. ეს პროაქტიული მიდგომა არა მხოლოდ იცავს ბავშვთა კეთილდღეობას, არამედ საშუალებას აძლევს მათ, პასუხისმგებლობით და თავდაჯერებულად გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები.

ეს ნაწილი წარმოგიდგენთ ასპექტებს, რომლებიც ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს. სლაიდი, როგორც განმანათლებელ და გამაძლიერებელ აქტივობათა მხარდამჭერი ინსტრუმენტი, განკუთვნილია ტრენინგის იმ მონაწილეთათვის, რომლებიც ურთიერთობენ მშობლებთან. მონაწილეებმა ის შეიძლება გამოიყენონ საკუთარი კოლეგების მოსამზადებელ რესურსადაც.

სლაიდი 97 - სახლის მოწყობილობებისა და მათი წვდომის წერტილების გაგება

შესავალი: დღევანდელ ციფრულ ეპოქაში სახლები აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული უამრავი მოწყობილობით. ეფექტიანი ონლაინუსაფრთხოებისთვის, მნიშვნელოვანია, მშობლებმა სათანადოდ იცოდნენ ოჯახში არსებული ყველა ასეთი მოწყობილობისა და მათი წვდომის წერტილების შესახებ. ეს ნაწილი დაგეხმარებათ ყველა ოთახში არსებულ მოწყობილობათა იდენტიფიცირებასა და მართვაში.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: მშობელთა აღჭურვა ცოდნით, რათა შეძლონ ინტერნეტთან დაკავშირებული ყველა მოწყობილობის იდენტიფიცირება და იცოდნენ მათი წვდომის წერტილები, ონლაინუსაფრთხოების გასაძლიერებლად.

საკვანძო საკითხები:

- **მისაღები ოთახი:**
  - **მოწყობილობები**: ჭკვიანი ტელევიზორები, სათამაშო კონსოლები (მაგ. Xbox, PlayStation), სტრიმინგის მოწყობილობები (მაგ. Roku, Amazon Fire Stick), ჭკვიანი დინამიკები (მაგ. Amazon Echo, Google Home) და ინტერნეტთან დაკავშირებული სახლის უსაფრთხოების სისტემები.
  - **წვდომის წერტილები**: ეს მოწყობილობები ხშირად დაერთებულია სახლის Wi-Fi ქსელთან და შეიძლება, ოჯახის რამდენიმე წევრმა გამოიყენოს, მათ შორის ბავშვებმა.
- **სამზარეულო:**
  - **მოწყობილობები:** ჭკვიანი მაცივრები, ჭკვიანი ღუმელები, დაკავშირებული ყავის მანქანები და ჭკვიანი განათების სისტემები.
  - **წვდომის წერტილები**: მიუხედავად იმისა, რომ ეს მოწყობილობები შეიძლება უვნებელი ჩანდეს, ისინი ხშირად უკავშირდებიან ინტერნეტს განახლებისა და დისტანციურად მართვისათვის, რაც, პოტენციურად, არაავტორიზებული წვდომის წერტილად აქცევს მათ.
- **კაბინეტი**:
  - **მოწყობილობები**: ლეპტოპები, დესკტოპკომპიუტერები, პრინტერები, სკანერები და მარშრუტიზატორები.
  - **წვდომის წერტილები:** ეს მოწყობილობები, სავარაუდოდ, სენსიტიურ ინფორმაციას შეიცავენ და პირდაპირი წვდომას მოიპოვებენ ინტერნეტზე. შესაბამისად, მათი უსაფრთხოება გადამწყვეტია პირადი და პროფესიული მონაცემების დასაცავად.
- **ბავშვების საძინებლები:**
  - **მოწყობილობები**: პლანშეტები, სმარტფონები, ლეპტოპები, სათამაშო კონსოლები და ჭკვიანი სათამაშოები.
  - წვდომის წერტილები: ბავშვები ხშირად იყენებენ ამ მოწყობილობებს გასართობად და განათლებისთვის. მნიშვნელოვანია მონიტორინგი მათ გამოყენებაზე, ასევე, მშობელთა კონტროლის აპლიკაციების გამოყენება, რათა ბავშვები დაცულნი იყვნენ ონლაინრისკებისგან.
- **მშობელთა საძინებლები:**
  - **მოწყობილობები**: სმარტფონები, ტაბლეტები, ჭკვიანი ტელევიზორები და ჭკვიანი სახლის ჰაბები.
  - **წვდომის წერტილები**: ეს მოწყობილობები გამოიყენება პირადი კომუნიკაციისა და გართობისთვის. დარწმუნდით, რომ მათზე დაყენებულია ძლიერი პაროლები და ჩართულია კონფიდენციალურობის პარამეტრები.
- **ავტოფარეხი და გარე სივრცეები:**
  - **მოწყობილობები**: ინტერნეტთან დაკავშირებული საავტომობილო სისტემები, ჭკვიანი ავტოფარეხის გასაღებები და გარე უსაფრთხოების კამერები.
  - **წვდომის წერტილები**: ყველა ეს მოწყობილობა ზრდის კომფორტსა და უსაფრთხოებას, მაგრამ დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისაგან.

აქტივობების ეტაპი:

- **ინვენტარიზაცია:** თითოეულ ოთახში აღრიცხეთ ინტერნეტთან დაკავშირებული ყველა მოწყობილობა. შეადგინეთ სია და ჩაინიშნეთ მოწყობილობის ტიპი, მდებარეობა და ძირითადი მომხმარებლები.
- **უსაფრთხოების შემოწმება**: შეამოწმეთ თითოეული მოწყობილობის უსაფრთხოების პარამეტრები. დარწმუნდით, რომ მათ აქვთ ძლიერი, უნიკალური პაროლები და განახლებული პროგრამული უზრუნველყოფა.
- **წვდომის კონტროლი:** აამოქმედეთ მშობლის კონტროლის პარამეტრები და დააწესეთ წვდომის შესაბამისი დონეები ბავშვებისთვის. რეგულარულად გადახედეთ და განაახლეთ ეს პარამეტრები.

- **ქსელის სეგმენტაცია**: განიხილეთ სტუმართა ქსელის დაყენება ნაკლებად დაცულ მოწყობილობებზე, მთავარი ქსელი კი დაიტოვეთ მნიშვნელოვანი მოწყობილობებისთვის, როგორიცაა კომპიუტერები და სმარტფონები.

დისკუსია:

- წაახალისეთ მშობლები, რომ საკუთარი გამოცდილება და გამოწვევები გაგიზიარონ ინტერნეტთან დაკავშირებული სხვადასხვა მოწყობილობის მართვაში.
- იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარულ განახლებას რისკებისგან დაცვისათვის.
- გამოიკვლიეთ ინსტრუმენტები და რესურსები ინტერნეტთან დაკავშირებულ მოწყობილობათა მართვისა და მონიტორინგისთვის.

დასკვნები: თქვენს სახლში არსებული მრავალფეროვანი მოწყობილობებისა და მათი წვდომის წერტილების გაგებით, შეგიძლიათ, უფრო უსაფრთხო ციფრული გარემო შეუქმნათ საკუთარ ოჯახს. თითოეული მოწყობილობის უსაფრთხოების პარამეტრების რეგულარულად გადახედვა და განახლება პროაქტიული ნაბიჯია თქვენი ოჯახის დასაცავად ონლაინსაფრთხეებისგან.

სლაიდი 98 - სახლის მოწყობილობებზე გამოყენებული სერვისების გაგება

შესავალი: ოჯახში სხვადასხვა დაკავშირებული მოწყობილობის იდენტიფიცირების შემდეგ, მომდევნო კრიტიკული ნაბიჯია, გაიგოთ, რომელ სერვისებზე აქვთ წვდომა ამ მოწყობილობებს. ეს დაგეხმარებათ, რომ ეფექტიანად აკონტროლოთ და მართოთ შვილების ონლაინაქტივობები. სლაიდი პრაქტიკულ მითითებებს მოგაწვდით იმ სერვისების დასადგენად, რომლებზეც წვდომა აქვს თითოეულ მოწყობილობას.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: მშობლების აღჭურვა სტრატეგიებით იმ ონლაინსერვისთა გამოსავლენად და მონიტორინგისთვის, რომლებსაც მათი შვილები იყენებენ სხვადასხვა მოწყობილობის მეშვეობით.

საკვანძო საკითხები:

- **მოგზაურობის დაწყება:**
  - **ისაუბრეთ ბავშვებთან:** დაიწყეთ შვილებთან ურთიერთობით. სთხოვეთ, გაჩვენონ აპლიკაციები და ვებსაიტები, რომლებსაც ხშირად იყენებენ თითოეულ მოწყობილობაზე. ეს დაგეხმარებათ არა მხოლოდ მათი ონლაინჩვევების გაგებაში, არამედ საუბრის დაწყებაშიც ონლაინუსაფრთხოების შესახებ.
- **პოპულარული სერვისები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება:**
  - **სოციალური მედია:** Facebook, Instagram, Snapchat, Twitter, TikTok
  - **ვიდეოპლატფორმები:** YouTube, Netflix, Amazon Prime Video
  - **თამაშები**: Xbox Live, Fortnite, Roblox
  - **შეტყობინებების აპლიკაციები:** WhatsApp, Messenger
  - **მუსიკა და გართობა:** Spotify, Apple Music
  - **საგანმანათლებლო აპლიკაციები:** Google Classroom, Khan Academy
  - **სხვა**: Pinterest, Google Play Store, App Store
- **ანგარიში და შესასვლელი ინფორმაცია:**
  - **შესასვლელი დეტალების მნიშვნელობა**: მნიშვნელოვანია, იცოდეთ, რომელი სერვისები მოითხოვს შესასვლელ ინფორმაციას. მათ შორის, იცოდეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი და დააყენოთ მშობლის კონტროლის ინსტრუმენტები, სადაც შესაძლებელია.
  - **კონფიდენციალურობის პარამეტრები**: შეამოწმეთ და დაარეგულირეთ კონფიდენციალურობის პარამეტრები ამ სერვისებზე, რათა გაზარდოთ უსაფრთხოება და კონტროლი, თუ რა ინფორმაცია გაზიარდება და ვისთან.

- **რეგულარული მონიტორინგი:**
    - **მუდმივი დიალოგი**: რეგულარულად გადაამოწმეთ შვილებთან ამ სერვისებით სარგებლობა. წაახალისეთ, რომ გაგიზიარონ ინფორმაცია ნებისმიერ ახალ აპლიკაციასა ან ვებსაიტზე, რომლებსაც იყენებენ.
    - **აქტივობის ჟურნალები**: გამოიყენეთ მოწყობილობისა და სერვისის აქტივობათა ჟურნალები, რათა მონიტორინგი გაუწიოთ მათ გამოყენებას. ეს დაგეხმარებათ ნებისმიერი უჩვეულო ან პოტენციურად სახიფათო ქცევის იდენტიფიცირებაში.
- **საზღვრების დადგენა:**
    - **გამოყენების ინსტრუქციები:** ჩამოაყალიბეთ მკაფიო წესები ამ სერვისებით სარგებლობისათვის, მათ შორის, განსაზღვრეთ დროის ლიმიტი და შესაბამისი კონტენტი.
    - **მშობლის კონტროლის ფუნქციები:** გამოიყენეთ აპლიკაციებსა და მოწყობილობებში ჩაშენებული მშობლის კონტროლის ფუნქციები, რათა შეზღუდოთ წვდომა შეუსაბამო შინაარსის მასალაზე და მართოთ ეკრანთან გატარებული დრო.

აქტივობების ეტაპი:

- **ინტერაქტიური სესია**: ჩაატარეთ ინტერაქტიური სესია შვილებთან, რომლის ფარგლებშიც გიამბობენ თავიანთ საყვარელ აპლიკაციებსა და ვებსაიტებზე. აქციეთ ეს სახალისო და საგანმანათლებლო გამოცდილებად.
- **პარამეტრების გადამოწმება:** ერთად გადაამოწმეთ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პარამეტრები თითოეულ სერვისზე და აუხსენით მათი მნიშვნელობა პირადი ინფორმაციის დაცვისათვის.
- **კონტროლის ფუნქციების დაყენება**: მოწყობილობებსა და სერვისებზე დააყენეთ მშობელთა კონტროლის ფუნქციები, რათა შექმნათ უსაფრთხო ონლაინგარემო.

დისკუსია:

- გააზიარეთ გამოცდილება ბავშვების მიერ გამოყენებული სერვისების მართვისა და გაგების შესახებ.
- იმსჯელეთ ამ სერვისების მონიტორინგში არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებზე.

დასკვნები: იმის გაგება, თუ რომელ სერვისებზე აქვთ წვდომა ბავშვებს თავიანთი მოწყობილობებით, გადამწყვეტია უსაფრთხო ონლაინგარემოს შესანარჩუნებლად. კომუნიკაციით, მოწყობილობათა გამოყენებაზე მონიტორინგითა და შესაბამისი საზღვრების დაწესებით, თქვენ შეძლებთ, დაეხმაროთ შვილებს ონლაინრისკებისგან თავის დაცვაში და პასუხისმგებლიან ციფრულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში.

სლაიდი 99 - ონლაინუსაფრთხოების კონტროლის გაგება და გამოყენება

შესავალი: ეს ნაწილი მშობლებს აცნობს ონლაინუსაფრთხოების კონტროლის ძირითად მექანიზმებს საკუთარი შვილებისა და ოჯახის დასაცავად. ტექნიკური ცოდნის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთევროპელ მშობლებს შორის, სიცხადე და სიმარტივე უმნიშვნელოვანესია. ჩვენ მიმოვიხილავთ ოჯახის წევრთა შორის სერვისების გაზიარების პარამეტრებს, მშობლის კონტროლის ფუნქციებს, პაროლის უსაფრთხოებას, ანტივირუსულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ა.შ.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: მშობელთა აღჭურვა ცოდნითა და ინსტრუმენტებით, რათა ეფექტიანად გამოიყენონ ონლაინუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები და თავიანთ ოჯახებს შეუქმნან უსაფრთხო ციფრული გარემო.

საკვანძო საკითხები:

- **სერვისების გაზიარება ოჯახის წევრთა შორის და ანგარიშის მართვა:**
    - **ოჯახის წევრთა შორის სერვისების გაზიარების ფუნქციები**: ახსენით, როგორ მუშაობს ოჯახის წევრთა საზიარო წვდომა ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Apple და Google. ეს მშობლებს საშუალებას აძლევს, შვილებს გაუზიარონ აპლიკაციები, მუსიკა და სხვა

მასალა და, ამავდროულად, აკონტროლონ, რა კონტენტზე აქვთ წვდომა მათ შვილებს.

  - **მომხმარებლის ანგარიშები:** წაახალისეთ მშობლები, რომ შექმნან მომხმარებლის ინდივიდუალური ანგარიშები ოჯახის თითოეული წევრისთვის. ეს საშუალებას იძლევა, რომ თითოეულ მომხმარებელს ჰქონდეს მის საჭიროებებზე მორგებული წვდომა და კონტროლის მექანიზმები.

- **მშობლის კონტროლის ფუნქციები:**
  - **კონტროლი მოწყობილობის დონეზე:** აჩვენეთ, როგორ უნდა დააყენონ მშობლის კონტროლის ფუნქციები სხვადასხვა მოწყობილობაზე, მათ შორის სმარტფონებზე, ტაბლეტებსა და სათამაშო კონსოლებზე. ასევე ასწავლეთ, სად უნდა მოძებნონ ეს პარამეტრები პოპულარულ მოწყობილობებზე.
  - **კონტენტის ფილტრები**: განიხილეთ, როგორ უნდა გამოიყენონ ფილტრები შეუსაბამო ვებსაიტებისა და აპლიკაციების დასაბლოკად. მაგალითად მოუყვანეთ სერვისები, როგორიცაა YouTube Kids, Netflix, ასევე, ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლები (მაგ. BT, Sky, TalkTalk, Virgin Media).
  - **საეკრანო დროის ლიმიტები:** ახსენით, როგორ უნდა დააწესონ საეკრანო დროის ლიმიტები, რათა გააკონტროლონ, თუ რამდენ ხანს შეუძლიათ ბავშვებს თავიანთი მოწყობილობების გამოყენება ყოველდღიურად. მიმოიხილეთ ონლაინ და რეალურ გარემოში აქტივობათა დაბალანსების უპირატესობები.

- **პაროლის უსაფრთხოება:**
  - **ძლიერი პაროლების შექმნა**: ხაზი გაუსვით თითოეული ანგარიშისთვის ძლიერი, უნიკალური პაროლის გამოყენებას. მიეცით რჩევები რთული პაროლების შექმნასა და რთული ფრაზების გამოყენებაზე.
  - **პაროლის მენეჯერები**: წარადგინეთ პაროლის მენეჯერის კონცეფცია, რომელსაც შეუძლია, უსაფრთხოდ შეინახოს და შექმნას პაროლები. რეკომენდაცია გაუწიეთ პოპულარულ ინსტრუმენტებს, როგორიცაა LastPass ან 1Password.
  - **ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია (2FA)**: ახსენით, რა არის 2FA და როგორ ქმნის იგი უსაფრთხოების დამატებით დონეს. წაახალისეთ მშობლები, რომ ეს საშუალება დაამატონ ყველა მნიშვნელოვან ანგარიშს.

- **ანტივირუსული და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფა:**
  - **ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის მნიშვნელობა**: ხაზი გაუსვით ანტივირუსული პროგრამის გამოყენებას მოწყობილობათა დასაცავად მავნე პროგრამებისა და ვირუსებისგან. ურჩიეთ სანდო ანტივირუსული პროგრამები.
  - **რეგულარული განახლებები:** ხაზი გაუსვით ყველა პროგრამული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემის განახლების მნიშვნელობას უსაფრთხოებისათვის.
  - **უსაფრთხო ონლაინნავიგაციის პრაქტიკა**: წაახალისეთ უსაფრთხო, დაშიფრული კავშირების გამოყენება (მოძებნეთ „https://“ URL-ში) და გააფრთხილეთ, არ ჩამოტვირთონ ფაილები და არ გახსნან ბმულები უცნობი წყაროებში.

- **სერვისის მიმწოდებლის ინსტრუმენტთა გამოყენება:**
  - **მშობლის კონტროლის ინსტრუმენტები:** ინტერნეტმომსახურების ბევრი მიმწოდებელი გვთავაზობს მშობლის კონტროლის ჩაშენებულ ინსტრუმენტებს. აუხსენით, როგორ უნდა მოძებნონ და მომართონ ეს პარამეტრები ვებსაიტების ან მომხმარებელთა მხარდამჭერი სერვისების საშუალებით.
  - **უსაფრთხო ძიების პარამეტრები**: აჩვენეთ, როგორ უნდა ჩართონ უსაფრთხო ძიების ფუნქციები სხვადასხვა საძიებო სისტემაში, როგორიცაა Google და Bing, სექსუალური შინაარსის მასალების გასაფილტრად.

დისკუსია

- გაუზიარეთ გამოცდილება ონლაინუსაფრთხოების კონტროლის დანერგვისა და მართვის შესახებ.

- განიხილეთ მშობელთა წინაშე არსებული საერთო გამოწვევები და მათი დაძლევის პრაქტიკული გზები.

დასკვნები: ონლაინუსაფრთხოების კონტროლის სხვადასხვა მექანიზმის გაგებითა და გამოყენებით, მშობლები შეძლებენ, მნიშვნელოვნად გააძლიერონ ოჯახის ციფრული უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ამ პარამეტრების რეგულარულად გადახედვა და განახლება დაეხმარება ბავშვთა უსაფრთხოებას ონლაინსამყაროში ნავიგაციისას.

სლაიდი 100 - ბავშვთა ონლაინკვალის გაგება და მართვა

შესავალი: ციფრულ ეპოქაში ბავშვები ონლაინკვალს ტოვებენ ინტერნეტში ძიებით, სოციალურ მედიასთან ურთიერთქმედებითა და სხვა ონლაინაქტივობებით. გაგება, თუ რას ეძებენ ბავშვები, რა კონტენტს ნახულობენ და რას ლაპარაკობენ მათზე ინტერნეტში, არსებითად მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობისთვის. ეს ნაწილი დაგეხმარებათ თქვენი შვილის ონლაინკვალის მონიტორინგსა და ეფექტიანად მართვაში.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: მშობლების აღჭურვა ცოდნითა და ინსტრუმენტებით, რათა აკონტროლონ და მართონ შვილების ონლაინაქტივობები და დაიცვან მათი უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

საკვანძო საკითხები:

- **ონლაინკვალის გაგება:**
  - **ძიების ისტორია**: განმარტეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი, ვიცოდეთ, რას ეძებენ ბავშვები ინტერნეტში, მათ შორის, ვიცოდეთ საძიებო სისტემები (როგორიცაა Google) და ბავშვზე მორგებული ალტერნატივები (როგორიცაა Swiggle).
  - **ონლაინნავიგაციის ისტორია:** ხაზი გაუსვით, რომ აუცილებელია ბავშვების მიერ მონახულებული ვებსაიტებისა და კონტენტის გადახედვა. ეს ხელს უწყობს მათი ინტერესების გააზრებას, ასევე, მიუღებელ კონტენტზე წვდომისა და მისი პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირებას.
- **სოციალური მედიით სარგებლობა:**
  - **პროფილები და პოსტები**: განიხილეთ, რა მნიშვნელობა აქვს მონიტორინგს ბავშვთა სოციალური მედიის პროფილებზე, ასევე, მათ პოსტებსა და ინტერაქციაზე. განმარტეთ, რომ გაზიარებული ინფორმაცია შეიძლება მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს ფართო აუდიტორიისათვის.
  - **კონფიდენციალურობის პარამეტრები**: ასწავლეთ მშობლებს, როგორ უნდა დაარეგულირონ კონფიდენციალურობის პარამეტრები სოციალური მედიის პლატფორმებზე, რათა გააკონტროლონ, თუ ვის შეუძლია მათი შვილის პოსტებისა და პირადი ინფორმაციის ნახვა.
- **ონლაინრეპუტაცია:**
  - **ციფრული კვალი**: ახსენით, როგორ უწყობს ხელს ონლაინსივრცეში გამოქვეყნებული კომენტარები, ფოტოები და ვიდეოები ბავშვის ციფრული კვალის შექმნას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის რეპუტაციაზე.
  - **მოძებნეთ ბავშვის სახელი:** წაახალისეთ მშობლები, რომ პერიოდულად მოიძიონ შვილების სახელები ინტერნეტში, რათა ნახონ, რა ინფორმაციაა საჯაროდ ხელმისაწვდომი მათ შესახებ და გადაწყვიტონ ნებისმიერი პრობლემა.
- **ონლაინკვალის მართვა:**
  - **რეგულარული მონიტორინგი**: ურჩიეთ, რეგულარულად შეამოწმონ ბავშვის ძიებისა და ონლაინნავიგაციის ისტორია და, ამ მიზნით, გამოიყენონ ჩაშენებული ბრაუზერის ინსტრუმენტები, ან მშობლისთვის განკუთვნილი კონტროლის პროგრამები.
  - **საგანმანათლებლო საუბრები**: ესაუბრეთ ბავშვებს მათი ციფრული კვალის მნიშვნელობასა და ონლაინაქტივობების გრძელვადიან ზეგავლენაზე.
  - **პოზიტიური კვალი**: წაახალისეთ აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიტიური ონლაინკვალის შექმნას, როგორიცაა საგანმანათლებლო კონტენტის შემუშავება, პოზიტიურ ონლაინჯგუფებში მონაწილეობა და მიღწევათა დემონსტრირება.

დისკუსია:

- გაუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება ბავშვთა ონლაინაქტივობებისა და კვალის მართვაზე.
- განიხილეთ გამოწვევები, რომლებსაც აწყდებით ბავშვთა ონლაინქცევის მონიტორინგისა და მართვის პროცესში, ასევე, იმსჯელეთ მათი გადაჭრის პრაქტიკულ გზებზე.

დასკვნები: ბავშვების ონლაინკვალის გაგება და მართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი კონფიდენციალურობისა და რეპუტაციის დასაცავად. ონლაინაქტივობებზე რეგულარული მონიტორინგით, კონფიდენციალურობის პარამეტრების დარეგულირებით და საგანმანათლებლო საუბრების წარმართვით, მშობლებს შეუძლიათ, დაეხმარონ შვილებს ციფრულ სამყაროში უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით ნავიგაციაში.

სლაიდი 101 - ონლაინპრობლემაზე შეტყობინების მექანიზმთა გაცნობა

შესავალი: ონლაინპრობლემის შეტყობინება გადამწყვეტი ნაბიჯია უსაფრთხო და პატივისცემაზე ორიენტირებული ციფრული გარემოს შესანარჩუნებლად. მშობლებმა და ბავშვებმა უნდა იცოდნენ, როგორ უნდა შეატყობინონ საზიანო კონტენტის, კიბერბულინგისა და ონლაინუსაფრთხოების სხვა გამოწვევების შესახებ. ამ ნაწილში მიმოხილულია სხვადასხვა პლატფორმაზე არსებულ გამოწვევათა შეტყობინების საკითხები და ის ძირითადი ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ ონლაინუსაფრთხოებას.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: მშობლების აღჭურვა ცოდნითა და რესურსებით, რათა ეფექტიანად შეატყობინონ საზიანო ონლაინკონტენტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სწრაფ ქმედებებს და საკითხის დროულად გადაჭრას.

საკვანძო საკითხები:

- **შეტყობინების წარდგენის მექანიზმები პლატფორმების მიხედვით:**
  - **სოციალური მედიის პლატფორმები**: თითოეულ სოციალურ მედიაპლატფორმას აქვს საკუთარი შეტყობინების მექანიზმები. გაეცანით ამ პროცესს პოპულარული პლატფორმების კონტექსტში:
- **Facebook**: გამოიყენეთ ღილაკი „შეტყობინება“, რომელიც ახლავს პოსტებს, პროფილებსა ან კომენტარებს, შეუსაბამო კონტენტის შესატყობინებლად.
- **Instagram**: დააჭირეთ ხელი სამ წერტილს პოსტსა ან პროფილზე და აირჩიეთ „შეტყობინება“, კონტენტის ან ანგარიშის დროშით მოსანიშნად.
- **X/Twitter**: დააწკაპუნეთ ქვემოთ მიმართულ ისარს ან სამწერტილს ტვიტზე, აირჩიეთ „Tweet-ის შეტყობინება“ და აცნობეთ საზიანო მასალის შესახებ.
- **YouTube**: დააწკაპუნეთ სამწერტილს ვიდეოს ქვეშ და აირჩიეთ „შეტყობინება“, შეუსაბამო ვიდეოს დროშით მოსანიშნად.
  - **ონალაინთამაშებისა და პირდაპირი ტრანსლაციის სერვისები**: გაეცანით შეტყობინების ინსტრუმენტებს ონლაინთამაშების სერვისებსა (როგორიცაა Xbox Live) და სტრიმინგის პლატფორმებზე (როგორიცაა Twitch და Netflix).
- **ძირითადი ორგანიზაციები**: საქართველოს შემუშავებული აქვს კიბერუსაფრთხოების 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგია მისი სამოქმედო გეგმა. ეს არის 3-წლიანი გეგმა, თუ როგორ უნდა გახდეს საქართველო ძლიერი, დაცული და უსაფრთხო ქვეყანა კიბერსივრცეში. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა როგორც საჯარო უწყებების, ისე კერძო სექტორის (აკადემიური წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები) აქტიური ჩართულობით, ასევე, ევროპული საუკეთესო პრაქტიკისა და ადგილობრივი ექსპერტიზის გათვალისწინებით.

ამ დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფომ, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, მიზნად დაისახა:

- სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა უნარ-ჩვევების განვითარება და განათლების ამაღლება კიბერსივრცეში უსაფრთხოდ და დაცულად ფუნქციონირებისთვის.
- კიბერინციდენტებისა და კიბერსაფრთხეების დროული გამოვლენის, შეტყობინებისა და ეფექტიანად გადაჭრის სისტემის შექმნა და განვითარება ეროვნულ დონეზე.

დოკუმენტის სპეციალური თავი ეხება ციფრული წიგნიერების ზრდას მოსწავლეებსა და სტუდენტებში, შესაბამისი სასწავლო მასალის მომზადებას და ტრენერთა გადამზადებას.

სტრატეგიით გათვალისწინებულია კიბერტრენინგების ჩატარება სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის (მაგ. Cyberclass), ასევე, მასწავლებელთა და ტრენერთა გადამზადება (ToT) ამ სფეროში. „ციფრული მოქალაქეობის" (digital citizenship) კურსი მოიცავს ასაკობრივად ადაპტირებული სასწავლო მასალების შექმნას კიბერუსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, კიბერბულინგის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კიბერსივრცეში მედიაწიგნიერების შესახებ. შესაბამისი ცოდნით აღჭურვილ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს ექნებათ საბაზისო უნარები, რომ შეძლონ კიბერსაფრთხეების იდენტიფიცირება, კიბერინციდენტების პრევენცია და დამოუკიდებლად გამკლავება მათთან.

დღესდღეობით, არ არსებობს ამ სტრატეგიული გეგმის განხორციელებაზე მონიტორინგის შედეგები. ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით, მიმდინარე ეტაპზე, ბავშვთა კიბერდანაშაულისგან დასაცავად, გვაქვს შემდეგი რესურსები:

1. **„ციფრული მოქალაქეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში"**: მოამზადა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (2024). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმძღვანელო იკვლევს ადგილობრივ რეალობას, რათა დაადგინოს ქვეყანაში არსებული გამოწვევები მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების თვალსაზრისით; ასევე განიხილავს სხვადასხვა საკითხს, როგორიცაა: სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ; მედიაწიგნიერება და ინფორმაციული წიგნიერება; ეთიკა და ემპათია; უფლებები ონლაინსივრცეში; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება; კიბერუსაფრთხოება, როგორც მზარდი საფრთხე და სხვა.

2. **მედიაწიგნიერების ონლაინპლატფორმა**: ეს არის ერთგვარი ჰაბი მედიაწიგნიერების სფეროში ჩართული ორგანიზაციებისთვის, რომელიც შექმნა კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2021 წელს. აღნიშნულ გვერდზე არის მასალა ბავშვთა ციფრული უსაფრთხოების შესახებ - მშობელთა გზამკვლევი https://mediatsigniereba.ge/teachers/gzamkvlevi

3. **შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური გვერდი კიბერუსაფრთხოების შესახებ**: ვებგვერდზე წარმოდგენილია გარკვეული რეკომენდაციები არასრუწლოვანთა დაცვის შესახებ https://police.ge/ge/projects/kiberdanashauli

4. **STEM-განათლება**: კიბერუსაფრთხოების გასაზრდელად, საჭიროა ცოდნის ამაღლება ტექნოლოგიების შესახებ. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, საქართველოში გადადგმულია პირველი ნაბიჯები და არსებობს STEM სკოლა. ეს არის საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზაციას საქართველოში. https://komarovi.edu.ge/ge/stem_school

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაციები ბავშვთა ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით: გვერდი ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს და ჯერ არ არის დასრულებული. https://pdps.ge/ka/content/1068/4862/bavSvebis-cifruli-usafrTxoebis-Sesaxebekonomikuri-TanamSromlobisa-da-ganviTarebis-organizaciis--%E2%80%9COECD%E2%80%9D--angariSi

6. **გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მასალები**: ორივე ორგანიზაცია სისტემატურად უწევს ადვოკატირებას ბავშვთა ციფრული უსაფრთხოების საკითხებს და არაერთ მასალასა და სასწავლო რესურსს სთავაზობს როგორც ბავშვებს, ასევე მასწავლებლებსა და მშობლებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციები და ამ პროფილით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ამახვილებენ ყურადღებას ბავშვთა დაცვაზე კონკრეტულად ონლაინ სექსუალური ძალადობისაგან.

ერთადერთი მასალა, რომელიც ეხება უშუალოდ ონლაინ სექსუალური ძალადობისგან დაცვას, შექმნილია ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელშეწყობით. ეს არის „ბავშვის აღზრდა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში" (გზამკვლევი მშობლებისთვის ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვის შესახებ. მოამზადა სამართლის დოქტორმა, ელიზაბეთ მილოვიდოვმა).

პუბლიკაცია მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან თემებს:

1. ბავშვების დაცვა ონლაინ
2. ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია (SEXTORTION - სექსის გამოძალვა სექსუალური შინაარსის მასალით შანტაჟით)
3. ბავშვების ჩართულობით სექსუალური შინაარსის თვითგენერირებული გამოსახულებებისა და მასალების გაზიარება (SEXTING)
4. სექსჩატინგი (SEX-CHATTING - სექსუალური შინაარსის თემებზე საუბარი ინტერნეტით)
5. გრუმინგი (GROOMING - ადამიანის სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება კომპიუტერული ქსელების გამოყენებით)
6. სექსუალური შინაარსის გამოსახულებების გავრცელება შურისძიების მიზნით (REVENGE PORN)
    - **Internet Watch Foundation (IWF)**: ფოკუსირებულია ბავშვზე სექსუალური ძალადობის კონტენტის წაშლაზე. შეტყობინება შესაძლებელია ამავე ვებსაიტის საშუალებით.
    - **True Vision**: გვაწვდის ინფორმაციას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და ონლაინშეტყობინების ინსტრუმენტებზე.
    - **Action Fraud**: გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ცენტრი თაღლითობასა და კიბერდანაშაულზე შეტყობინების შესახებ, რომელიც სთავაზობს პლატფორმას ონლაინთაღლითობასა და მის სქემებზე შეტყობინებისთვის.

- **შეტყობინების ეტაპები:**
    - **პრობლემის იდენტიფიცირება**: დაადგინეთ კონტენტის ან ქცევის ტიპი, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება.
    - **გამოიყენეთ პლატფორმის ინსტრუმენტები**: პრობლემის არსებობის შემთხვევაში, მიმართეთ პლატფორმაზე ჩაშენებულ შეტყობინების ინსტრუმენტებს,
    - **მოიძიეთ მხარდაჭერა**: საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით შესაბამის ორგანიზაციებს, რჩევებისა და მხარდაჭერისთვის.
    - **შემდგომი მონიტორინგი:** მონიტორინგი გაუწიეთ სიტუაციას და დარწმუნდით, რომ საკითხზე სათანადო რეაგირება მოახდინა პლატფორმამ ან ორგანიზაციამ.

აქტივობების ეტაპი:

- **ინტერაქტიური დემონსტრაცია:** აჩვენეთ, თუ როგორ უნდა შეატყობინონ პრობლემა პოპულარულ სოციალურ მედიაპლატფორმებსა და ონლაინთამაშების სერვისებზე.

დისკუსია:

- გაუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება ონლაინპრობლემის შეტყობინებისა და მასზე რეაგირების შესახებ.
- იმსჯელეთ გამოწვევებზე, რომლებსაც აწყდებიან შეტყობინების დროს, და მათი დაძლევის გზებზე.

დასკვნები: უსაფრთხო ციფრული გარემოს შესანარჩუნებლად, აუცილებელია გვესმოდეს, თუ როგორ უნდა შევატყობინოთ ონლაინპრობლემების შესახებ. შეტყობინების მექანიზმებისა და ძირითადი ორგანიზაციების გაცნობით, მშობლებს შეუძლიათ, ეფექტიანად გადაჭრან საზიანო მასალების პრობლემა და დაიცვან შვილები ონლაინსივრცეში.

სლაიდი 102 - მშობელი, როგორც ონლაინქცევის მისაბაძი მაგალითი

შესავალი: ბავშვები ხშირად ჰბაძავენ მშობელთა ქცევას. როგორც ციფრულ გარემოში ქცევის მაგალითი, მშობელი გადამწყვეტ როლს ასრულებს შვილების ონლაინჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ეს ნაწილი უბიძგებს დაფიქრებისა და მსჯელობისკენ, თუ როგორ მოქმედებს მშობლის ონლაინქცევა შვილებზე და სთავაზობს პრაქტიკულ სტრატეგიებს პოზიტიური ციფრული მოქალაქეობის მოდელთა ჩამოსაყალიბებლად.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: წაახალისეთ მშობლები, რომ დაფიქრდნენ საკუთარ ონლაინქცევებზე და გააცნობიერონ, რა მნიშვნელობა აქვს პოზიტიური ციფრული ჩვევების მაგალითის მიცემას შვილებისთვის.

საკვანძო საკითხები:

- **ბავშვები ჰბაძავენ მშობელთა ქცევას:**
  - **დაკვირვებით სწავლა**: განმარტეთ, როგორ სწავლობენ ბავშვები ქცევებს უფროსებზე დაკვირვებით. ხაზი გაუსვით მშობელთა ონლაინაქტივობების მნიშვნელობას, როგორც მაგალითს შვილებისთვის.
  - **თანმიმდევრულობა**: ხაზი გაუსვით თანმიმდევრულობის აუცილებლობას ონლაინ და რეალურ ქცევებში, ბავშვის პოზიტიური ჩვევების გასაძლიერებლად.
- **პოზიტიური ციფრული მოქალაქეობა:**
  - **პატივისცემა და კეთილგანწყობა**: წაახალისეთ მშობლები, რომ პატივისცემით და კეთილგანწყობით იმოქმედონ ინტერნეტში. აჩვენეთ, როგორ ადგენს ეს ქცევები სტანდარტებს ბავშვებისთვის.
  - **კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება**: განიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია კარგი პრაქტიკის მოდელად ქცევა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოებისათვის (მაგ. ძლიერი პაროლების გამოყენება და სიფრთხილის გამოჩენა პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისას).
- **ეკრანთან გატარებული დროის მართვა:**
  - **დაბალანსებული გამოყენება**: მხარი დაუჭირეთ საეკრანო დროის დაბალანსებას. მშობლებმა უნდა აჩვენონ, რომ ციფრული მოწყობილობები მოწოდებულია სწავლისა და გართობისთვის და არა რეალური ურთიერთობებიდან ყურადღების გადასატანად.
  - **ხარისხიანი კონტენტი**: შესთავაზეთ მშობლებს, რომ შვილებს გაუზიარონ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო კონტენტი და ხელი შეუწყონ ეკრანთან გატარებული დროის პროდუქტიულ გამოყენებას.
- **ღია კომუნიკაცია:**
  - **ონლაინგამოცდილების განხილვა:** წაახალისეთ მშობლები, რომ ღიად ისაუბრონ თავიანთ ონლაინგამოცდილებაზე, მათ შორის, გამოწვევებსა და პოზიტიურ ურთიერთქმედებებზე. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობისა და ნდობის კულტურას.
  - **აქტიური მოსმენა:** ისაუბრეთ, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვების ონლაინპრობლემებისა და გამოცდილების მოსმენას და თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გამოხატვას.
- **საზღვრების დადგენა:**
  - **ციფრული საზღვრები:** მშობლებმა უნდა დააწესონ და დაიცვან ციფრული საზღვრები (როგორიცაა მოწყობილობებით სარგებლობის აკრძალვა სადილის ან საოჯახო აქტივობების დროს), ჯანსაღი ციფრული ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.
  - **როლური მოდელების საზღვრები**: როდესაც მშობლები პატივს სცემენ დადგენილ საზღვრებს, ბავშვები მათ უფრო მეტად იცავენ.

აქტივობების ეტაპი:

- **თვითრეფლექსიის სავარჯიშო:** სთხოვეთ მშობლებს, დაფიქრდნენ თავიანთ ონლაინქცევებზე და დაადგინონ სფეროები, რომლებშიც შეუძლიათ საკუთარი ქცევის გაუმჯობესება, უკეთესი მაგალითის მისაცემად.
- **ინტერაქტიური დისკუსია**: ხელი შეუწყვეთ დისკუსიას გავრცელებულ ონლაინქცევებზე, ასევე, მათ გავლენაზე ბავშვებთან მიმართებით. გაუზიარეთ გამოცდილება და სტრატეგიები გაუმჯობესებისათვის.

დისკუსია:

- გაუზიარეთ ისტორიები და გამოცდილება, თუ როგორ იმოქმედა მშობლის ონლაინქცევამ ბავშვებზე.

- იმსჯელეთ საერთო გამოწვევებზე პოზიტიური ონლაინქცევის მოდელირებაში და განიხილეთ შესაძლო გადაწყვეტის გზები, გონებრივი იერიშის მეთოდით.

დასკვნები: როგორც ციფრული ქცევის მისაბაძ მაგალითს, მშობელს დიდი ზეგავლენა აქვს შვილის ონლაინქცევებსა და დამოკიდებულებებზე. პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და დაბალანსებული ონლაინჩვევების დემონსტრირებით, მშობლებს შეუძლიათ, დაეხმარონ შვილებს პოზიტიურ ციფრულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში.

სლაიდი 103 - ეკრანთან გატარებული დროის მართვა – დიდი ბრიტანეთის მთავარ სამედიცინო ოფიცერთა სახელმძღვანელო მითითებები

შესავალი: საეკრანო დროის მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა მრავალი მშობლისთვის. გაერთიანებული სამეფოს მთავარმა სამედიცინო ოფიცრებმა პრაქტიკული რჩევები[40] შეიმუშავეს მშობელთა დასახმარებლად, რომ დააბალანსონ, ერთი მხრივ, ეკრანზე დაფუძნებულ აქტივობათა სარგებელი და, მეორე მხრივ, მათი უარყოფითი გავლენა ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამ ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი რეკომენდაციები და სტრატეგიები ეკრანთან გატარებული დროის ეფექტიანად მართვისათვის.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: გააცანით მშობლებს პრაქტიკული რჩევები და სტრატეგიები შვილების საეკრანო დროის სამართავად, გაერთიანებული სამეფოს მთავარ სამედიცინო ოფიცერთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

საკვანძო საკითხები:

- **ფრთხილი მიდგომა:**
  - **დააბალანსეთ სარგებელი და რისკები**: ხაზი გაუსვით, რამდენად მნიშვნელოვანია, დაბალანსდეს საეკრანო დროის გამოყენებით მიღებული სარგებელი (როგორიცაა საგანმანათლებლო კონტენტის გაცნობა და სოციალური კავშირების დამყარება) და მისი პოტენციური უარყოფითი შედეგები (როგორიცაა ფიზიკური აქტივობის შემცირება და ძილის დარღვევა).
- **საოჯახო სადილები მოწყობილობების გარეშე:**
  - **პირისპირ ინტერაქცია:** წაახალისეთ ოჯახის წევრების სადილობა ეკრანიანი მოწყობილობების გარეშე, რათა ხელი შეუწყოთ პირისპირ საუბრებს და ოჯახურ ურთიერთობას. ხაზგასმით აღნიშნეთ, რა მნიშვნელობა აქვს ჭამის დროს ერთმანეთისადმი ყურადღების გამოჩენას.
- **დაძინებამდე მოწყობილობათა გამოყენების აკრძალვა:**
  - **ძილის ჰიგიენა**: ძილის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია ეკრანიანი მოწყობილობების დატოვება საძინებლის გარეთ და ძილის წინ თავის შეკავება მათი გამოყენებისგან. ახსენით, როგორ არღვევს ეკრანის ცისფერი შუქი ორგანიზმის ძილ-ღვიძილის ციკლს.
- **რეგულარული შესვენებების მოწყობა:**
  - **ორსაათიანი წესი:** ურჩიეთ შესვენება ეკრანის ორსაათიანი უწყვეტი გამოყენების შემდეგ, რათა აიცილოთ თვალის გადაძაბვა და ხელი შეუწყოთ ფიზიკურ აქტივობას. წაახალისეთ მშობლები, დააყენონ ტაიმერი, ან გამოიყენონ აპლიკაცია, რომელიც შეახსენებს ბავშვს შესვენების საჭიროებას.
- **შეთანხმდით საზღვრებზე:**
  - **ლიმიტების დაწესება:** ისაუბრეთ ბავშვებთან, რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმება საეკრანო დროის ლიმიტებსა და ონლაინქცევის წესებზე. ჩართეთ ბავშვები ამ წესების შემუშავებაში, რათა დარწმუნდეთ, რომ ესმით და პატივს სცემენ მათ.
- **მიეცით მაგალითი:**
  - **ქცევის მოდელირება**: აღნიშნეთ მშობლის, როგორც მისაბაძი მაგალითის როლი

40 UK CMO commentary on screen time and social media map of reviews - GOV.UK (www.gov.uk)

საეკრანო დროის მართვაში: მან თავისი კარგი მაგალითით უნდა აჩვენოს ბავშვს, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს ეკრანიანი მოწყობილობების გამოყენება სხვა აქტივობებთან.

- **ღია დისკუსია:**
  - **ოჯახური საუბრები**: წაახალისეთ რეგულარული ოჯახური დისკუსიები ეკრანთან გატარებული დროის შესახებ. დასვით კითხვები, როგორიცაა: „კონტროლდება ჩვენი ოჯახის მიერ ეკრანთან გატარებული დრო?“ და „ეკრანიანი მოწყობილობები ხელს უშლის ჩვენს ძილს ან საოჯახო ურთიერთობებს?“ მიღებული პასუხების მიხედვით, შეაფასეთ და დაარეგულირეთ ეკრანიან მოწყობილობათა გამოყენების ჩვევები თქვენს ოჯახში.

აქტივობების ეტაპი:

- **ინტერაქტიური სავარჯიშო**: გაიარეთ სავარჯიშო, სადაც მშობლები ისაუბრებენ თავიანთ ჩვევებზე საეკრანო დროის გამოყენების კუთხით და განსაზღვრავენ გასაუმჯობესებელ სფეროებს. შესთავაზეთ შაბლონი ეკრანთან გატარებული დროის წესებისა და საზღვრების დასადგენად.
- **დასარიგებელი მასალა**: დაარიგეთ მასალები, სადაც წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს მთავარ სამედიცინო ოფიცერთა სახელმძღვანელო მითითებები და რჩევები საეკრანო დროის მართვის შესახებ. ჩართეთ პრაქტიკული ნაბიჯები და ინსტრუმენტები მათი შესრულებისათვის.
- **კითხვა-პასუხის სესია**: მიეცით დრო მშობლებს, რომ დასვან კითხვები და გააზიარონ თავიანთი გამოცდილება საეკრანო დროის მართვასთან დაკავშირებით. შესთავაზეთ პერსონალიზებული რჩევები, მათ წინაშე არსებულ კონკრეტულ გამოწვევებზე დაყრდნობით.

დისკუსია:

- გააზიარეთ იმ ოჯახების წარმატების ისტორიები, რომლებმაც შეასრულეს ეს სახელმძღვანელო მითითებები და დაინახეს დადებითი შედეგები.
- იმსჯელეთ საერთო გამოწვევებზე ეკრანთან გატარებული დროის შემცირებაში და ჯგუფურად იმსჯელეთ მათი გადაწყვეტის გზებზე, გონებრივი იერიშის მეთოდით.

დასკვნები: საეკრანო დროის ეფექტიანად მართვა აუცილებელია ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. გაერთიანებული სამეფოს მთავარ სამედიცინო ოფიცერთა სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით და ბავშვთა ჩართვით საზღვრების დაწესებაში, მშობლებს შეუძლიათ, ოჯახში შექმნან დაბალანსებული და ჯანსაღი ციფრული გარემო.

სლაიდი 104 - კიკო და ბევრიმე[41]

1. **რესურსის მიმოხილვა:**
   - „კიკო და ბევრიმე“ არის საგანმანათლებლო კომიქსი, რომელიც შეიმუშავა ევროპის საბჭომ და მიზნად ისახავს, ბავშვებს ასწავლოს ციფრული იდენტობისა და ონლაინუსაფრთხოების კონცეფციები.
   - აჩვენეთ ვიდეო PowerPoint-ში.
   - სიუჟეტი მოგვითხრობს ახალგაზრდა პერსონაჟზე, კიკოზე, რომელიც, სხვადასხვა ონლაინსცენარის გამოყენებით, მკითხველს ეხმარება, რომ გააცნობიეროს საკუთარი ციფრული კვალისა და იდენტობის მართვის მნიშვნელობა.
2. **საკვანძო თემები და გზავნილები:**
   - **ციფრული იდენტობის გაცნობიერება:** კომიქსში ხაზგასმულია, თუ როგორ უწყობს ხელს ონლაინმოქმედებები ციფრული იდენტობის ფორმირებას და რა პოტენციური გრძელვადიანი შედეგები აქვს ამ აქტივობებს.
   - **კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა:** კომიქსი გამოკვეთს, რამდენად მნიშვნელოვანია პერსონალური ინფორმაციის დაცვა და სიფრთხილე ინტერნეტში გაზიარებულ კონტენტთან მიმართებით.

41 https://www.coe.int/en/web/children/kiko-and-the-manymes; https://www.coe.int/en/web/children/kiko-and-the-hand; https://vimeo.com/839049574?share=copy

- **კრიტიკული აზროვნება**: კომიქსი წაახალისებს ბავშვებს, რომ კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია, რომელსაც ხვდებიან ინტერნეტში, ასევე, პიროვნებები, რომლებსაც თვითონ ან სხვები წარმოადგენენ ამ სივრცეში.

3. **რესურსის გამოყენება საგანმანათლებლო გარემოში:**
   - იგი ხელს უწყობს მასწავლებლებსა და მშობლებს შორის საუბრის დაწყებას ონლა-ინუსაფრთხოების თემების განსახილველად, ბავშვების ჩართულობით და მათთვის გასაგები გზით.
   - ის შეიძლება ინტეგრირდეს ინტერნეტწიგნიერების, სამოქალაქო განათლების, ან პიროვნული განვითარების გაკვეთილებში.
4. **მხარდამჭერი აქტივობები:**
   - კომიქსებთან ერთად, შეიძლება არსებობდეს თანმხლები მასალებიც (როგორიცაა დისკუსიის სახელმძღვანელო, აქტივობები, ან კითხვები), რომლებიც ხელს შეუწყობს მიღებული ცოდნის გამყარებას და თემის სიღრმისეულად გაგებას.
5. **წვდომა და გავრცელება:**
   - კომიქსი თარგმნილია მრავალ ენაზე და უფასოდ ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე, რაც მას მრავალმხრივ ინსტრუმენტად აქცევს სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოსთვის.
6. **რესურსის მნიშვნელობა:**
   - ბავშვთა მზარდი ციფრული ჩართულობის გათვალისწინებით, „კიკო და ბევრიმეს“ მსგავსი რესურსები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მომხმარებელთა ცოდნითა და უნარებით აღჭურვისათვის, რათა უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით შეძლონ ნავიგაცია ონლაინსამყაროში.

რეკომენდაცია: წაახალისეთ პედაგოგები და მშობლები, რომ ასეთი კომიქსები თავიანთ ინსტ-რუმენტების ნაწილად გამოიყენონ ციფრული მოქალაქეობის სწავლებისას და ხელი შეუწყონ ღია დისკუსიებს ბავშვებთან, მათი ონლაინგამოცდილების შესახებ.

11. არსებული პრაქტიკა

სლაიდი 105

ეს არის შესაძლებლობა, განიხილოთ და გააზიაროთ მონაწილეთა შორის არსებული პრაქტიკა და ონლაინუსაფრთხოების ზომები. სესიაზე განისაზღვრება კარგი პრაქტიკის მაგალითები.

აუდიტორიის შემადგენლობიდან გამომდინარე, მონაწილეები შეიძლება დაჯგუფდნენ პროფესიების მიხედვით.

სლაიდი 106 - დისკუსიის ხელშეწყობა ბავშვთა დაცვის არსებული პრაქტიკის შესახებ

შესავალი: მომდევნო ნაწილში მონაწილეებს, მათ შორის, მასწავლებლებს, ექიმებსა და სოციალურ მუშაკებს, საშუალებას მივცემთ, ერთმანეთს გაუზიარონ ბავშვების ონლაინ და რეალურ გარემოში დაცვის პრაქტიკა. დისკუსიის მიზანია თანამშრომლობითი გარემოს ხელშეწყობა, სადაც პროფესიონალებს შეეძლებათ ერთმანეთის გამოცდილებისა და სტრატეგიების გაცნობა.

სლაიდის მიმოხილვა:

- **მიზანი**: წაახალისეთ მონაწილეები, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი პრაქტიკა, განიხილონ გამოწვევები და ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს გააძლიერებს ბავშვთა დაცვაზე მიმართულ ძალისხმევას, ყურადღების გამახვილებით ბავშვთა ონლაინ სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობაზე.

საკვანძო საკითხები:

- **შესაბამისი გარემოს შექმნა დისკუსიისთვის:**
  - **მიზანი**: აუხსენით მონაწილეებს, რომ ამ დისკუსიის მიზანია ეფექტიანი პრაქტიკისა და სტრატეგიების გაზიარება ბავშვთა დასაცავად სხვადასხვა გარემოში, მათ შორის, სკოლებში, ასევე, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში.
  - **უსაფრთხო სივრცე**: ხაზგასმით აღნიშნეთ უსაფრთხო, არაგანმსჯელი სივრცის შექმნის მნიშვნელობა, სადაც ყველა კომფორტულად იგრძნობს თავს საკუთარი გამოცდილებისა და იდეების გაზიარებისას.
- **დისკუსიის ხელშემწყობი შეკითხვები:**
  - **მიმდინარე პრაქტიკა:** რა პრაქტიკა არსებობს ამჟამად თქვენს პროფესიულ გარემოში ბავშვთა დასაცავად?
  - **წარმატების ისტორიები**: შეგიძლიათ, გაგვიზიაროთ წარმატების ისტორია, სადაც ამ პრაქტიკამ ეფექტიანად დაიცვა ბავშვი/ბავშვები?
  - **გამოწვევები**: რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით ამ პრაქტიკის დანერგვისა ან შენარჩუნებისას?
  - **ინოვაციური გადაწყვეტილებები:** გაქვთ თუ არა შემუშავებული/მიღებული ინოვაციური გადაწყვეტილებები ბავშვთა დაცვის კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად?
- **დისკუსიის ხელშეწყობა:**

- **ღია დისკუსია:** მოუწოდეთ მონაწილეებს, ერთმანეთის მიყოლებით გაუზიარონ სხვებს თავიანთი პრაქტიკა და გამოცდილება. წაახალისეთ აქტიური მოსმენა, თითოეული მოსაუბრის პატივისცემით.
- **ინტერაქტიური დიალოგი:** ხელი შეუწყვეთ ინტერაქტიურ დიალოგს შემდგომი კითხვების დასმით. წაახალისეთ სხვები, რომ უპასუხონ კითხვებს, ან გამოთქვან თავიანთი შეხედულებები.
- **რესურსების გაზიარება:** წაახალისეთ მონაწილეები, რომ ერთმანეთს გაუზიარონ ნებისმიერი რესურსი, ინსტრუმენტი ან მასალა, რომლებსაც იყენებენ თავიანთ პრაქტიკაში.

12. ონლაინუსაფრთხოების ეფექტიანი რესურსები

სლაიდი 107

მიუთითეთ ონლაინუსაფრთხოების ეფექტიანი რესურსები.

სლაიდი 108-109

ამ კუთხით, მოვიძიეთ აპლიკაცია Safe You, რომელიც განკუთვნილია ქალებისთვის და არა უშუალოდ არასრულწლოვნებისათვის.

https://www.radiotavisupleba.ge/a/31139934.html

https://www.facebook.com/safeyougeorgia/

13. შეჯამება

სლაიდი 110 – შეჯამება

მიმოიხილეთ განხილული შინაარსი და მონაწილეებს საშუალება მიეცით, დასვან დამაზუსტებელი და შემაჯამებელი კითხვები.

სლაიდი 111 – შეკითხვები და საკონტაქტო დეტალები

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

Safe Online

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE